ისრაელი 73:74 საქართველო

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲛᲐᲚᲘᲢᲠᲐ ᲛᲔᲓᲘᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ
ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 Ა�პᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

27 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ **ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ** 2013

№ 201 (14 117) ᲤᲐᲡᲘ 80 ᲗᲗᲘᲗᲘ

ᲥᲔᲪᲑᲐᲘᲐᲡ ᲝᲠᲘ ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲐᲜᲢᲘ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲘᲚᲣᲠᲘᲫᲔ: ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲨᲘ, ᲛᲔᲠᲔ... ᲰᲐᲘᲓᲣᲙᲨᲘ

საქართველოს ნაკრები 2014 წლის მუნდიალის უახლოეს ორ საკვალიფიკაციო შეხვედრას თბილისში ჩაატარებს - 6 სექტემბერს „დინამო არენაზე“ საფრანგეთის ნაკრებს დაუპირისპირდება, 10 სექტემბერს კი „მიხეილ მესხზე“ ფინეთს უმასპინძლებს.

გუშინ **თემურ ქეცბაიამ** სანაკრებო სია გამოაქვეყნა. სიაში ორი ახალწვეულია - გორის „დილას“ შემტეები, 21 წლის **გიორგი ილურიძე** და ბაქოს „ინტერის“ თავდამსხმელი - 25 წლის **ბაჩანა ცხადაძე**. ორივე არჩევანი სავსებით ლოგიკურია. ილურიძე „დილას“ ნლეკანდელი ნარმატების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედია, ცხადაძე კი მამის, „ინტერის“ მთავარი მწვრთნელის, **ცახა ცხადაძის** ჩრდილიდან გამოვიდა და აზერბაიჯანელებს დაუმტკიცა, რომ გუნდში არა ცნობილი ფეხბურთელის შვილობის, არამედ, ბომბარდირული მონაცემების გამო ჩაირიცხა.

ნაკრები მზადებას 2 სექტემბერს, ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ დაიწყებს.

■ ■ ■

26 აგვისტო **გიორგი ილურიძისთვის** ორმაგად სასიხარულო გამოდგა. გარდა იისა, რომ გორის „დილას“ ნიჭიერი შემტეები **თემურ ქეცბაიამ** ეროვნულ ნაკრებში გამოიძახა, არის მეორე მიზეზიც - შესაძლო ტრანსფერი ევროპაში. დანამდვილებით ვიცით, რომ ილურიძის გადაბირება ეკატერინბურგის „ურალს“ სურდა. რუსეთის პრემიერლიგაში აღზევებული კლუბის ხელმძღვანელებმა 21 წლის ახალგაზრდას მიმზიდველი კონტრაქტიც შესთავაზეს. ფაქტია, ბოლო ნლებში ქართველ ფეხბურთელებს, სინჯების გარეშე, რუსეთის პრემიერლიგის გუნდები პირდაპირ ხელშეკრულებას თითქმის არ უფორმებდნენ...

მაგრამ ილურიძემ, მოულოდნელად, რუსებს უარი უთხრა: გუშინ შეეიტყვეთ, რომ იქაურ პრემიერლიგაში თამაშს ევროპაში ამჯობინა კარიერის გაგრძელება, თანაც - გაცილებით მცირე ანაზღაურებაზე...

მოკლედ, „დილას“ ერთ-ერთი ლიდერი ევროპა ლიგაზე გორელთა ამასნინანდელ მეტოქე სპლიტის „ჰაიდუკთან“ 2,5-ნლიანი კონტრაქტის გაფორმას აპირებს. მეტიც - ისიც გავიგეთ, თითქოს ხორვატებმა კონტრაქტის პირობები ილურიძეს ელექტრონული ფოსტით გამოუგზავნეს, რაზეც ფეხბურთელმა თანხმობა უკვე განაცხადა - ხელი მოაწერა და ელფოსტითვე დაუბრუნა.

ილურიძემ მაზე კომენტარი არ ისურვა და ეს გასაგებიცაა - „რაპიდთან“ საპასუხო მატჩის ნინ აჟიოტაჟს ერიდება. ნაკრებში მინვევასთან დაკავშირებით კი ეს გვითხრა:

„არც ვიცი, რა ვთქვა. ორი წუთის წინ დამრეკეს და მითხრეს, სიაში ხარო და ვერ ვიჯერებდი. უზომოდ ბედნიერი ვარ!.. იქ ხომ გამორჩეული ქართველი ფეხბურთელების გვერდით ვიჯარგებიმეს!.. კეთილფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ნაკრებში თავი გამოვიჩინო და თუ თამაშის შანსი მომეცა, თავს არ დავზოგავ“.

მარკა მამულაშვილი

გიორგი ილურიძე (მარჯვნივ)

მეკარეები - გიორგი ლორია (დინამო), ნუკრი რევაშვილი (დილა), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი);

მცველები - ალექსანდრე ამისულაშვილი, გია გრიგალავა (ორივე - კრილია სოვეტოვი, რუსეთი), უჩა ლობჟანიძე (დნიპრო, უკრაინა), აკაკი ხუბუტია (მორდოვია, რუსეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), ზურაბ ხიზანიშვილი (ქაისერი, თურქეთი), დავით კვირკველია (დინამო), გულვერდ თომაშვილი (დილა);

ნახევარმცველები - ჯაბა კანკავა, ალექსანდრე კობახიძე (ორივე - დნიპრო, უკრაინა), დავით თარგამაძე, თორნიკე ოქრიაშვილი (ორივე - ილიჩევეცი, უკრაინა), ელგუჯა გრიგალაშვილი, ირაკლი ძარია (ორივე - დინამო), ჯანო ანანიძე (როსტოვი, რუსეთი);

თავდასხმელები - ვლადიმერ დვალიშვილი (ლეგია, პოლონეთი), ნიკოლოზ გელაშვილი (ყარაბაღი, აზერბაიჯანი), ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), გიორგი ილურიძე (დილა), ბაჩანა ცხადაძე (ინტერი, აზერბაიჯანი).

ᲰᲘᲙᲛᲐᲜᲛᲐ ᲔᲚᲘᲐᲗᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ ᲛᲝᲒᲖᲕᲐᲒᲔᲑᲘᲜᲐ

ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲓᲐᲜᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲛᲔᲓᲚᲝ ᲓᲦᲔ

10

ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲞᲐᲞᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘᲗ ᲓᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲓᲐ

შთამბეჭდავი კაპიტანი

26.08. რუსთავი. ფოლადი. 800 მაყურებელი

ფეტალურგი 0

ზესტაფონი 0

ფეტალურგი	ზესტაფონი
4-2-3-1	4-4-2
ბუხუტაშვილი	რ. ასანასაძე
ორგალაძე	თორ. ბარიბალაშვილი
ბაგალიშვილი	ოთე. ბარიბალაშვილი
მაჭიტაძე	რევაზ ფერეირა
სუხიაშვილი	ანდღულაძე
ბეჭო. ბურჭულიძე	სამეგია
რუხუაძე	აჯარა
კირკიტაძე	ბურჭულაძე
ჯაფარაძე	ენგუდაძე
ბენსაკი	ალადაზი
სიხარულიძე	ქოგალია
მფარველი	მფარველი
გ. სანია	რ. ფოსტაბანელი

ფეტალურგი

46. სიხარულიძე - ბეკრაშვილი
74. რუხუაძე - ფოფარეულაძე
86. ქავთარაძე - ტუღუში

სანქციონირებული: შერმადინი, დ. საჯაია, კორნელაძე, კაკუბავა

ზესტაფონი

52. ენგელაძე - ანანიურაშვილი
70. სამუშია - ჯუბანია
86. ადამია - სანდალიშვილი

სანქციონირებული: მეშვეულიანი, ტურზიანი, გაგოშიძე, ს. ლომია

გაფრთხილება: მახვილაძე (48), ქობალია (49)

არბიტრი: გ. კიკაჩიშვილი

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

საუბრელია ჩემპიონატის საწყისი ორი ტურის ჩატარებას „მეტალურგს" გასვლაზე მოუნია, თუმცა ახალი მწვრთნელის, **ბელა სანაია** ხელმძღვანელობით მოასპარეზე რუსთაველთა გუნდმა „იმერული ვოიაჟი" 4 ქულით დასარულა. ანუ, ბევრის აზრით, გუშინდელ მატჩში, ფავორიტის სტატუსი მასპინძლებს უნდა ჰქონოდათ, მით უფრო, რომ ახალი სეზონის პირველ საშინაო შეხვედრაში გამარჯვების შემთხვევაში „მეტალურგი" ცხრილის სათავეშიც მოექცეოდა და, სულ მცირე, ერთი კვირის განმავლობაში ერთპიროვნული ლიდერიც იქნებოდა.

თუმცა, სტუმრების სატურნირო მდგომარეობაც „გასათვალისწინებელი" იყო: მეუხდავად არცთუ ურიგო ფეხბურთისა ჩვენებისა, სერი სპეციალისტის **რატკო დოსტანიჩის** „ზესტაფონმა" ხომ ნინა ორივე მატჩი ნააგო და ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართული კლუბისათვის ზედიწედ მესამე უქულო მატჩი მარილაც მეტისმეტი იქნებოდა.

მოკლედ, გუშინ მოგვიცია არც ერთ გუნდს არ აკლდა და, ვინ იცის, აუტანელი სიცხე (პიერის ტემპერატურა რუსთავში 40 გრადუსზე ნაკლები არ იქნებოდა) რომ არ ყოფილიყო, ალბათ, ბევრად უფრო სანახაობრივ თამაშსაც ვიხილავდით.

...მატჩის დასაწყისი სტუმართა აქტიურობით აღინიშნა, ბურთს უმეტესად „ზესტაფონის" ფეხბურთელები ფლობდნენ, თუმცა სასტარტო ნუთებში მასპინძელთა ცენტრალურმა ნახევარმცველმა **გიორგი ქავთარაძემ** სამუალო მანძილიდან ორჯერ დაარტყა მეტ-ნაკლებად სახიფათოდ. ამის მერე თამაში ოდნავ დაწყნარდა იმ მომენტამდე, ვიდრე სტუმართა ახალნეფული, **ნიკოლაკა აჯურუ** შორი მანძილიდან ბურთს ხარხის არ გაარტყამდა.

სტუმრები სწრაფად გადმოდიოდნენ „მეტალურგის" ნახევარზე და ერთ ეპიზოდში **თორნიკე გრიგალაშვილის** გამჭოლ გადაცემას პარტნიორებმა ვერ მოუსწრეს, თორემ ხიფათი გარდაუვალი იქნებოდა. აი, რაც შეეხება „მეტალურგის" შეტევებს, პირველ ტაიმში მხოლოდ და მხოლოდ ორი ეპიზოდი თუ იქნებოდა სახიფათო: **მიხეილ მახვილაძის** შორეული პასის მერე **დავით კირკიტაძე** ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოჩნდა, მაგრამ **რონინ კვასხვაძემ** პოზიცია ზუსტად შეასრულა და ვითარება განმუხტა.

„ზესტაფონის" მეკარემ და კაპიტანმა, საერთოდაც ჩინებული მაჩი ჩაატარა და კვასხვაძის დიდი დამსახურებაც არის, მისმა გუნდმა ჩემპიონატში პირველი ქულა რომ მოიპოვა. კვასხვაძემ მეორე ტაიმში გაიბრწყინა, თუმცა მაგამდე ის ეპიზოდიც უნდა ვახსენოთ, კირკიტაძის აქტიურობის შედეგად

ადგ.	გუნდი	თ.	მ	ფ	ს	ბურთების ბალანსი	ქ
1	ჩიხურა	3	2	0	1	7 - 4	6
2	სარანი	3	2	0	1	5 - 2	6
3	მერანი	3	2	0	1	4 - 2	6
4	მეტალურგი	3	1	2	0	4 - 3	5
5	ტორკალო	2	1	1	0	4 - 3	4
6	ფიჯორგანა	3	1	1	1	3 - 2	4
7	ფილა	2	1	1	0	3 - 2	4
8	ფინგაო	2	1	1	0	3 - 2	4
9	გურამ	3	1	0	2	1 - 5	3
10	ზესტაფონი	3	0	1	2	3 - 5	1
11	ზუგდიდი	3	0	1	2	1 - 5	1
12	სასარბაკი	2	0	0	2	1 - 4	0

ცხრილი მომზადებულია gff.ge-ს მიხედვით

ირაკლი სიხარულიძე ხელსაყრელი პოზიციიდან რომ ურტყამდა, მაგრამ ბურთი მიზანს ასცდა.

...მეორე ტაიმში მოედანზე სიტუაცია შეიცვალა: მასპინძლებმა ტერიტორიული უპირატესობა მალევე მოიპოვეს და რეალური მომენტიც ეგრეგე შექმნეს: ქავთარაძის პასით კირკიტაძე სტუმართა მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ კვასხვაძემ ამ ეპიზოდიც იყოჩალა.

რამდენინი ნუთში სიტუაცია კვლავ განმეორდა: მეორე ტაიმში საგრძნობლად გააქტიურებული კირკიტაძე ისევ ერთი-ერთზე დარჩა მეტოქის მეკარესთან და ამ „ფუფლაში" გამარჯვებული კვასხვაძე გამოვიდა! მესამე და ყველაზე რეალური მომენტი მასპინძლებს მაშინ ქქონდათ, როცა **რევაზ გენაძემ** თავის „საფირმო ცაციათი" ჩინებულად შეასრულა საჯარიმო დარტყმა, მაგრამ კვასხვაძემ არანაკლებ ბრნყინვალე რეაქციით თავისი გუნდი უეჭველ გოლს გადაარჩინა! „ზესტაფონმა" მეორე ტაიმში კონტრშეტევებზე თამაში არჩია, თუმცა მასპინძლებმა ამის საშუალება არ მისცეს.

ისე, ამ შეხვედრის ბოლო სახიფათო მომენტი მაინც სტუმრებს ჰქონდათ: „ზესტაფონმა" სტანდარტული ორიგინალურად გაითამაშა და ბრაზილიელმა **რენე ფერეირამაც** „ეემოიელად დაიტუხა," მაგრამ თავის ახალგაზრდა კოლეგას არც გამოცდილი **გრიგოლ ბედიაშვილი** ჩამორჩა და ბურთი ლამაზ ნახტომში მოიგერია. მოკლედ, გოლები ვერ ვიხილეთ, მაგრამ მოხდომებას ვერც ერთ გუნდს ვერ დავუკარგავდით, - მით უფრო, ასეთ აუტანელ სიცხეში...

გია ტუხაშვილი
რუსთავი-თბილისი

ბომბარდირები

გ. ფილიპე (ფილა)	3
დ. ტატანაშვილი (ჩიხურა)	3
თ. ალაბანაძე (ტორკალო)	2
ნ. სალაბანაძე (ტორკალო)	2
დ. კირკიტაძე (მეტალურგი)	2
ი. ლეონაშვილი (ფიჯორგანა)	2
ლ. ოიოშაძე (ლიონი)	2

IV ბური

31 აგვისტო, შაბათი

ზუგდიდი-ლიონი
ფიჯორგანა-მერანი

1 სექტემბერი, კვირა

ჩიხურა-ზესტაფონი
ფილა-ბაგალიშვილი
სასარბაკი-ტორკალო
ბურთა-ფინგაო

ᲕᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲡᲐᲓ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ 50 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ?!

ᲡᲘᲭᲘᲜᲐᲕᲐ: ᲩᲕᲔᲜ ᲕᲐᲠᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საარსენფერენციო დარბაზში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ პრესკონფერენცია გამართა. იქვე იყო ფედერაციის გენერალური მდივანი რევაზ არველაძეც. პრესკონფერენციაზე ფედერაციის ხელმძღვანელობამ განცალილი პერიოდი მიმოიხილა და სამომავლო გეგმებიც გაგვანდო...

ზვიად სიჭინავა (მარცხნივ) და რევაზ არველაძე ფოტო: **gff.ge**

ᲖᲕᲘᲐᲓ ᲡᲘᲭᲘᲜᲐᲕᲐ: - მოგეხსენებთ, 2015 წელს უეფას სუპერთასის მატჩი თბილისში გაიმართება და ამასთან დაკავშირებით, ჩვენი სამუშაო ჯგუფი პრაღაში ჩავა. მარკეტინგი, ლოგისტიკა, სტადიონის მდგომარეობა - ეს საკითხები იქნება დასამუშავებელი, გაისად კი ამაზე კარდინში გაიმართება სამუშაო შეხვედრა. ფეხბურთის ფედერაციამ მიაღწია იმას, რომ ყველა ვალი გაისტუმრა. სამი წლისა და ოთხი თვის განმავლობაში 20 მილიონამდე ვალი გაკისტუმრეთ. თუ იდრე ფეხბურთის ფედერაციის აქმეი 3 100 000 ლარს შეადგენდა, დღეს 107 მილიონია.

ᲠᲔᲕᲐᲖ ᲐᲠᲕᲔᲚᲐᲫᲔ: - მხოლოდ ვალების გასტუმრებით არ ვიყავით დაკავებულები. 100-200 პროცენტით გაიზარდა ფეხბურთის ფედერაციის ხარჯები სხვადასხვა მიმართულებით. ინფრასტრუქტურული პროექტების გარდა, სხვა მიმართულებითაც ვდებდით ფულს.

ᲡᲘᲭᲘᲜᲐᲕᲐ: - საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ოქტომბერში შესარჩევ ეტაპზე თამაშობს, 19-წლამდელები კი ნოემბერში. გეოგრაფიის გაზრდა გვინდა და ჩვენი სურვილია, 17-წლამდელთა ნაკრებმა, თბილისის გარდა, ბორჩოც ითამაშოს. მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე მეორე არენასაც ვაშენებთ და გვინდა, 19-წლამდელებმა ამ სტადიონზე ითამაშონ. ეს სტადიონი მოემსახურება ეროვნული ჩემპიონატის მატჩებსაც. მოგეხსენებათ, უმაღლესი ლიგის რამდენიმე გუნდს არა აქვს ისეთი სტადიონი, ლიცენზირების მოთხოვნებს რომ აკმაყოფილებს და სანამ საკუთარი სტადიონი ექნებათ, ამ არენაზე შეეძლებათ თამაში. მაგალითად, „სპარტაკსა" და „გეგრას" არ აქვთ თავიანთი არენა, ზოგ გუნდს კი ისეთი სტადიონი არ აქვს, ლიცენზირების მოთხოვნებს რომ დააკმაყოფილებს. „სანონ", „ჩიხურა", „მერანი", „გურია" - როგორც შეეძყვე, გამოიყო თანხები, რომ ამ გუნდების სტადიონები მონესრიგდეს. ძალიან მნიშვნელოვანია უსაფრთხოების თემაც. უსაფრთხოება დაცული უნდა იყო მატჩის წინაც და მატჩის შემდეგაც. რუსთავის სტადიონის მოედანს კაუუჩის დამატება სჭირდება და, ალბათ, ნოემბრისთვის ეს პრობლემაც მოგვარდება. რაც შეეხება ლაგოდეხში ფედერაციის ბაზას, ფურნალისტებს იქ სექტემბრის ბოლოს გეუპატიჟეთ, რათა ნახოთ, თუ რა გაკეთდა... სექტემბერში ეროვნული ნაკრები პირველ თამამს საფრანგეთთან „დინამო არენაზე" გამართავს, მერე კი ფინეთთან „მიხეილ მესხზე" ითამაშებს. საფრანგეთთან მატჩისთვის ისეთი მოთხოვნებია, რომ ვაკის სტადიონი დღეს ამას ვერ დაკმაყოფილებს, მერე კი, როგორ რეკონსტრუქცია დასრულდება, ეროვნული ნაკრები „მიხეილ მესხზე" ითამაშებს, ოჯარის გადახდას ასე გვიორჩევნია.

- „ფილა"-"დინამოს" ამასწინანდელი მატჩის გამო მსაჯობის თემა ისევ აქტუალური გახდა. ამ შეხვედრის მსაჯები დაისჯებიანს?

ᲡᲘᲭᲘᲜᲐᲕᲐ: - ეს ფედერაციის შესაბამისი კომიტეტის გადასაწყვეტია. ამ მატჩის არბიტრი გვანცელაძე ალბათ ოთხ ტურს გამოტოვებს.

- საკუთარ ფეხბურთის დახმარებაზე რომ იყო ლაპარაკი, რა კეთდება ამ მხრივ?

ᲡᲘᲭᲘᲜᲐᲕᲐ: - ხუთნლიანი პროგრამა გვქონდა შემუშავებული და სექტემბერში ამ პროექტს სპორტის ახალნიელ მინისტრსაც ნარკუდგენთ. კლუბების სამონაწილეო თანხას, 480 000 ლარს, ფედერაცია იხდის. გარდა ამისა, საარჩეო ფონდიც გვაქვს დაწესებული, რომელიც 1 მილიონ ლარს შეადგენს. შარშან ფეხბურთის ფედერაციამ სახელმწიფოსგან 13 800 000 ლარი მიიღო, ნლეულს - 7 მილიონი და აქედან 6 მილიონს სახელმწიფოს უკან ეუბრუნები. ინფორმაცია რომ გადავნელდა - სახელმწიფომ ფეხბურთაში 50 000 000 ლარი დახარჯო, სად ნავიდა ამდენი ფული?! ჩვენ არც „ნაციონალები" ვართ, არც „ქართული ოცნების" მხარდამჭერები და არც „ზვიადისტები" - ჩვენ ვართ ყველაფერი, ქართველების გარდა. ცუდი მენეჯმენტის გამო, ეს თანხები სწორად არ ნაწილდება...

დავით თავაართქიძელაძე

● ლეგიონერები

გასხდება კანკავა სეზონის გმირი?

ხუანდე რამოსი კოობახიძეს გარანტიებს ვერ აძლევს

ჯაბა კანკავა

ამ შუძეეზზე უკრაინულ პრემიერლიგაში მე-7 ტურის მატჩები ჩაბარდა. დნეპროპეტროვსკის „დნიპრომ" გთამაშების ლიდერი დონეცკის „შახტარი" მიიღო, 3:1 დაამარცხა და მე-3 პოზიციაზე გადაინაცვლა.

მატჩი შეუცვლელად ჩაატარა **ჯაბა კანკავამ.** საქართველოს ნაკრების კაპიტანმა დონეცკელთა ნახევარმცველებს - **ტაიონისსა** და **ალექს სტეპანენკოს,** მთელი მეხუთედრის განმავლობაში გასაღენი არ მისცა.

სამწუხაროდ, სათადარიგოთა სკამზეც არ ყოფილა საქართველოს ნაკრების ორი წევრი - **უჩა ლობჟანიძე** და **სანდრო კობახიძე.** „დნიპროს" მთავარ მწვრთნელს, ესპანელ **ხუანდე რამოსს** ევროპა ლიგის ჯლეი ოფში ესტონურ „ნომე კალიულსთან" მატჩის შემდეგ კოობახიძის უთამაშებლობის მიზეზებზე ჰკითხეს - დღეს ქართველს არ უთამაშია და, მისი არ გჯერთო? და საერთოდ, ითამაშებს „დნიპროშიო"?

„დიახ, *კობახიძე „დნიპროში" ითამაშებს, მაგრამ თუ ის მოედანზე იქნება, მაშინ დასვენება ალიზნინჩენკოს მოუწევს. მათუუსაც არ უთამაშია. ასე ხდება ხოლმე, როცა შემადგენლობაში ბევრი ფეხბურთელია",* - ასეთია რამოსის არგუმენტი.

ამასობაში, „დნიპროს" ვებგვერდზე სეზონის გმირის გამოსავლენი გამოკითხვა გრძელდება. ყოველი ტურის შემდეგ გულშემატკივრები ხმას ძლევენ სასურველ ფეხბურთელს. სასხვარულოა, რომ ჯაბა კანკავა უკრაინის ნაკრების ერთ-ერთი საბაზო გუნდის ფანბის მხრიდან მონონგბის იმსახურებს - ჯარჯარეობით, ჩვენი ნაკრების კაპიტანი პირველ ადგილზეა. მას კვალში მიჰყვებიან **ევგენი სელეზნიოვი, რომან ზოზულია,** ევგენი **კონოპლიანკა** და **ჯულიანო.**

საინტერესოა, რომ კობახიძე, რომელსაც რამოსი (მისივე თქმით) მიგადგმიგ ათამაშებს, ამ მომენტისთვის მე-10 ადგილზეა.

● ინტერვიუ

სოლდადო, პაულინინი (მარჯვნივ), კვარაცხელია უკანა პლანზე

აქა ამბავი კვარაცხელიასა და პაულინიოს მეგობრობისა

...და არა მარტო: ქართული ფეხბურთის დღევანდელ დონეს მხოლოდ თბილისის დინამო ვერ გადააჭარბებს, ამბობს კვარაცხელია

არ ვიცი, შენიშნეთ თუ არა „დინამოსა" და „ტოტენჰემის" მატჩის დასაწყისში მომხდარი უცნაური ფაქტი - ბრაზილიის ნაკრებისა და ლონდონელთა ნახევარმცველი პაულინინი თბილისელთა მცველ გია კვარაცხელიას უბნელი ძმაკაცივით რომ მიესალმა და რაღაცაზე ელაპარაკებოდა, როგორც აღმოჩნდა, ისინი კარგა ხანია იცნობენ ერთმანეთს და ერთ დროს მეგობრობდნენ კიდეც.

მატჩის შემდეგ კვარაცხელიას სწორედ ამაზე ვკითხეთ. ბუნებრივია, ვერც „დინამო"-"ტოტენჰემის" მატჩს აკუელიდით გვერდს...

- 2005-08 წლებში ლატვიურ „კაუნასში" ვთამაშობდი, - ამბობს კვარაცხელია, - პაულინინო კი 18 წლის იყო, როცა „ვილნიუსში" ჩამოიყვანეს. ის შრომისმოყვარეობით დამამახსოვრდა, მოედანზე ფუტკარივით იყო, არ ჩერდებოდა და ძალიან დიდ სამუშაოს ასრულებდა. გულიანი ბიჭია და ასეთივე იყო მოედანზეც, სირბილი არ ეზარებოდა. როგორც ვიცი, ეარჯიშებზეც ძალიან მონდომებული იყო.

- ასეთი დონის ფეხბურთელი ლიტვაში როგორ მოხვდა?

- ასეთებიც ხდება. ნამდვილად ნიჭიერი ფეხბურთელია და ამას ჩემგან მტკიცება არ სჭირდება, მაგრამ უცნაურია, რომ ვიდრე ბრაზილიის ეროვნულ გუნდში მოხვდებოდა, მანამდე არც ერთ ასაკობრივ გუნდში არ უთამაშია. ასეთები კი ევროპულ კლუბებში შედარებით იოლად ხვდებიან. კარგად მახსოვს, მაშინ „ვილნიუსის" მეპატრონეს სერიონ ზული გეგმები ჰქონდა - ლიტვის ჩემპიონობასა და ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრას უმიზნებდა. ამიტომაც მიიწვია ბევრი ძლიერი ფეხბურთელი. სხვათა შორის, საყრდენად მოთამაშე პაულინიოს ქართველი მეწყვილე ჰყავდა - ვაკო კაციტაძე. თუ გახსოვთ, ეს ბიჭი ახალგაზრდული ნაკრების წევრი იყო, შარშან კი გორის „დინამოში" ირიცხებოდა. მის გარდა, პაულინინოსთან ერთად „ვილნიუსში" აკადი ხუბუტიაც თამაშობდა.

- როგორ მახსოვს, 2007 წელს ლიტვის საუკეთესო ლეგიონერად ძაქვენ დაგაასახელეს. პაულინინო მაშინ გამორჩეული არ იყო?

- მაშინაც კარგად თამაშობდა და პოტენციალიც ეტყობოდა, მაგრამ ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ასეთ დონეს მიაღწევდა. ახლა ის სხვა „ალანტტაზეა", ძალიან დიდი პროგრესი აქვს.

- მაშინაც ასეთი ათლეტური იყო?

- სუსტიც არ ეთქმოდა, მაგრამ მთლად ასეთი ათლეტური აღნაგობისაც არ ყოფილა. ხომ გითხარით, ის ძალიან ბევრს მუშაობდა საკუთარ თავზე და არც გამკვირვებია მისი პროგრესი.

- პირადად სად გაიცანით?

- მეტოქეებები ვიყავით და თავიდან ერთმანეთს უბრალოდ ვესალმებოდით. მერე კი პაულინინო უფრო ახლოს გავიცანი, რადგან ჩვენს კლუბშიც თამამობდნენ ბრაზილიელები და მათ კაუნასში ხშირად აკითხავდა. ის სწორედ ჩემი თანაგუნდელებისგან გავიცანი და დავმეგობრდით კიდეც. უბრალო ადამიანია. ლიტვის ჩემპიონატიდან ბრაზილიის ნაკრებში - მართლაც ძალიან დიდი ნახტომია. საქმე ისაა, რომ „ვილნიუსის" მეპატრონეს ფინანსური პრობლემები შეექმნა და გუნდი დაიქცა, პაულინინო კი, როგორც ჩემი თანაგუნდელებისგან ვიცი, პოლონეთში წავიდა, მერე ბრაზილიაში დაბრუნდა... შრომისმოყვარეობა დაუფასდა და ხომ ხედავთ, ახლა რა დონის ფეხბურთელია. ბრაზილიის ნაკრებსა და „ტოტენჰემში" შემთხვევითი ვერ მოხვდები.

- დავინახეთ, რომ თამაშის დაწყებამდე თავად მოგესალმათ...

- სიმპათიე ვითხრათ, მისული მერიდებოდა. ვფიქრობდი, მას მერე ვეიდი ნელი გავიდა და იქნებ, არც ვახსოვვარმეთქი. მაგრამ... თავად მოვიდა, თბილად მომიკითხა და წარმატება მისურვა.

- ეს იყო 22 აგვისტოს ყველაზე კარგად გასახსენებელი ამბავი. თავად მატჩზე თუ შეგიძლიათ, რამე გვითხრათ...

- ასე მეგონა, უცხოპლანეტელებს ვეთამაშეთ. ჯოშმარი იყო, ბევრად მაღალი კლასის ფეხბურთელებს ვეთამაშებოდით. მედგები კი განადგურებულები ვართ. „ტოტენჰემთან" ერთი შანსი გვქონდა - მაქსიმალური მონდომებით გვეთამაშა და ვერავინ იტყვის, რომ სირბილი გვეზარებოდა. მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, ძალა აღმართს ხნავსო, ხომ გაგიგონიათ? ან ვის უნდა დავაბრალო ნაგება? შეცდომებზე ლაპარაკი სიბრიყვეა. და თუ რამე შეცდომა იყო, ეს არა „დინამომ", არამედ, პირველ რიგში ქართულმა ფეხბურთმა დაუშვა.

- თქვენი აზრით, მატჩის უფრო ღირსეული შედეგი დასრულება შეუძლებელი იყო?

- 0:5-ის შემდეგ ყველა არგუმენტი უადგილოდ ჩანს. რაღაცას ვიტყვი და თავის მართლებაში ნურავინ ჩამომართმევს - ქართული ფეხბურთის დღევანდელ დონეს მხოლოდ თბილისის „დინამო" ვერ გადაახტება. საქართველოს ჩემპიონატს თუ არ ეშველა და მისი დონე არ ამაღლდა, ნარმოუდგენელია რაიმე პერსპექტივაზე ლაპარაკი. სხვაგვარად, ქართულ კლუბებს ევროპაში ნარმატებით თამაში გაუჭირდებათ. ელიმენტარულად, ჩვენ გამონაკლისები ვერ ვიქნებით და ვერც გულშემატკივარს გავახარებთ. 34 წლის ვარ, ჩემს გარშემო იცვლებოდნენ მწვრთნელები და ხელმძღვანელები, მაგრამ უცვლელი რჩება ჩვენს ფეხბურთში არსებული გარემო. რა პრობლემებსაც ნინა თაობები ანყდებოდნენ, იმავე პრობლემებს ანყდებიან დღევანდელებიც. მე „დინამოს" არ ვგულისხმობ, აქ მართლაც საუკეთესო პირობებია და ვითარება რადიკალურადაა გაუმჯობესებული. მაგრამ გავიხედოთო, რა ხდება სხვაგან, აქეთ კი ნიჭიერ ფეხბურთელებს ზრდის საშუალება? კლუბებს - სტაბილური დაფინანსება, ჩვენს ფეხბურთს კი - კარგი გარემო და ხელშეწყობა? როცა იმგვარსულეთანა და ჩვენს შესაძლებლობებში უდიდესი განსხვავებაა, შეუძლებელია, ეს შედეგში არ აისახოს. ეს არის ობიექტური მიზეზი და თუ გვინდა, ასეთი მოკი შემდგომში მაინც ავიცილოთ თავიდან, ქართულ ფეხბურთს სერიოზულად უნდა მიეხედოს.

გვერდი მოამზადა
მერაბ მამულაშვილმა

● ტრანსფერი

აბრამიძე და იმედაშვილი სიონთან ახლოს

ეალერი აბრამიძე

გონლინის „სიონი" ახალ სეზონს სოლიდური შენძლენებით შეხვდა: კლუბის ხელმძღვანელებმა და ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი კიკნაძემ** ბევრი გამოცდილი და ნიჭიერი ახალგაზრდა მოთამაშე მიიწვიეს. თუმცა, საგრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ჯერ კიდევ არის დრო და ბოლისასელთა აქტიურობაც გრძელდება - ახალ მოთამაშეებს ლაშის ყოველი ტურის წინ იმატებენ. შეგახსენებთ, რომ ბოლო ორი შენაძენია **თორნიკე აფციაური** და **გიორგი კახელიშვილი.**

ლაპარაკი იყო საქართველოს ნაკრების ორი ყოფილი მოთამაშის დამაგებაზეც - ბაქოს „ინტერიდან" ნამოსულ **ეალერი აბრამიძესა** და ლენინორაკანის „ბაზარის" ნახევარმცველ **დავით იმედაშვილზე.** ისინი მზად არიან, ბოლნისში ითამაშონ.

„აბრამიძის საკითხი გადაწყვეტის პროცესშია და, ალბათ, ჩვენთან ითამაშებს. იმედაშვილის ტრანსფერს ველოდებით. ის უკვე თვენახევარია, „სიონში" ვარჯიშობს და უკვე ოპტიმალურ ფორმასაც უაღწევდება. ჯერ საუკეთესოდ ვერც აფციაური გამოიყურება, *მაგრამ გამოცდილი და მაღალი კლასის მოთამაშეა და, შესაბამისად, კონდიციებსაც მალე აღიდგენს. საერთოდ, მჯერა, რომ ახალწვეულები გუნდს დიდ სამსახურს გაუწევენ",* - ამბობს კიკნაძე.

● სატრანსფერო ჭორ-მართალი

ლორია დნიპროში მიდისო...

2013 წლის დასაწყისში ნათამაშები რამდენიმე თამაშმეჭდავი მაჭრის (განსაკუთრებით ესპანეთის ნაკრებთან) შემდეგ **გიორგი ლორიას** შესაძლო ტრანსფერი ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა იყო. რა ვარიანტი აღარ გვინიხილებდა, მაგრამ საქართველოს ნაკრების მეკარე დღესაც თბილისის „დინამოშია".

გიორგი ლორია

თუმცა გუშინ, საფეხბურთო წრეებში ცნობილმა პიროვნებამ „ლეელოს" მიანოდა ინფორმაცია, რომ არ არის გამორიცხული, ლორია მალე დნეპროპეტროვსკის „დნიპროში" გადაიდგეს. მისივე ცნობით, ამ ამბავს „დინამო" მაქსიმალურად ასაიდუმლოებს, თუმცა კლუბების შორის მოლაპარაკება ნამდვილად მიმდინარეობსო - ამტკიცებს რუსპონდენტი.

იმაში, რომ რომელიმე კლუბი შეიძლება ტრანსფერს ასაიდუმლოებდეს, გასაკვირი არაფერია - ეს მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა. ამდენად, შესაძლია, კლუბებს შორის მართლაც მიმდინარეობს მოლაპარაკება, მაგრამ ერთია ინფორმაცია, ხოლო მეორე - რამდენად რეალურია ეს ტრანსფერი? ცხადია, ინფორმაციისთვის თბილისის „დინამოსაც" მიემართეთ.

„ვიცით, რომ ასეთი ხმები გავრცელდა, მაგრამ ლორიას ტრანსფერზე მოლაპარაკება არ მიმდინარეობს", - გვეუბნება კლუბში, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალურ კომენტარზე უარი განაცხადეს.

ალექსანდრე ბაბალიანი

ზუგდიდი

კიდევ ორი ფარაონის მოლოდინში

„ზუგდიდს“ ფული არ აქვს, მაგრამ გუნდი ახალ ფეხბურთელებს იმაგებს, თანაც - უცხოელებს. გუნდს 3 თამაშიდან მხოლოდ 1 ქულა აქვთ და ცხადია, გაძლიერება სჭირდებათ. ზუგდიდელი გულშემატკივარი მარტო ქულების რაოდენობით კი არა, თამაშის ხარისხითაც უკმაყოფილოა. არადა, **კობა წიტაიშვილს** არაერთი კვალიფიციური შეგირდი ჰყავს.

„მიუხედავად შედეგებისა, მე თამაშით კმაყოფილი ვარ, - თქვა წიტაიშვილმა „მერანთან“ მატჩის შემდეგ, - ბიჭებმა იბრძოლეს... საერთოდ, გასათვალისწინებელია, რომ „ზუგდიდ“ შეარტაც არ გაუფლია, ფეხბურთელებმა ვარჯიში ჩემპიონატის დაწყებამდე 10 დღით ადრე დაიწყეს, შეთამაშება და კონდიციები გვაკლია. მაგრამ მჯერა, გუნდი მალე დალაგდება და შედეგიც მოვა“.

„ლელო“ უკვე წერდა, რომ რამდენიმე დღეა, „ზუგდიდში“ ეგვიპტის ნაკრების თამაშები (5 მატჩი, 1 გოლი) **ამირ აზმი მოპამედ მეგაპუდი** ვარჯიშობს. გულშემატკივარი უკვე „მერანთან“ შეხვედრაში ელოდა მის გამოჩენას, თუმცა ეგვიპტელი განაცხადა არ იყო. ნიტაიშვილი ამის მიზეზსაც განმარტავს და უფრო საინტერესო სიახლეებსაც გვიმზელს:

„მეგაპუდი მზადაა, „ზუგდიდს“ უხელფასოდ დაეხმაროს. მაგრამ სულის მოსათქმელად ორიოდე დღე მივეცით და, ალბათ, შემდეგ ტურში ითამაშებს. აქვე გეტყვით, რომ კიდევ ორი ეგვიპტელი ფეხბურთელი ჩამოგვყავს: ჯამალ ჰამზა, რომელიც „ალ ზამალკსა“ და გერმანიის ბუნდესლიგის „მაინცში“ ირიცხებოდა. მას ეგვიპტის ნაკრებშიც უთამაშია. ბოლოს კი, თავის ქვეყანაში დანაგებული არეულობის გამო, ერაყში წავიდა. ის თავდამსმენელია, თუმცა უკანდახეულ შეტტეკ ნახევარმცველადაც გამოვაკდებება. მეგაპუდის დახმარებით, შესაძლოა, მესამე ეგვიპტელიც ჩამოვიყვანოთ. ეს არის აშმედ აბუ მოსალემი. ის ფრანგულ „სტრასბურსა“ და „იარში“ თამაშობდა, მარცხენა მცველია და ევროპულ ტურნირებზე გამოსვლის გამოცდილება აქვს. იმედია, ამ გამოცდილი მოთამაშეების გვერდით ჩვენი ბიჭებიც გაიზრდებიან, გუნდი გაძლიერდება და ჩემპიონატში ყველა მეტოქესთან იბრძოლებს. არ მსურს, ჩემი სამწვრთნელო კარიერა ნარუმარტებლად დაინყოს“.

ახლა უფრო კონკრეტულად „ზუგდიდის“ ახალ „ფარაონებზე“ (ეგვიპტის ნაკრების მეტსახელი).

ჯამალ ჰამზა

ჯამალ ჰამზა

დაბადება 1981 წლის 5 დეკემბერს
ქაირობი (31 წლის)

სიმაღლე: 174 სმ
პოზიცია: თავდამსმელი

საკლუბო კარიერა

2000-09	ზამალე

● იტალია. სერია A. | ტურის გამოსამაურება

ლუკა ტონი: მეც მინდა მუნდიალზე!

ახალი სეზონის პირველი ემოციები

ლუკა ტონი - როგორც ძველ, კარგ დროს...

ესეც ასე - სერია A-ს 2013-2014 წლების ბოლამდეშებამ სტარტი აიღო და დაიწყო მარათონი, რომელიც მთისში დასრულდება. ფავორიტთა უმეტესობამ პირველ ტურებში სამი ქულა მოიპოვა, სენსაცია კი ვერონაში დაფიქსირდა, სადაც ადგილობრივმა გუნდმა „მილანი" დაჯახნა. ბუნებრივია, იტალიურ სპორტულ პრესაში ყველაზე დიდი გამოხმაურება „როსონერის" მარცხს და ლუკა ტონის ბენეფისს მოჰყვა...

ტონის ორი გასროლა

„ვერონას" გულშემატკივართა ნაწილმა **ლუკა ტონის** ტრანსფერი აქტიურად გააპროტესტა, რადგან ტანმაღალი ფორვარდი ბოლო ორი წელია ვერაფერ ფეხბურთს აჩვენებდა. გასულ სეზონში, „ფიორენტინას" ღირსებას იცავდა და იმდენად მძიმედ ვამოიყურებოდა, რომ ბევრმა მას კარიერის დასრულება ურჩია - ეგ კი არა, **ჯახი ჯალაძის** გამოსამშვიდობებელ მატჩში ლუკა ვეტერანი ფეხბურთელებისგან ბევრი არაფერი გამოირჩეოდა და მართლაც დარჩა შთაბეჭდილება, რომ მისმა მატარებელმა დიდი ხნის წინ ჩაიარა. ერთი მატჩით შორსმიმავალი დასკვნების გამოტანა შეუძლებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ახალი სეზონი 36 წლის თავდამსხმელმა შესანიშნავად დაიწყო - **კრისტიან ანიგბა** კარში ორი გოლი შეაგდო, ორივე თავით და „ვერონას" პირველი ქულები ზაზუნერა აქტიაში... მატჩის შემდეგ, ტონის სტანდარტული კომენტარი გაიკეთა და განაცხადა, რომ სწორედ ასეთ სტარტზე ოცნებობდა, მოგვიანებით კი დაციცქინთ საინტერესო განცხადებაც გაიკეთა:

„ჩემზარე პრანდელის კომენტარს გაკვეცანი, სადაც თქვა, რომ იტალიის ეროვნულ ნაკრებში დაბრუნების შანსი ფრანჩესკო ტატის და თვით ალესანდრო დელ პიეროსაც კი აქვთ. ასეთ შემთხვევაში, „სკუდერა ანტონი" მოხვედრის იმედს მეც ვიტოვებ და ყველაფერს გავაკეთებ, რომ პრანდელის თავი მოვაწონო. ბრაზილიურ შუნდიალზე ასპარეზობა ყველა ფეხბურთელის ოცნებაა და გამონაკლისი არც მე ვარ".

მილანური ჰოლუსები

იტალიურ სპორტულ პრესაში არაერთხელ დაინერა, რომ სერია A-ს წამყვანი კლუბებიდან საგრანსფერო ფანჯარა მხოლოდ „ინტერმა" ჩაიაგო. შესაბამისად, მიმდინარე სეზონში მილანური გრანდი ბევრმა ჩამონერა და ეს სადღაც ლოგიკურიცაა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთი სუსტი შემადგენლობა „ნერაძურის" ათწლეულებია, არ ჰყოლია. მართალია, ამ ზაფხულს არც „მილანს" დაუხარჯავს კოლოსალური თანხები, მაგრამ ამ კლუბის გაახალგაზრდავებისკენ მიმართული პოლიტიკა ყველასთვის გასაგებია და ისედაც, **მასიმილიანო ალეგრის** განკარგულებაში მეტი ვარსკვლავი და ექსტრაკლასის მოთამაშეა. მოკლედ, თუ „ინტერს" მაქსიმუმ ეფროსაგზურის მოპოვებისთვის ბრძოლას უნინასწარმეტყველებენ, „მილანი" სკუდეტოს მაძიებლად მოიაზრება.

პირველ ტურში, ყველაფერი საპირისპიროდ მოხდა, რაშაც კალჩოში დიდი აფიოტაჟი გამოიწვია. „მილანი" კრიტიკის ქარცეცხლში გაეხვია, **ვალტერ მაცარი** კი აქეს და ადიდეს - მოკლედ, სენიორ ვალტერს ჯერჯერობით ხოტბა არც „ინტერში" აკლია...

ვალტერ მაცარი („ინტერის" მწვრთნელი): *„ვუნდი იმაზე უფრო სწრაფად პროგრესირებს, ვიდრე წარმოიდგინა და ეს ძალიან მახარებს. „ინტერმა" გასულ სეზონში ბევრი საშინაო მარცხი იწვნია და ამ გამარჯვებას ოქროს ფასი ჰქონდა. საკუთარი გულშემატკივრის თვალწინ რეპანლიტაცია იყო საჭირო და მიზანს მივაღწიეთ. ვიცოდით, რომ მეტოქე დაცვიდან თამაშობდა და შესაბამისი სტრატეგია შეეარჩიეთ. კმაყოფილი ვარ შეგიძლია გარეკი და იმედია, მომდევნო პაექრობას უფრო მაღალ დონეზე ჩავაკარებთ".*

ადრინანი გალიანი („მილანის" ვიცეპრეზიდენტი): *„ერთი მარკიზისგან ტრაგედია ნამდვილად არ უნდა შევქმნათ და ვერაფერთ გაკი ზარიერ ინ კრატიას, რომელიც ვერონაში მარცხის შემდეგ დაგვაგზავდა თავს. კარგი იქნებოდა სამი ქულა აგვეღო, მაგრამ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ. ვუნდი ჯერ არაა ოპტიმალურ ფორმაში და არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩემმა ონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე უმნიშვნელოვანეს შეხვედრებს ვატარებთ. რა დასამალია და ამ ეტაპზე, პრიორიტეტი სწორედ ჩემმაონთა ლიგის ძირითად ბადეში მოხვედრაა".*

რომაული ჰარმონია

ტურის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მატჩი „სტადიო ოლიმპიკოზე" გაიმართა, სადაც „ლაციომ" „უდინეზეს" უმასპინძლა და მინიმალური ანგარიშით დამარცხა მეტოქე, 2:1. **ელადინარ ჰეტკოვიჩს** სიურპრიზები არ მემოუთავაზებია, მისი გუნდი ისეთივე იყო, როგორიც გასულ სეზონში და ფეხბურთელებიც სწორედ ისინი გამოირჩნენ, ვინც გასულ სეზონში ბრწყინავდა - თუფდაც გოლების ავტორები: **ერნანესი** და **ანტონიო კანდერეკა**. მაინც რა არის ამ „ლაციოს" პროგრამა მაქსიმუმი? - უმეტესობა ალბათ ჩემმაონთა ლიგის საგზურს იტყოდა, მაგრამ რომაელთა თავკაცმა მოულოდნელი განცხადება გაიკეთა;

„მუუხდებად იმისა, რომ მეტოქე ყველა კომპონენტში დაეკვალნეთ, იყო ძანსი რომ მეორე გოლი გაგვეფრა და ორი ქულა დაგვეკარგა. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ მოდელუნება არაფერით არ შეიძლება და ბოლო წუთამდე ბრძოლაა საჭირო. შეუძლია თუ არა „ლაციოს" „ჩემმაონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა? - სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ ს.კუდეტოსთვის ბრძოლაც შეგვიძლია. მთავარი სწორი მუშაობა და ცოტა იღბალია".

გასულ სეზონში შერცხვენილმა „რომამ" სასტარტო შეხვედრაში სამი ქულა მოიპოვა, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ „ჯალიროსამ" ბანაკში ოპტიმისტური განცხადებები გაკეთებულიყო. ტრადიციულად, თავი **ფრანჩესკო ტატომ** ვამოიდო და განაცხადა, რომ ახალ მთავარ მწვრთნელს ჯუნდი სნორი გზით მიმყავს:

„რუდი გარსია საქმეს უნარიანად უძღვება და დარწმუნებული ვარ, ამის შედეგს მალეე ვიხილავთ. „ლიეორნო" მოტივირებული დაგვხვდა, მაგრამ სწორი თამაშის და კლასის ბარგზე, გამარჯვება სწორედ ჩვენ მოვიპოვეთ. მთავარია, არსებული ბარგზები გამოვასწოროთ, კიდევ უფრო გაეძლიერდეთ და რაც მთავარია, სტაბილურად ვიისპარზეობთ. ბოლო ნლებში, ჩვენი მთავარი პრობლემა არასტაბილურობაა - შეგვეძლო მოგვეგო ნუნისმერ მეტოქესთან, მაგრამ ამავდროულად, ნაგვეგო ბოლო აუტსაიდერთან. ეს დრო წარსულს უნდა ჩაბარდეს და ამის კონტურებს ნამდვილად ვხედავ".

რუდი გარსიამ მოსაღოდნელზე შემტევი ფეხბურთი ითამაშა ჯუნდს, რამაც მასსა და **ლუის ენრიკეს** შორის პარალელების გავლება გამოიწვია - თუმცა, იტალიელი სპორტული ჟურნალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ „ჯალიროსამ" „ლიეორნოსთან" მეტად ორგანიზებული გუნდის თითბეჭდილება დატოვა; ორგანიზებულობა, ერთსულოვნება და ზოგადად, გუნდურობა „რომას" ნამდვილად აკლდა და დიდწილად სწორედ ამის გამო ვერ აღნევდა წარმატებებს ხსენებული ლუის ენრიკეს, ან ენრიკეთ **ზდენეკ ზემანისა** და **აუერელო ანდრეაკოლის** ხელში.

ფავორიტები

პირველი ტურის შემდეგ, სატურნირო ცხრილის სათავეში მოდერნიზებული „ნაპოლია" მოქცეული, რომელმაც „ბოლონიას" სამი უპასუხო გოლი გაუტანა და ტურში ყველაზე დიდი სხვაობით გაიმარჯვა. კარგად ნარმოჩნდნენ ნეაპოლელთა ახალწვეულები: **რაულ ალბიოლი, ხოსე კალეხონი, გონსალო იგუაინი** და თუუფდაც **დრის მერტენი**, რომელიც მხოლოდ მეორე ნახევარში გამოჩნდა მინდორზე. მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი კი მაინც **მარეკ ჰამშიკი** იყო ოვალი გვარდიიდან, რომელმაც თითქოს **ედინსონ კავანის** როლიც აიღო თავის თავზე და გნებავთ, თვით **ესეკელ ლავეზეს**, რომელსაც ნეაპოლიტანელები დღემდე მისტირნან... სლოვაკი შემტევი უბრალოდ შეუდარებელი იყო და გარდა მისა, რომ ორი გოლი შეაგდო, თითქმის ყველა მნვავე იერიშში მთავარი როლი ეკისრა. რაც შეეხება მის მეორე გოლს, მართლაც ფანტაქტიური გამოვიდა - ტენნის უმაღლესი დონე გამოავლინა, როდესაც ერთი სხარტი მოძრაობით მცველები უკან მოიტოვა, ხელსაყრელ პოზიციაზე გავიდა და უზუსტესად დაარტყა. ნამატ ჩვეს, ჰამშიკიც და მისი გუნდის მთავარი მნვრთნელიც უაღრესად კმაყოფილნი გახდნენ...

მარეკ ჰამშიკი (ნაპოლი): *„ეს იყო ბრნყინვალე შეხვედრა, რომელიც არსაღროს დამავიწყდება. მთელმა ჯუნდმა უმაღლეს დონეზე ითამაშა და შედეგიც სახეზეა. „ბოლონია" საკმაოდ ძლიერი გუნდია, რომელიც ცხრილის ზედა ნაწილში მოსახვედრად იბრძოლებს - ასეთი მეტოქის ყველა კომპონენტში დაგიბანა იოლი საქმე ნამდვილად არ არის. „იუვენტუსთან" ერთად, „ნაპოლი" სკუდეტოს მოპოვების ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად თვლეს და ეს მეტად სასიამოვნო განცდაა".*

რაფაელ ბენიტეზი („ნაპოლის" მწვრთნელი): *„ნამდვილად არ მიკვირს, რომ მეტოქეს სამი გოლი გავუტანეთ და დამავიჯერებლად გავიმარჯვეთ. ბოლო ერთი კვირა, ჯუნდმა მკვეთრად მოუმატა და ეს ეარგებეს ზეგ თვალსაჩინო იყო. ახალწვეულები ისე გრძნობენ თავს, თითქოს აქ წლები თამაშობენ, ეს ყველაფერი კი ოპტიმიზმს მიღვივებს. რაც შეეხება „იუვენტუსთან" კონკურენციას, ამაზე საუბარი ჯერ ძალიან ადრეა - ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს".*

ტურნინი **კაროლს ტეკვეს** აქებენ, თანაც ისე, თითქოს ამით ურჩი ბავშვის კიდევ უფრო მორგულება სურთ. თვითონ არგენტინელი „ოუვეს" სიყვარული ეფიცება და ამტკიცებს, ასეთი მოტივირებული მხოლოდ კარიერი სანყისა წლებში ვიყავიო. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ სუფ ახლო წარსულში, კარლოსი ბუცეტის ლურსმანნზე ჩამოკიდებას ლამობდა... „ოუვე" ფავორიტია, პირველი ქულები აქტიფში აქვს, დანარჩენი კი, რაფა ბენიტესის არ იყოს, დროთა განმავლობაში გამოჩნდება.

სერია A. | ტური

ფიორენტინა-კატანია	2:1

გოლები: 1:0 როსი (14), 1:1 ბარიენტოსი (22), 2:1 ბისაირი (28).

ფიორენტინა (3-5-2): ნეტტი – სავინი, გონსალო, კომპერი – ჰასკუალი (76. ალონსო), აკვილანი (84. ფერნანდესი), ბისაირი, ბორჩა ვალეური, ჯუფარადო – როსი (66. ილიჩიჩი), გომეზი.

კატანია (4-3-3): ანდუხარი – ალვარესი, მონმონი (90. როლინი), სპოლი, ბელუში – პანიიოტისი (80. ბიაჯანტი), ისკო, ლეტო (81. ლოპესი) - ბარიენტოსი, კასტრო, ბერეკესიო.

გაფრთხილება: ბისაირი, გომეზი – ალვარესი, სპოლი, ანდუხარი, ბარიენტოსი.

კუთხური: 3-3, **ჯარიმა:** 18-16; **თამაშგრძ:** 4-5; **კარში დარტყმა:** 12-13(6-4); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

მაყურებელი: 28 000

ლაშა წიკლაური

● ინსიდენტი

მსაჯი სასტიკად სცემეს

რამდენიმე დღის წინ პარაგვაის იუნიორთა ჩემპიონატის ერთი რიგითი შეხვედრა ვადაზე ადრე შეწყდა. მიზეზი ფეხბურთელების მიერ მთავარი მსაჯის ჯერ სიტყვიერი და მერე ფიზიკური შეურაცხყოფა გახდა. არბიტრმა მასპინძელ ფეხბურთელს მეტოქის ნინააღმდეგ განწრახ უხეშობის გამო პირდაპირ წითელი ბარათი აუფრინალა. რამდენიმე წამში მასთან გაძვეტებულს ჯერ ერთი თანაგუნდელი მიეჭრა და შეაგინა, მერე მეორემ გაიმეორა ეს საქციელი. მსაჯმა ორივეს წითელი უჩვენა. ამის შემდეგ კი სიტუაცია უკონტროლო გახდა. მსაჯი დასაჯილი გუნდის მოთამაშეთა გარემოცვაში აღმოჩნდა. ერთ-ერთი კი მას რინგის მეთოდით გაუსწორდა და მაღალ ნოტამაში სახეში ნიხლი უთავაზა. მოედნნენ მობენტალურად გამოჩნდა ხელჯოხებით შეიარაღებული პოლიცია, რომელმაც დაზარალებული კიდევ უფრო მძიმე დაზიანებებს გადაარჩინა.

ლევან ბიბილაშვილი

მარეკ ჰამშიკი შეუჩერებელი იყო

ბრაზილია. სერია A. XVI ტური

გაბრიელი, იგივე გაბიგოლი, ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა გოლის ავტორი გახდა

ბრაზილიური სერი(ალ)ები

ფლამენგო-გრემიო	0:1

გოლი: 0:1 პარა (8)

პონტა პრეტა-კრუზეირო	0:2

გოლები: 0:1 დედე (23), 0:2 ბორგესი (72)

სანტოსი-ვიტორია	2:0

გოლები: 1:0 გაბიგოლი (9), 2:0 სისერო (56)

კრუზეიროა-კორინთიანსი	2:1

გოლები: 1:0 სუელტონი (35), 2:0 ფაბინიო (36), 2:1 ჟუნიორ სეზარი (61)

ვასკო-კორინთიანსი	1:1

გოლები: 0:1 ბერეირა (4), 1:1 ანდრე (55)

სან პაულო-ფლუმინენსე	2:1

გოლები: 1:0 ლუიზ ფაბიანო (28), 2:0 რენალდო (45), 2:1 ედუარდო (90)

ბაია-ნაუბიკო	2:0

გოლები: 1:0 ეულდირი (57), 2:0 ფერნანდეო (77)

აგლ. მინეიროს-პორტუგეზეა	2:1

გოლები: 0:1 ბრუნო ენრიკე (36), 1:1 დიეგო ტარდელი (55), 2:1 დაბოლო (89)

ინტერნასიონალ-ფლუი

● ბერმანია. ბუნდესლიგა. III ტურის შეჯამება

ალიყური, ბზიკი და ბევრი წითელი

სულელური გაძევებები ზინსჰაიმი, დაკებენელი ალოპი, მცველების გარეშე დარჩენილი „შალკე" - ამ და კიდევ ბევრ სხვა საინტერესო ფაქტს ბუნდესლიგის მესამე ტურის შეჯამებაში იხილავთ.



„დორტმუნდის" ორი თილისმა: ალოპი და ფუტკარი „ემა"

ბზიკი, ფუტკარი და ხარი

32:7 - ასეთი იყო დარტყმების შეფარდება დორტმუნდის „ბორუსიას" და „ვერდერის" თამაშის შემდეგ. „შავყვითლებმა" გამარჯვების მოპოვება გაჭირვებით, მაგრამ მანც მოახერხეს, თუმცა მათი მწვრთნელი **იურგენ კლოპი** ბოლომდე კარგ ხასიათზე ვერ იყო:

„იმ დროს, როდესაც მოედანზე სვენ ბენდერი გამოდიოდა, ხელზე ბზიკმა მიკბინა - განაცხადა კლოპმა - არ ვიცი, ალერგიული ვარ თუ არა, მაგრამ ნაკბენი უკვე დეზინფიცირებულია. სიმართლე, რომ გითხრათ ხელი არ მტკივა, მაგრამ ნაკბენის კვალი საკმაოდ დიდია".

ეს ყველაფერი კი „ბორუსიას" თილისმა, ფუტკარ „ემას"თვალწინ ხდებოდა. პო, შეხვედრის ერთადერთი გოლი **რობერტ ლევანდოვსკის** გაიტანა, რომელიც მწვრთნელმაც გამოარჩია: *„ის დღეს ბარიერთან შრომობდა,"* - შეაქო პოლონელი კლოპმა.

ალიყური და სულელური გაძევება

საფეხბურთო მატჩი 90 წუთის განმავლობაში გრძელდება. ამ პერიოდში, შესაძლოა „გლადბახელი" **კრისტოფ კრამერიციი** შეშლილმა ირბინო და თამაშის ბოლოსკენ 13 კილომეტრი დაფარო, მაგრამ შეიძლება შენი საქმე პირველ 9 წუთშიც გაკეთო. **სეად სალიაოვიჩმა** „ფრაიბურგთან" პენალტი გამოიყენა, გოლის აღნიშვნის დროს კი **იულიან შუსტერს** აღიაყრო უთავგზა, რისთვისაც ნითელი ბარათი მიიღო და ორკვირიანი შვებულება გამოწერა. ამ ტურში კიდევ 7 სხვა ფეხბურთელი გაადგეს: **ჰუშტი, ლუის გუტკავო, კოკლენი, პიოვედენი, ფუხსი, ტრაორე** და **მეაშედი**. ყველაზე სულელური აღბათ ამ უკანასკნელის გაძევება იყო - მატჩის 93-ე წუთზე, აბსოლუტურად უმნიშვნელო ჯარიმის შემდეგ, შეეიცარიელმა არბიტრის გონიერებაში ყველასთვის ცნობილი ფესტით ეჭვი შეიტანა და საჩვენებელი თითი საფეხელთან მიიტანა. **ტობიას შტილერმა** კი მეამედელის „შეკითხვას" პასუხი ჯიბიდან ნითელი ბარათის ამოღებით გასცა...

დაცვის გარეშე

კრისტიან ფუხსის და ბენედიქტ პიოვედენის გაძევების შემდეგ, **იენს კელერს** გუნდში მცველი აღარ დარჩა. როგორც ჩანს, მომავალ ტურში „შალკე" დაცვის გარეშე თამაშებს. ფუხსი და პიოვედენი დისკვალიფიცირებულნი არიან, **პაპადოპულოსი** და **კოლაშინაცი** დამტვრეულნი, ტრავმები **უჩიდას** და **მატპასაც** ანუხებთ. გარდა ამისა, საეჭვოა **ჯოუნსის** და **გორეტცას** თამაშიც. როგორი შემადგენლობით უნდა ათამაშოს გუნდი კელერმა?

„გუნდი, რომელი გუნდი?" - კითხვაზე კითხვითვე უპასუხა ჯერ კიდევ „შალკეს" დამრიგებელმა.

„ხუმარებს" ერთი გამოსაკეთი აქვთ - დაუკავშირდნენ და რჩევა სთხოვონ **ლუკას პოდოლსკის**, რომლის „არსენალიც" დაახლოებით ანალოგიურ მდგომარეობაში იყო და თავიანი მატჩი („ფულჰემთან") მანიც მოიგო.

იქნება ჯილლიგი ნარჩებში?

ბუნდესლიგონელი **იოახიმ ლიოი** ლევერკუზენში იყო, „ბაიერის" თამაშს დაესწრო და რამდენიმე საინტერესო რამ იხილა. ბუნდესლიგის წინა სეზონის საუკეთესო ბომბარდირმა **შტეფან კისლინგმა** ბოლო 9 შეხვედრიდან მერვეში გაიტანა (სულ 9 გოლი) და „ბაიერის" ფორმით თავისი მე-100 გოლი შეგადო. გარდა ამისა, კისლინგმა ორი საგოლე პასიც გააკეთა. საინტერესოა, საკმარისია თუ არა ეს ყველაფერი იმისთვის, რომ „ლევერკუზენის" ფორვარდი მუნდალზე გაეგზავნოს?

„ერთი ან ორი ფეხბურთელი, რომელიც დღეს მოედანზე იყო, ნაკრების უახლოესს მეკრძალზე მინვეველი იქნება," - განაცხადა ლიოვმა.

ვის გულისხმობდა „იოგი"? კარგად მოთამაშეს **მაქს კრუზეს**? თუ დუბლის ავტორ **სიდნი სემს**? ისეთი პირი უჩანს, რომ კისლინგი კვლავ ნაკრებს მიღმა დარჩება.

„ვიცი, რომ ის სტადიონზე იყო, მაგრამ ნამდვილად არ ვიცი, ვის აკვირდებოდა. ეს მისი საქმეა," - განაცხადა „ფარმაცევტების" მე-11 ნომერმა.

მიულერები

თომას მიულერმა მორიგი ტური საათადარიგოთა სკამზე დაინყო, სადაც ის **მარო ეიოტცემ** გადასცა, სამაგიეროდ, თავიც გამოჩენა კვლავ შეძლეს მისმა მოგვარეებმა, **ჰანს მიულერმა** და **ნიკოლაი მიულერმა**. მათი „მანეცი" ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერია და სამ გრანდთან („დორტმუნდი", „ბაიერი", „ლევერკუზენი") ერთად, ისიც უდანაკარგოა.

ჰანს მიულერი ახალი სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა, ნიკოლაი კი 4 გოლით ბომბარდირთა დაეკის ლიდერი გახლავთ. *„ახლა ჩვენთვის იდეალური პერიოდია,"* - განაცხადა **თომას ტუხელმა**. *„ჩვენ სტაბილურად კარგად ვთამაშობთ,"* - დაეთანხმა მწვრთნელს ნიკოლაი მიულერი.

ფოლანდის რევანში

კევინ ფოლანდმა პირველ ტურში გოლი გაიტანა, მაგრამ არბიტრებმა ვერ დაინახეს, როგორ გადაკვეთა ბურთმა კარის ზაზი და გოლი არ ჩათვალეს. *„მსაჯიც ადამიანია და შეეცდომა ყველას მოსდის,"* - განაცხადა მაშინ „ჰოფენჰაიმის" ფორვარდმა, რომელმაც ერთგვარი რევანშის იდეალური მეთოდი იპოვა: არც ერთი ტური ლამაზი გოლის გარეშე. ნინა ტურში კევინმა „ჰამბურგთან" შორეული დარტყმით იხერია, ამჯერად კი საჯარიმოს მარცხენა კუთხიდან **ბაუმანს** ბურთი თავზე გადაუგდო და ზედიზედ მეორედ ტურის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი გოლი გაიტანა.

საინტერესო ფაქტები

■ **დორტმუნდის „ბორუსიამ" პირველ სამ ტურში გამარჯვება 12-წლიანი პაუზის შემდეგ შეძლო. 2001/02 წლების სეზონი „დორტმუნდმა" ჩემპიონობის მოპოვებით დასრულა.**

■ მიუნხენის „ბაიერმა" უკვე 28 თამამია არ წაუგია, რაც ახალი საკლუბო რეკორდია. ბუნდესლიგის რეკორდამდე, რომელიც „ჰამბურგს" ეკუთვნის, „ბაიერმა" 8 თამამი აშორებს.

■ **ლევერკუზენის „ბაიერმა" ზედიზედ მერვე მაჭრა მოიგო და საკლუბო რეკორდი დაამყარა.**

■ „ჰამბურგი" ზედიზედ მესამე წელია ვერ ახერხებს პირველ სამ ტურში 1-ზე მეტი ქულის მოგროვებას.

■ **„შტუტგარტმა" პირველ სამ ტურში სამი მარცხი ისტორიაში მეორედ განიცადა. პირველად ასეთი რამ შეგიბეს 2010/11 წლების სეზონის სტარტზე მოუვიდათ.**

■ **ფრანკ რიბერიმ** ბუნდესლიგაში პირველად გაიტანა თავიდან.

■ **ჰაალილ ალთინთოფმა 2 527-წუთიანი მშრალი სერია დაასრულა და ბუნდესლიგაში 2010 წლის მაისის შემდეგ პირველი გოლი გაიტანა.**

■ ტურში რვა გაძევებება ბუნდესლიგის ყველა დროის რეკორდია

■ **პირველ სამ ტურში 15 პენალტი დაინიშნა - ესეც რეკორდი**

● ბუნდესლიგა

პირველი თავი დაგორდა: ლაბადია გაუშვეს

რშგორა მოსალოდნელი იყო, პირველი მწვრთნელი, რომელიც ბუნდესლიგის ჯუნდიდან გაიგზავნა **ბრუნო ლაბადია** აღმოჩნდა. „შტუტგარტმა" სეზონი კატასტროფულად დაიწყო და გარდა იმისა, რომ პირველ სამ ტურში სამი მარცხი განიცადა, ეფრაპა ლიგაზეც ცუდად გასასვლა, სადაც შეაბებმა ხორვატულ „რიეკასთან" 1:2 ნაგაკეს, ნინა ეტაპზე კი ძინ ბუულგარულ „ბოტევს" (0:0) ვერ მოუგეს.

შეაბების ახალი მწვრთნელი ვინაობა ცნობილი აქ კვირაში გახდება. ჩვენი ვერმნახელი კოლეგების ინფორმაციით, პოსტის დაკავების მთავარი კანდიდატები ყოფილი ფეხბურთელები, **თომას შნაიდერი, ზეონიმირ სოლდო** და **კარსიმირ ბალაკოვი** არიან.

თომას შნაიდერი, რომელიც ამჟამად გერმანიის 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელია, „შტუტგარტში" 1983-2003 წლებში თამაშობდა. ზეონიმირ სოლდო გუნდის ლორსებას 1996-2006 წლებში იცავდა, კარსიმირ ბალაკოვი კი შეაბების რიგებში 1995-2003 წლებში გამოდიოდა და ბუულგარელმა, **ჯოვანი ელბერთან** და **ფრედი ბობიჩთან** ერთად შექმნა „ჯადოსნური სამკუთხედი", რომელიც არა მარტო „შტუტგარტის", არამედ ფეხბურთის ყველა მოყვარულს აღაფრთოვანებდა.

გვიანდა მოსეხალა
ტატო ბაციკაძე

ბრუნო ლაბადია

P.S წუხელ გაირკვა, რომ მთავარ მწვრთნელად თომას შნაიდერი დაინიშნა, რომელიც აქამდე „შტუტგარტის" ახალგაზრდულ გუნდს ავარჯიშებდა.

საუკეთესო ფეხბურთელები

III ტურის შემდეგ, „კიკერის" შეფასებების მიხედვით

ფეხბურთელი	კლუბი	შეფასება	ს/შ
1. ფრანკ რიბერი	ბაიერი	3	1,67
2. კევინ ფოლანდი	ჰოფენჰაიმი	3	1,83
3-6. დანიელ დასერი	ბრაუნშვაიგი	2	2,00
ფილიპ ლაჰმ	ბაიერი	3	2,00
არიან რობენი	ბაიერი	2	2,00
სიდნი სემი	ბაიერი	3	2,00
7-11. შტეფან კისლინგი	ბაიერი	3	2,17
ნიკოლაი მიულერი	მაინცი	3	2,17
რაფაელ შრეერი	ნიურნბერგი	3	2,17
ო

● კარდიფი-სიტი. გამოხმაურება

ხასიათების ჭიდილი

სიტის კონცენტრაციის დაკარგვა ძვირი დაუჯდა

ჯო ჰარტი გამოსვლაზე შეცდა და ფრეიზერ კემბელს გაგანის საშუალება მისცა

პირველ ტურში „ნოუკასლთან“ „მანჩესტერ სიტის“ ძალიან ძლიერად ითამაშა, თუმცა საფეხბურთოო ექსპერტების შეფასებები მაინც თავშეკავებული იყო, თუმცა საქმეს არც კომპლიმენტების გარეშე ჩაუვლია. კარგი დასანყისი მისასალმებელია, თუმცა „ქალაქელებმა“ პირველივე გასვლითი შეხვედრა ჩააგდეს, თანაც ჩემპიონატის დებიუტანტმ „კარდიფ სიტისთან“. ეს მაშინ, როდესაც შეხვედრაში სნორედ ექსჩემპიონებმა გასხსეს ანგარიში. საოცარია, რომ ბურთს „სიტი“ აკონტროლებდა, თუმცა თამაშში ჩართვა უფრო ხმირად **ჯო ჰარტს** უნევდა. თავის მხრივ არც ინგლისის ნაკრების მეკარე იყო მოწოდების სიმაღლე?ზე და მარცხში მანაც თავისი წილი დაიდო. მეორე გოლი 26 წლის კარის დარაჯის აშკარა შეცდომის გამო გავიდა. თამაშის დასრულების შემდეგ გუნდების წარმომადგენლები პრესკონფერენციაზე გამოცხადდნენ და თავიანთი მთამბეჭდილებები გაგვიზიარეს.

მაგრის შეფერგი

მანუელ პელეგრინი („მანჩესტერ სიტის“ მწერონელი): „კარდიფთან“ თამაში საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა. თითქმის მთელი პირველი ტაიმი მეტოქეს თავს 10 აცალით იცავდა და ამის გამო საჯარიმოსთან მიაღწიეს და გაგანა ბუფფონი აღმოჩნდა. ჯეკოს გოლის შემდეგ „კარდიფმა“ თამაში გამოასწორა და ორ საგოლე სიტუაციაში გადაწყვიტა მეხვედრის ბედი. გამთანაბრებელი გოლის ანალიზი ჯერ არ გამიკეთებია, თუმცა ფაქტი ერთია, რომ ამ ეპიზოდში საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე მთელ გუნდს ერთიანად უნდა ეზრუნა და არა მხოლოდ მეკეთვლეს და მეკარეს. მნიშვნელოვანი არა აქვს, ვინ იყო დამნაშავე, ორჯერ კუთხურების შემდეგ გოლის გაპვება უპატიებელია. ჩვენ პირველ ტურზე ბევრად უფრო ხუსტად ვითამაშეთ, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ ძალიან ცუდები ვიყავით. ფეხბურთელები კონცენტრირებულები იყვნენ გოლის გასაატანად, თუმცა სამოლოოდ სტანდარტულმა მდგომარეობებმა დაგვლუპა. ფეხბურთში ასეთ დეტალებზე ყურადღების გამახვილება გადამწყვეტი ხდება ხოლმე. მართალია, ნავაგეთ, თუმცა მაინც მგონია, რომ მეტოქეზე უკეთ ვითამაშეთ. ნავაგეთ იმიტომ, რომ ბევრ პარტიაში ამ შეცდომების აღმოფხვრაზე გულდასმით ვიტუმბავებთ“.

იაია ტურე (მანჩესტერ სიტი): „ნავაგეთ ან ფრე მისასალმებელი არსადროს არის, თუმცა რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ, ეს ჩემმონაცხის მხოლოდ დასაწყისია. ახლა მთავარია, მართებული დასკვნები გავაკეთოთ და მოვიფიქრთ, როგორ უნდა ვითამაშოთ მომდევნო ტურებში. პრემიერლიგაში არც ერთი შეხვედრის მოგება არ იქნება იოლი. იმედგაცრუების მიუხედავად, შეცდომების გამოსწორება ხუნდა ვიმუშაოთ და მხოლოდ წინ ვიაროთ. აშკარაა, კუთხურებისას ყურადღება მოდუნებული გვქონდა და ეს ანგარიშის გახსნის შემდეგომ მოხდა. ცუდია, რომ რამდენიმე საგოლე შანსი ვერ გამოვიყენეთ. მეტოქეზეც მინდა ორიოდე სიტყვის თქმა: „კარდიფი“ ნამდვილად ღირსეული მეტოქე აღმოჩნდა. ის ორგანნზებულად აბერხებდა თავის დაცვას“.

მალკი მაკაი („კარდიფ სიტის“ მწერონელი): „ჩემმა ფეხბურთელებმა ალაოლად დიამსახურეს ეს შედეგი. შარშან ჩემპიონშიაი ულაპარაკოდ მოვიგეთ და რამდენიმე რეკორდი დავამყარეთ, მაგალითად, საუკეთესო შედეგი გვქონდა შინ დაგროვილი ქულების მიხეედით. საკუთარი ძალების რწმენა, რომელიც დღეს ლიგის საუკეთესო გუნდის ნინააღმდეგ შევიძინეთ, ის ფაქტორია, რომელიც მომდევნო უქმეებზეც გამოვადგება და იმის შემდეგაც. დიახ, ჩვენ დაიმსახურეთ აქ ყოფნა. „კარდიფი“ ის ციხეესმაგრეა, რომლის შენებაც შარშან დაგინყეთ. საფინალო სასტვენის შემდეგ ტრიბუნებზე შეკრებილი გულშემატკივრის საოცარი ზეიმის მონმენი გავხდით. აღმოსავლური საოცარი იყო ჯერ კიდევ თამაშის დანყებამდე. დღეს ძალიან ამაყი ვარ, რადგან დაგამარცხეთ მონინააღმდეგე, რომელიც მსოფლიო ელასის ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. ეს ჩემი გუნდის განსაკუთრებული ხასიათის კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს“.

● ბელსი

ვილიანი ოთხშაბათს გაფორმდება

ბრაზილიის ნაკრების 25 წლის კაბდიდატი **ვილიან ბორხეს და სილვა**, ანუ უბრალოდ **ვილიანი** დონეცკის „შახტარში“ გატარებული 6 წლის შემდეგ „ანყიში“ მიმდინარე წლის 31 იანვარს გადავიდა. ჩრდილოკაკასიარმმა კლუბმა მასში 35 მილიონი ევრო გადაიხადა. დაფინანსების შემცირების შემდეგ „ანყიმ“ ვარსკვლავების ტრანსფერზე დააყენა და ერთი მათგანის მომავალი ეკატერინბურგის ლოკომოტივის ბაზაზე სამედიცინო შემონმება უკვე გაიარა და პირადი კონტრაქტის დეტალებიც შეათანხმა. მას შემდეგ კი, რაც ბრიტანეთის შრომის სამინისტრო ვილიანს მუშაობის უფლებას მისცემს (საკითხის გადაწყვეტას ხვალისთვის ელოდებიან), მასთან ხელშეკრულებას ხელი ოფიციალურად მოეწერება და ამის შემდეგ ის უკვე განაცხადშიც შევა. ერთი სიტყვით, მოსაგვარებელი დარჩა მხოლოდ უმნიშვნელო დეტალები.

„სპეი იტალიის“ მტკიცებით ცოტა უფრო რთულად არის 32 წლის **სამუელ ეტოოს** საქმე. დასავეთევლონდონელებმა კამერუნელს მხოლოდ ერთნლიანი ხელშეკრულება შესთავაზეს, რის გამოც ვეტერანი უკმაყოფილოა და ხელმონერის სანაცვლოდ ანაზღაურების გაზრდას ითხოვს. „ლურჯი“ თავდაპირველად ფეხბურთელს სეზონში ხუთ მილიონ ევროს სთავაზობდნენ. შემდეგ შეთავაზება ერთი მილიონით გაიზარდა, მაგრამ ეტოო ვერც ამან დააკმაყოფილა. პრინციპში გასაკვირი აქ არაფერია. „ანეი“ ხომ მას სარეკორდოდ ბევრს, 20 მილიონს უხდიდა.

ჭოზეს არგუმენტი

თუკი „ჩელსის“ შემადგენლობას გადახედავთ, აღმოაჩენთ, რომ **ჭოზე მოურინიოს** განკარგულებაში 12 მარტო ნახევარმცველია. ასეთი დახუნძლეული ნახევარდაცვა კი ამ სეზონში მოუხნევს „ბაიერნსაც“ კი არ ჰყავს. ვილიანის ტრანსფერის დადასტურების შემდეგ პრესაში კიდევ ერთხელ დაინერა, რომ ხუან მატა შეიძლება ნავიდეს. ამ თემაზე დღეს „ლეელიში“ თქვენ სხვა მასალის ნახვა შეგიძლიათ. ჩვენ მოურინიოს კომენტარს შემოგთავაზებთ: „ჩელსის“ თამაშის სტილი სწორედ ამას ითხოვს. გუნდში ბევრი მაღალი კლასის ნახევარმცველი უნდა მყავდეს, რადგან მოედნის ცენტრი უმნიშვნელოვანესი მონაკვეთია, სადაც ნყდება კიდევ თამაშის ბედი. დამიჯერეთ, ბევრი ნახევარმცველი თავისთავად არ ნიშნავს პრობლემას. პირიქით, პრობლემა მაშინ მნყვადება, როცა მათი დეფიციტია. ამ ეტაპზე ეს არ იგრძნობა, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც ბრძოლები ყველა ფრონტზე გაგრძელდება, აუცილებლად მიხვედრით, რამდენად დიდი კომფორტია, როცა გუნდს მდიდარი არჩევანი გააჩნია. ალბათ გეცმით, რომ ყველა იმ ტურნირის მოგების ამბიცია გვაქვს, რომელშიც ვთამაშობთ. როცა ერთ კონკრეტულ პოზიციაზე ძალიან ბევრ მოთამაშეს აქვს პრეტენზია, იმათში, ვისაც თამაში ნაკლებად უნევთ, ეს მოტივაციას გაკრობას უნყობს ხელს და ამის გამო, შესაძლოა, შიდაგუნდური ბალანსი დაირღვეს კიდევ. „ჩელსიში“ მსგავს პრეცედენტს არ დაკუმეტან. შევეცდები, მოედანზე გასვლის საშუალება ყველას მივეცე და თითოოეულ მათგანს ერთიანი გუნდის წევრად ვაგრძნობინო თავი“.

ვილიანს „ჩელსის“ განაცხადში ხვალვე შეიყვანენ

● მანჩესტერ სიტი

სიტი მსოფლიო ქსელს ქმნის

„მანჩესტერ სიტი“ საკლუბო სისტემის გასაფართოებლად მთელ მსოფლიოში მუშაობს

„მანჩესტერ სიტის“ მესაკუთრეთა გეგმები მხოლოდ ევროპელიგის ნარმომადგენელზე ზრუნვით არ შემოიფარგლება. „ქალაქელთა“ არაბი ბოსები უკვე რამდენიმე თვეა, რაც ამერიკულ MLS-თან ანარმოებენ მოლაპარაკებებს, რათა ორიოდე წელინადში ლიგის ახალი წევრი „ნიუ იორკ სიტი“ შეემატოს. ამისთვის კი მსოფლიო მეგაპოლისში სათანადო მინნის ფართის შეძენაა საჭირო, სადაც ახალი სტადიონი აშენდება. იქამდე, ვიდრე ეს მოხდება, „სიტიმ“ შესაძლოა ავსტრალიის A ლიგის გამარჯვებული კლუბი „ვესტერნ სიდნი უონდერერზი“ შეიძინოს. გარიგება იმაზე ბევრად უფრო ნაკლები დაჯდება, ვიდრე ძირითადის ფეხბურთელის გადაბარება. ლაპარაკია სულ რაღაც 8.7 მილიონ ფუნტზე (12 მილიონი აშშ დოლარი). კლუბის მესაკუთრე ავსტრალიის საფეხბურთო ასოციაციაა. ის 2012 წელს დაარსდა და ქვეყნის ჩემპიონის ტიტული პირველივე ცდაზე მოიგო. „უონდერერზს“ „ჩისტალ პალასის“ ყოფილი მცველი **ტონი პოპოვიჩი** წვრთნის. ავსტრალიურ მედიამ რამდენიმე დღის წინ გაჩნდა ცნობები ამ თემაზე, თუმცა „სიტის“ სახელი დაკონკრეტებული არ ყოფილა. Financial Review-ის მტკიცებით, „სიტის“ მიერ კლუბის აქციათა საკონტროლო წილის ყიდვა თითქმის გამორიცხულია.

● ამბები

ვლად კირიკეში

სტიუუადან ტოტენჰემში

„სტიუუს“ მთავარმა მწერონელმა **ლაურენციო რეგენკამფმა** დაადასტურა, რომ რუმინეთის ნაკრების 23 წლის ცენტრალური მცველი **ვლად კირიკეში** კარიერას „ტოტენჰემში“ განაგრძობს. „დეზბმა“ ფეხბურთელის ტრანსფერზე მოლაპარაკებები ივნისში დაიწყეს, თუმცა მხარეები დიდხანს ვერ ახერხებდნენ პირობებზე შეთანხმებას. „სქაი სპორტსის“ ცნობით, ჩრდილოლონდონელები საბოლოოდ მიანც დათანხმდნენ 7 მილიონი ევროს გადახდას. დღეს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე პოლონურ „ლეგიასთან“ კირიკეში უკანასკნელ შეხვედრას ჩაატარებს ბუქარესტელთა რიგებში. სამედიცინო შემონმების ნარმატებით გავლის შემთხვევაში ის „ტოტენჰემთან 4-ნლიან კონტრაქტზე მოაწერს ხელს.

იანიტდი, არსენალი და იოზილი

მესუთ იოზილი

ესპანური პრესა ბოლო დღეებში აქტიურად განიხილავს „მანჩესტერ იუნაიტედის“ მიერ მადრიდის „რეალიდან“ **მესუთ იოზილის** შესაძლო ტრანსფერს. **გართ ბეილის** გაფორმების შემდეგ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ 24 წლის გერმანელის ადგილი უბრალოდ აღარ დარჩება. თავის მხრივ „ეშმაკებს“ ძლიერი ცენტრალური ნახევარმცველი სჭირდებათ. ასე რომ, მოელენთანა ამბავარი განვითარება გამორიცხული ნამდვილად არ არის. პრემიერლიგის ჩემპიონები „სამეფო კლუბს“ 45 მილიონ ევროს სთავაზობენ და მზად არიან, ფეხბურთელს იმაზე მეტი გადაუხადონ, ვიდრე ის მადრიდში იღებს. „რეალს“ იოზილის შენახვა წელინადში 5 მილიონი ევრო უჯდება. „სანის“ ცნობით, „იუნაიტედის“ გარდა გერმანიის ნაკრების ფეხბურთელის ყიდვას „არსენალიც“ ცდილობს. შეგახსენებთ, რომ „მეკოთეფეები“ „რეალიდან“ 25 წლის **ანხელ დი მარიას** შეძენაზეც მუშაობენ.

ლივერპული მოზესითან დაინტერესდა

დეილი მეილის“ ცნობით, „ლივერპული“ მზად არის, „ჩელსის“ 22 წლის ნიგერიელი გარემარბის **ვიქტორ მოზესის** ერთნლიან ოჯარაში 2 მილიონი ფუნტი გადაუხადოს. მოსალოდნელია, რომ გუნდების მენეჯერები ერთმანეთში იოლად მოილაპარაკებენ, რადგან **ბრენდან როჯერსი** და **ჭოზე მოურინიო** უკვე ნლებია, მეგობრებად ითვლებიან. შეგახსენებთ, რომ ჩრდილოირლანდიელი 2004/08 წლებში „ჩელსის“ აკადემიის მთავარი მწვრთნელი იყო, პორტუგალიელი კი ლონდონელთა მთავარ გუნდს 2004-ის ზაფხულიდან 2007-ის სექტემბრამდე ედგა სათავეში. „ენფიილდზე“ გადასვლის შემთხვევაში მოზესს ხელფასის ნანილზე მოუნევს უარის თქმა. „ჩელსი“ მას კვირაში 55 ათას ფუნტს უხდის.

ბაგრატ მოსამაძე
ლევან ბიბილაშვილი

● მალაგა-ბარსელონა. გამოხმაურება

მესის გარეშე

უკვე მერამდენედ გამოჩნდა, რომ **ლიონელ მესის** გარეშე „ბარსელონას" თამაში მინაურ ასპარეზზეც კი უჭირს. კვირას **ხერარდო მარტინომ** ლა ლიგაში თავისი პირველი საგარეო გამარჯვება იზეიმა, „ამით შეხვედრის შემდეგ იამაყა კიდევაც, თუმცა ფაქტია, **ბერნდ შუსტერის** „მალაგასთან", რომელიც ძალზე შესუსტებული და შარშანდელის აჩრდილია, „ბარსამ" ინვალი და **ადრიანოს** გოლის წყალობით მხოლოდ მინიმალური ანგარიშით იმარჯვა.

ის კი არა, ბოლო წუთზე **ვიტორ ვალდესის** თავდადებული თამაშის წყალობით „ბარსამ" სასწაულებრივად შეინარჩუნა 3 ქულა, როცა ვეტერანმა გოლკიპერმა ზედიზედ ორი უნდელესი დარტყმა მოიგერია. მეორე ტაიმში „მალაგას" სულ სამი საგოლე მანსი ჰქონდა, მაგრამ ვერც ერთი ვერ გამოიყენა.

28 წლის **ადრიანო კორეიამ** ნელ-ნელა მოიპოვა „ბარსელონაში" მნიშვნელოვანი როლი. ამ გამარჯვებაშიც ბრაზილიელს დიდი წვლილი მოუძღვის. როგორც ლა ლიგის პირველ ტურში, ადრიანო კვლავ სასტარტოში იყო, ამჯერად **დანი ალვეშის** ნაცვლად მარჯვენა მცველის პოზიციაზე და უნიკერსალმა ბრნყინვალე გოლით დაგვამახსოვრა თავი. ადრიანოს არ უთამაშია სუპერთასზე, რადგან დისკვალიფიცირებული იყო. ბრაზილიელისთვის სამნუხაროდ, მან ბარძაყის ტრავმა მიიღო და შესვენება?ს ადგილი ისევ დანი ალვეშს დაუთმო.

ალექსის სანჩესი მსაჯს ედავება

ტბას შესანიშნავი ფვიდეული

„ტბატა" მარტინის პირველმა სამმა თამაშმა (2 ლა ლიგაში, ერთიც სუპერთასზე) ნათლად დაგვანახა იმ ფეხბურთელთა ჯგუფი, რომელთა მხრებზეც გადაიკიდა სეზონი. როგორც ჩანს, არგენტინელი მათ უზომოდ ენდობა. ესენი: ვალდესი, **პიკე, მასკერანო, ჩავი, ალექსის სანჩესი** და **პედრო**. ამ ექვსეულმა სამიდე მატჩში სასტარტოში ითამაშა. როგორც ჩანს, მარტინოს ერის ჩამოყალიბებაში მთავარი როლიც მათ უნდა იკისრონ (ალუს მესი).

ნეიმარმა კვლავ სათადარიგოს როლი შეასრულა, მან ბოლო 30 წუთი ითამაშა და ბეგრის აზრით, სუპერთასიც კი იყო „ბარსას" შემადგენლობაში. მის გარდა, **სესკ ფაბრეგასსაც** გამოყოფთ, რომელმაც ამჯერად კარგად დაიწყო სეზონი.

ᲘᲒᲘᲪᲘ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲠᲝᲛᲚ...

■ ვიქტორ ვალდესს ლა ლიგის 2 ტურში ჯერ გოლი არ გაუშვია. ზედიზედ ორ ტურში ასეთი რამ გასულ სეზონში ვალდესმა მხოლოდ ერთხელ მოახერხა 31-ე და 32-ე ტურებში.

■ სეზონში უკვე 7-მა ბარსელონელმა გამოიჩინა გოლით თავი: მესიმ (2), პედრომ (2), ჩავიმ, დანი ალვეშმა, ალექსის სანჩესმა, ნეიმარმა (სუპერთასზე) და ადრიანომ.

■ 3-მა ფეხბურთელმა ითამაშა სამივე მატჩი თავიდან ბოლომდე: ვალდესმა, ჟერარდ პიკემ და ხავიერ მასკერანომ.

■ მასკერანომ და **ალბამ** ყველაზე მეტჯერ, 10-10-ჯერ მოუპოვეს „ბარსას" ბურთი „მალაგასთან" შეხვედრაში.

■ „ბარსამ" ზედიზედ მეშვიდედ გაიმარჯვა „ლა ოროსალედზე".

ᲛᲐᲒᲘᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ

ხერარდო მარტინო („ბარსელონას" მწვრთნელი): „გამარჯვება ყოველთვის საკუთარი ძალების რწმენას გმატებს. მობარული ვარ, რომ მოგება შევძელით. პირველი ტაიმი კმაყოფილი ვარ, ფლანგებს შეტევებისთვის კარგად ეიყენებდით. მეორე ტაიმის პირველი 20 წუთიც ჩვენ ვაკონტროლებდით თამაშის მიმდინარეობას, მერე კი მეტოქემ იძალა და მოიენტებიც შექმნა ჩვენს კართან. როდის ითამაშებს ნეიმარი სასტარტოში? არ ვიცი, ჯერ ადრეა ამაზე საუბარი, ის ბოლო 30 წუთით გამოდის და გუნდს ნაყოფიერად ემსახურება".

ბერნდ შუსტერი („მალაგას" მწვრთნელი): „ბარსელონას" შესახებ ყველამ ყველაფერი იცის, იქ საუკეთესოები თამაშობენ და ამიტომაც არის მსოფლიოში საუკეთესო. გადავწყვიტე უფრო დაცვითი ტაქტიკით გვეთამაშა და 4-5-1 ავირჩიე. ჩვენ სამი საგოლე მომენტი გვქონდა, მაგრამ თუ წარმატების მიღწევა გსურს, სამიდან ერთი მაინც უნდა გამოიყენო".

ლიონელ მესი (ბარსელონა): „მალაგას" წინააღმდეგ თამაში ძალიან მინდოდა, მაგრამ თავს 100%-ით მზად ვერ ვგრძნობდი. მიხარია, რომ გუნდმა მოიგო 3 ქულა მოიპოვა. ვაჯერებს ვაგრძელებ და იმედია, „ატლეტიკოსთან" მატჩისთვის მზად ვიქნები".

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ. ᲚᲐ ᲚᲘ�გᲐ. II ᲒᲣᲠᲘ

ᲒᲠᲐᲜᲐᲓᲐ-ᲠᲔᲐᲚᲘ . 0:1

გოლი: 0:1 ბენზემა (10)

გრანადა (4-2-3-1): ფერნანდესი - ნიომი, დიახატე, მანნეი, ანგულო - იტურა, იენდი (68. ფ. რეკო) - პიტი, ბრაიმი, ბენიტესი (76. ბოთანტეტე) - ელ-არაბი (46. რეკი)

რეალი (4-2-3-1): დ. ლოპესი - არბელოა, პეპე, ს. რამოსი, მარსელო (61. ნაჩო) - მოდრიჩი, ისკო - დი მარია (89. კარეხასელი), ინიესტა (68. ჯაზიმირე), რონალდო - ბენზემა

გაფრთხილება: პიტი, იტურა, ბრაიმი, მანნეი - პეპე, მარსელო

კუთხურა: 5-8; **ჯარიმა:** 14-10; **თამაშგარე:** 0-6; **კარში დარტყმა:** 8-21 (3-8); **ბურთის ფლობა:** 34%-66%.

მაყურებელი: 20 000

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბარსელონა	2	2	0	0	8-0	6
2. ატლეტიკო	2	2	0	0	8-1	6
3. ჯირონა	2	2	0	0	4-1	6
4. მალორკა/ესპანიოლი	2	2	0	0	5-3	6
5. რეალი	2	2	0	0	3-1	6
6. ესპანიოლი/ მ	2	1	1	0	5-3	4
7. სოსიედადი	2	1	1	0	3-1	4
8. სევილია	2	1	1	0	4-3	4
9. გრანადა	2	1	0	1	2-2	3
10. ვალენსია	2	1	0	1	2-3	3
11. ვალადოლიდი	2	1	0	1	3-5	3
12. ალმერია	2	0	1	1	4-5	1
13. ბეტისი	2	0	1	2	2-4	1
14. ხეტაფე	2	0	1	1	2-4	1
15. სევილია	2	0	1	1	1-3	1
16. ელჩე	2	0	1	1	1-4	1
17. ლევანტე	2	0	1	1	0-7	1
18. ვალენსიოლიდი	2	0	0	2	2-4	0
19. ვალაგა	2	0	0	2	0-2	0
20. ოსასუნა	2	0	0	2	1-4	0

ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲘᲪᲘ: 3 - როდრი როისი (ალმერია), დიეგო კოშტა (ატლეტიკო).

● ᲐᲛᲑᲐᲪᲘ

ხუან მატა

ᲐᲢᲚᲔᲢᲘᲙᲝᲡ ᲩᲝᲚᲡᲘᲡ ᲛᲐᲢᲡ ᲡᲘᲡᲮᲝᲕᲡ

კვირას, „რადიო მარკამ" გამოაცხადა, რომ მადრიდის „ატლეტიკო" **ხუან მატას** ტრანსფერზე მუშაობს. ამ სენსაციურ ცნობას საფუძვლად „ჩილესიში" განხორციელებული ბრაზილიელი **ვილიანის** ტრანსფერი უდგვს.

ახლა **ჟოზე მორინიოს** დაახლოებით ერთნაირი ტიპის და პოზიციის ხუთი ფეხბურთელი ჰყავს და პორტუგალიელი ბოსი არ მალავს, რომ რომელიმეს საატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე შეიძლება ნასვლამ მოუნოს. ხუთეული კი ასეთია: ვილიანი, მატა, **ოსკარი, დე ბრუინი** და **ჰაზარი**. ამ კვინტეტს, რომელთაც შეტევაზე ორიენტირებული ნახევარმცველები შეიძლება ვუწოდოთ, გარანტირებული არ აქვს ადგილი სასტარტო შემადგენლობაში.

„რადიო მარკას" ცნობით, „როხიბლანკოს" თაეკაცი **დიეგო სიმეონე** ცდილობს გუნდის გაძლიერებას, რათა „ატლეტიკომ" ლა ლიგაში და ჩემპიონთა ლიგაზე კარგად ისასპარეზოს. ამ შემთხვევაში 25 წლის მატას დამატება დიდებული ვარიანტი იქნებოდა. საუბარი ესპანელის იყვარზეა. არის მატას ტრანსფერის მეორე ვარიანტიც - ის შეიძლება უეცრ რუნის ტრანსფერის „ხურდაში მოყვეს", თუკი „მანჩესტერ იუნაიტედი" რუნის გაყიდვას დათანხმდება.

შეგახსენებთ, რომ ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი „ჩილესიში" 2011 წელს „ეალენსიადან" 23,5 მილიონ ფუნტად გადავიდა.

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲮᲐᲕᲘ ᲛᲐᲠᲩᲘᲜᲔᲡᲘ ᲓᲐᲐᲡᲚᲓᲔᲑᲐ

შაბათს მოუხერხის „ბაიერნის" მორგ მატჩში მონან�ეობა არ მოუღია 24 წლის ხავი მარტინეს. როგორც ალმოჩნდა, ამის მიზეზი ბუცელის კუნთის ტრავმაა. ესპანელი ნახევარმცველს ვარჯიში კიარა, სიარულიც უჭირს. ასე რომ, თითქმის გამორიცხულია ის ესპანეთის ნაკრბს მომავალ მეხვედრებში დაეხმაროს. ვისენტე დელ ბოსკემ შემადგენლობა, რომლითაც „ფურია როხა" ფინეთისა და ჩილეს ნაკრებების წინააღმდეგ ითამაშებს, პარასკევს უნდა დაასახელოს.

● სპორტული ტრანსფერი

100-მილიონიანი რეკორდი

გარეთ ბეილი ესპანეთში დარჩება

რეალი ჩანს, საგა დასასრულისკენაა - ინგლისური და ესპანური პრესა უკვე გადაწყვეტილად წერს, რომ **გარეთ ბეილის** ტრანსფერი ლონდონის „ტოტენჰემიდან" მადრიდის „რეალში" განხორციელდა. უეცლელი ჯერაც არ არის „რეალის" ფეხბურთელი ოფიციალურად, თუმცა ესპანეთში და არა მარტო ესპანეთში, ყველა მის სარეკორდო ტრანსფერზე ლაპარაკობს, მის შესახებ კითხვებს პრესკონფერენციებზე სვამენ, თანაც „ბარსელონას" თამაშებზეც კი, მისი 11-ნომრიანი მაისურები უკვე არაოფიციალურად გაყიდვაშიც კი არის მადრიდელ მაღაზიებში.

შეგახსენებთ, რომ თავად ბეილმა უქმეები ესპანეთში გაატარა, კერძოდ, კურორტ მარბელიაზე. ხოლო **ანდრე ვილაშ-ბოაშმა** „ტოტენჰემის" კვირის მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე აღიარა, რომ გარეთ ბეილის იმედი აღარ აქვს.

ინგლისური პრესის ინფორმაციით, ლონდონური კლუბის ბოსი **დენიელ ლევი** დათანხმდა „რეალის" წინადადებას - ბეილი 100 მილიონ ევროდ გადავა „სამეფო კლუბში". ეს კი მსოფლიოს ახალი რეკორდია - ძველი 2009 წლისაა და **კრისტიანო რონალდოს** ტრანსფერს ეკუთვნის - 94 მილიონი ევრო.

როგორც აღმოჩნდა, ბეილს ტრანსფერის ნანილი არ გაუდია საპირისპირო მიმართულებით რომელიმე ფეხბურთელის გადასვლა (ლაპარაკი იყო **ფაბიო კოენტრაოზე**) „ტოტენჰემში". „რეალი" 100 მილიონს სამ ნანილად გადაუხდის ლონდონურ კლუბს. ბეილი ნ-ნლიან ხელშეკრულებას გააფორმებს და წელნადში (დაქვითვის შემდეგ!) 10 მილიონ ევროს მიიღებს.

„სანტიაგო ბერნაბეუზე" უკვე მოეწყო სპეციალური ტრიბუნა, საიდანაც გაიმართება უეულელის პრეზენტაცია, რომელიც ამ კვირაშივე შედგება.

„ტოტენჰემს" უკვე შეგულებული ჰყავს 24 წლის უეულელის. შემცველი, „რომას" არგენტინელი შემტევი **ერიკ ლამელა**.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნიშარაძემ

P.S.
ეს ყველაფერი ჯარგო, მაგრამ ერთი ბრიყვანული გამოცემა სპჭარსაპირის წერს - „ქალი სპორტსის" მწკაცებითა „ოოტენჰემი" ბეილის ტრანსფერზე მსოფლიო ერთ ტოპს არ ეთანხმებიეტ და ლონდონელებს ეერ არ განუწყალებიათ თანხმობა მადრიდში მის გადასვლაზე.

ძიუდო. მსოფლიოს ჩემპიონატი

უმეფლო დასაწყისი

სამწუხაროდ, კარგად დაწყებული საქმე ნარმატებით ვერ დავასრულეთ - ბრაზილიაში, ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ამირან პაპინაშვილი (66) ნახევარფინალში ძლევამოსილად გავიდა, ამის შემდეგ კი ზედიზედ ორი პაექრობა წაგო და უმეფლოდ დარჩა.

ჟამი მოგებებისა

რეიტინგის ლიდერი და ტურნირზე პირველ ნომრად განთესილი **ამირან პაპინაშვილი** (66) პირველი წრეში ისვენებდა, მეორეში კი მეტოქედან თურქი **აპმეტ შაჰინ კაბა** ეერგო, ვინც მანამდე მოზამბიკელი **ლაზარეუს არუფანდეკი** დაიჯაპონა, თუმცა ეს, საყოველთაო მოლოდინის საწინააღმდეგოდ, გვარიანად გაუჭირდა.

თურქი არაა პაპინაშვილის საადარი მეტოქე, რაც შეხვედრის მიმდინარეობამ სრულად დაადასტურა, თუმცა რიგ ეპიზოდებში ქართველი თითქოს ოდნავ შენელებული იყო. ეს მას ახასიათებს და არცაა გასაკვირი - პირველი ორთაბრძოლა ხომ, უმეტესად, უჭირთ ფაალენებს, რადგან გახურება აკლიათ, მაგრამ ამ პაექრობაში ისიც აშკარად იგრძნობოდა, რომ ამირანი თავს ზოგავდა, ზედმეტ ძალას არ ხარჯავდა და ზუსტად იმდენს მუშაობდა, რაც მეტოქის დონეს შეეფერებოდა. მისი უპირატესობა მაღე ანგარიშშიც აისახა - გაფრთხილებებიც სწრაფად მიაღწიეს თურქს, ბოლოს კი ყველაფერი შებოჭვით დაასრულა.

პაპინაშვილი მეორე შეხვედრაშიც სრულ უპირატესობას ფლობდა ვერშანელ **ტობიას ენგლმაიერთან,** რასაც სწორად ნარმართული ტაქტიკით ახერხებდა - ცდილობდა, არ დაეთმო ჩაელება და თავად დაესწრო მეტოქისთვის, რაც სოლიდურ უპირატესობას აძლევდა. გერმანელსაც ამის ხარჯზე მიაღწიენი გაფრთხილებები, თუმცა ილეთებსაც კარგად აკეთებდა, ძირითადად - გადავლება ქამრიდან აყვანით. ენგლმაიერსაც ორი იუკო აართვა, რომელთაგანაც უფრო დასამახსოვრებელი მეორე იყო - მაჯებში ჩავლებით ხანგრძლივად ათრია მეტოქე და მოლალა, ბოლოს კი ფეხით გამოცეცხლა.

თუმცა ამ შეხვედრის ბოლოს ცოტა დაღლაც დაეტყო, ან იქნებ, აქაც ინახავდა თავს, მაგრამ თითქოს სუნთქვა გაუჭირდა... ეს მაინც ცუდად გვენიშნა, მით უფრო, როცა მისი მომდევნო მეტოქე გაირკვა - **ყაზახი აშხატ ტულმანოვი,** რომელმაც ბრნყინვალედ დაიაჯაპონა ზურაბიჯანელი მსოფლიოს პრიზიორი **ილვარ მუშკიევი.**

მერეკედფინალში პაპინაშვილის მეტოქედ ბარე მუზობელი კი გვერრიგნა (რომელთანაც ზე-დადებითი ბალანსი აქვს), ბუშკიევს 40 წამიც აშორებდა მოგებამდეი, მაგრამ ტელმანოვის ბოლო შტურმს ვერ გაუძლო. თითქოს ჩვენს შიშს ი ზიარებდნენო, ამ პაექრობის დასრულების შემდეგ ბრაზილიელმა ოპერატორებმა საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტ **დავით ქვეხიშვილის** კადრი შემოგვთავაზეს - იჯდა ტრიბუნაზე და დაფიქრებული ისრესდა სახეს...

საბედნიეროდ, პაპინაშვილმა დაგვიმტკიცა, რომ სულ ტყუილად ვნერვიულობდით - ტელმანოვთანაც ჩაელებებზე ააგო ჭიდაობა და გაანეტრალა მისი კოზარიები, თუმცა პირველივე წუთზე იუკო კი დაკარგა - მეტოქემ ბრუნზე გაისროლა. ოლოდაც, შეხვედრის მიმდინარეობამ შიშის საფუძველი არ მოგვცა - ქართველის უპირატესობა კლასში და უფრო მაღალი აკადემიური საქიდაო სტილი მაინც იგრძნობოდა.

მალევე, პაპინაშვილმა ანგარიში არაუთუ გაათანაბრა, ვაზარით დანინაურდა კიდეც - ჯერ ქამრიდან ლინინოდან დაქაჩა და ეფექტურად გამოცელი, რასაც ლაზათიანი კისრულით მოპოვებული ეს ვაზარიც მიაყოლა. იქვე ბოძვაც დაინყო, მაგრამ მნინდა მოგებამდე ნამები დაკაკლდა, ოლონდ, მორიგი იუკო კი დაიმსახურა.

აღსანიშნავია, რომ პირველ ქულამდე ორჯერ ბრუნზეც გადაადგილ, მაგრამ სრულფაფილი ვგდებები არ გამოუვიდა. ამ დროს სულ 3 წუთი იყო გასული, დასრულებამდე ნუთანხეკრით აჯრე კი მშვენიერი იპონი მიითვალა - მეტოქე, რომ იტყვიან, ილეთზე „მოაჯდა" და მოგვეწყოთ ტომარასავით დაანარცხა ტატამს.

ჟამი წაგებებისა

სამწუხაროდ, ამის შემდეგ პაპინაშვილმა ორივე დარჩენილი შეხვედრა წაგო - ნახევარფინალში მონლოოდ **ამრტუეშინ დამდავაასათან** დამარცხდა, ბრინჯაოსთვის პაექრობა კი აზერბაიჯანელ **ორხან საფაროვთან** დაიმო.

ნახევარფინალში ჩვენებურის მეტოქე მონლოოთა შეხვედრაში ირკვეოდა და დაშფავაა იმთავითვე უფრო სასურველი ჩანდა, რადგან მასთან არ უჭირდა ჭიდაობა, **ბოლდაატარ განბაგთან** კი ბოლოს წააგო. დაშფავაამ მართლაც მოიგო გაფრთხილებებით.

რაც შეეხება საფაროვს, ის **პეტერ ხაიზენბახერმა** ყველაზე ბოლოს, მე-9 კაცად შეიყვანინა ნაკრებში, ძირითადი შემადგენლობის დასახელებიდან რამდენიმე დღის შემდეგ. საფაროვი ახალი გადმოსულია ახალგაზრდებიდან და პირველივე წრეში სენსაცია შემოგვთავაზა, როცა რუსთა ეკრონის ჩემპიონი **ბესლან მუდრანოვი** დაამარცხა.

პაპინაშვილის წაგებები მით უფრო საწყენია, რომ ორივეზე შემთბვევაშიაურო თვითონ შეცდა, ჯიდრე მეტოქემ იყოო-ლა. პირიქით - ორკ ერთს არ მოუპოვებია ოდნავი უპირატესობაც კი, რაც ჩვენებურის მარცხის მიზეზად შეიძლება ქცეულიყო. დაშდავაასთან გადამწყვეტი მომენტი ბრძოლის დასრულებამდე 35 წამით ადრე დადგა, როცა ქართველი პოზიციურად შეცდა - იმდენად „ეახსნილად" იდგა და ფეხიც ისე დაუცველად დატოვა, თითქოს შეტევას არ ელოდა. მონლოლმა კი მოძრაობაზე დაიჭირა და შიდა ფეხით იპონზე გამოცელი, თუმცა ამგვარ დასასრულს იმდენად არ ელოდა, გაკვირვება ვერ დამალა და სიხარულისგან ატირდა კიდეც.

საფაროვთანაც, სრულიად უნყინარ სიტუაციაში, როცა გაფრთხილებებით ანგარიში გაუთანაბრა და დანოლესასაც აძლიერებდა; როცა თითქოს მეტოქის გაგებვა დროის ამბავი იყო, ჩაბეული ფეხით ორმხრივი ჯაჯგურასას მეტოქე ოოლად შეუშვა შეკერაზე და იმანაც უარობელემდე გადაადგო ბეჭებზე.

სატურნირო ამგები

გუშინ რიოში სხვა მონლოლებიც ტირდნენ - ქალთა ტურნირის ფინალში იქაურმა **ურანცეცეგ მუნკბატმა** მგაკიენეულით დაამარცხა იაპონელი **ჰარუნა ასამი** და ტატამზე თვითონ დაილვარა ცრემლებად, იქით კი მნერონელმა ქალბატონმა აუება მხარი.

მუნკბატმს ნახევარფინალში მასპინძელთა „ჯილა" **სარა მენეზუში** დაამარცხა, თუმცა მან ჩრდილოკორეელ **სოლ მინ კიმთან** ეფექტური იპონთან ბრინჯაო მოიპოვა და დარბაზის ბოლოს მაინც მოიგო. სამაგიეროდ, მასპინძლებს ოლიმპიურმა პრიზიორმა **ფელიპე კიტადიმ** დასნყვიტა გული - პირველივე მეხვედრა დათმო სამრეთკორეელთა მომავალ ბრინჯაოს მედალისას **ეონ ჯინ კიმთან.**

ეს კორეელი კარგი ვინმე ჩანს და ბრინჯაოსთვის აკი ლამაზადაც მოუგო განბატს - ჯერ ბრუნი სცადა, მაგრამ უკუკოტრიალი უფრო გამოუვიდა, თუმცა რაკი არც მონლოელი გაექცა, უკუმოძრაობა გააგრძელა და თან მეტოქეს ფეხებიც აჰკრა - ესეც ვაზარი. კორეელს სახელოვანი **მინ პო ჩოის** კარგი მემეცველი გამოუწნდათ. კიმი ისე გაახარა მოგებამ, ტატამიდან გასელისასაც ტირდა.

ვაჟთა ფინალში იაპონელმა **ნაოჰისა ტაკატომ** დაშდავაა დაამარცხა გაფრთხილებებით. ამდენად, გუშინ მსოფლიო იაპონელებმა და მონლოლებმა გაინაწილეს თითო ოქროთი.

დღეს იჭიდავებენ...

ტურნირზე დღესაც ქალთა და ვაჟთა თითო წონა იასპარეზებს. ჩვენ ქალებში მონაწილე არ გვყავს და მხოლოდ ერთი სპორტსმენი გვეყოლება საქიმაგო, მაგრამ როგორი - ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი** (66)! ოლონდ ეგაა, წილისყრამ ძალიან დაჩაგრა - რაც კი წონაში განუთესავი და ძლიერი ათლეტია, ყველა მის ჯგუფში მოხვდა.

ამ ვითარებაში ისეც ჩვენი ჩემპიონის ნიჭიერებისა გვჯერა, ოლონდაც ტრაგმამ ხელი არ შეუშალოს. შავდათუაშვილი პირველ წრეში თავისუფალია, მეორეში კი ჩრდილოკორეელ **იონ სიკ ჩოეს** დაეჭიდება. მეოთხედფინალამდე მას ნაკლებად ეწინააღმდეგება, თუ ძალიან, „უზბეკი **რიშოდ სობიროვი,** ბრიტანელი **ჯოლინ ოუტსი,** რუსი **ალიმ გადაჩნოვი** და ყაზახი **აზამატ მუკანოვიც** შეხვდნენ.

ირაკლი თავაძე

კვარსწლეული

ვაჟები

60 კგ. 1. ნაოჰისა ტაკატო (იაპონია); 2. ამარტუეშინ დამდავაა (მონლოლეთი); 3. ორხან საფაროვი (აზერბაიჯანი), ეონ ჯინ კიმი (სამხრეთ კორეა); **5 პაპინაშვილი (საქართველო).**

ქალები

48 კგ. 1. ურანცეცეგ მუნკბატი (მონლოლეთი); 2. ჰარუნა ასამი (იაპონია); 3. სარა მენეზუში (ბრაზილია), კარლინე ვან სნიეკი (ბელგია).

ქადრაკი

მარცხნიდან - ნინო ხურციძე, აკაკი იაშვილი, სალომე მელია, მოჰამედ ამინ ალზარუნი, გია გიორგაძე

ქართველებო, თქვენ ღიმილი გიხდებათ

ამ დღეებში საქართველოს ქადრაკის ფედერაციის სტუმრობდა ელ აინის (არაბთა გაერთიანებული საამრიოები) საჭადრაკო კლუბის აღმასრულებელი დირექტორი **მოჰამედ ამინ ალზარუნი,** რომელმაც ბათუში და თბილისი მონახულა, გუშინ საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრების წვრთნას დაესწრო და შემდეგ ჩვენთან სასაუბროდაც მოიცალა.

- ბეჭერ რამ მსმენია თქვენს ქვეყანაზე - გვითხრა სტუმარმა. - საკუთარი თვალით ვნახე და დავრწმუნდი, რომ, მართლაც შესანიშნავი ქვეყანა გკონიათ, განსაკუთრებით ბათუმმა მომხიბლა, ღამის ფეიერვერკი ამ ქალაქში, ნამდვილად, მეუდარებელია. ორმა რამემ კი გამაკვირვა ძალიან: თბილისიდან ბათუმამდე ტაქსით ვიმგზავრე. გზაში ვნაცრობდი, მშვიდობით ჩამიყვანინა და მეტი არაფერი მინდა-მეთქი. თქვენი მძღოლები ისე ატარებენ მანქანებს, მეორედ მასში ჩაჯდომის სურვილი აღარ გიჩნდება და თბილისში მატარებლით დავბრუნდი. ღამაზი ხალხი ხართ, მაგრამ ქუჩაში მონყენილი სახეებს ვხვდები. გაიღიმეთ, ქართველებო, თქვენ ღიმილი გიხდებათ!

- ჩამოსულის მიზანი?



- ვიცი, რომ გყავთ სახელოვანი დიდოსტატები - ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე და სხვები. თქვენი მოჭადრაკეები ხშირად ჩამოდიან საამრიოებში საასპარეზოდ და იქაც შევხვედრივარ მათ. ძალიან მინდოდა გავცნობოდი ამ ქვეყანას და, განსაკუთრებით მათს ახალგაზრდა მოჭადრაკეებს. ნლეულს 17-ე დეკემბრის ჩემს 900-ათასიანს ქალაქში, რომელიც დუბაიდან 135 კილომეტრზეა, 8-18 ნლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობა გაიმართება. ეს შეჯიბრება ჩვენთვის დიდი გამოწვევაა. გვინდა, რომ სანაქებოდ ვუმასპინძლოთო, რომ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებს საამირობში ხშირად ჩამოსვლის სურვილი გაუჩნდეთ. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასთან, ბატონ გია გიორგაძესთან მოვილაპარაკეთ, რომ რეგულარულად გავცვალოთ დელეგაციები. ჩვენი ქვეყნის მოჭადრაკე ქალთა ოსტატობის ასამაღლებლად კი ქართველ მწვრთნელ ქალს მივიწვევთ საამირობში. ყოველივე კი ორი ქვეყნის დამეგობრებას შეუწყობს ხელს.

ვაჟა დანელია
ავტორის ფოტო

წყალბურთი

საგზური ექვსი, მოცილე თექვსმეტი

სლოვენიას ასცდნენ, მაგრამ ჯგუფში ხელწამოსაკრავი არავინაა

ბაინაღ წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი გაიმართება. გადამწყვეტ პაექრობებში მონაწილეობის უფლება 6 გუნდს უკვე დაჯავშნული აქვს, ხოლო მეორე ექვსეული (ნინა ჩემპიონატის მიხედვით) ალეი ოფშია. მათთან შესახვედრი 6 საგზურისათვის კონტინენტის 16 ქვეყნის წარმომადგენლები (ორი რაუნდის შემდეგ შეჯიბრებას ნაადრეულად გამოუთიმა ბუღგარეთი, რომელსაც ყველა შეხვედრა ნაგებული ჰქონდა) იბრძვიან. საკვალიფიკაციო ეტაპის ორი რაუნდის შემდეგ 28-28 ქულით ქართველები, რუსები და ფრანგები მენნიავეობენ. გუშინ ლუქსემბურგში ამ 16 გუნდის წილისყრა გაიმართა. ისინი სამ ჯგუფში გადანაწილდნენ და ბოლო ორთაბრძოლებს 7-10 ნოემბრის გამართავენ.

G ჯგუფში მოხვდა (ჯგუფი ექვსგუნდია) საქართველოს ნაკრები: საქართველო (28 ქულა), სლოვაკეთი (20), მალტა

>> მე-9 გვერდზე

ჟიდაობა ჩვენი, ქართული...

ვარიანელი კოკაურის კვირეული

მიმდინარე ზაფხულს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის და ფონდ „ქართულ" ერთობლივი პროექტით აგებული შემვიდე ახალი საჭიდაო სარბიელის გახსნას. დაეესწარით და, მართალია, აქამდე ექვსივე არენა მაყურებელთა სრული აბმლადაა ჩაგარდა, მაგრამ რაც 25 აგვისტოს დირბში (ქარელის რ-ნი) ვნახეთ, სულ სხვა რამ იყო. აქ ახალ საჭიდაოზე ათასამდე (!) მაყურებელი შეიკრიბა. დამეთანხმებით, რომ ერთი ჩვეულებრივი სოფლის ჩვეულებრივი შეჯიბრებისთვის ასეთი დასწრება სამაგალითოა. ამდენ მაყურებელს ხომ სპორტის ზოგიერთ სახეობაში ქვეყნის ჩემპიონატზეც კი ვერ ენახავთ. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ შიდა ქართლში ჩვენი ეროვნული საჭიდაო სახეობა უსაზღვროდ უყვართ. სხვათა შორის, ქართული ჭიდაობის შიდა ქართლის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტი **ვეფხი ქოთუაშვილიც** ამ სოფლიდანაა. სარბიელის გახსნისას საქართველოს ფედერაციის პრეზიდენტმა **ეელა ბერუაშვილმა** თქვა: *„აშენებული და ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესში მყოფი საჭიდაო არენებიც, მასზე გამართული შეჯიბრებების სიმრავლის, გულშემატკივართა დასწრების, საუკეთესოთათვის დაჯილდოების მუდამ გვარიანი სპორნი ფონდის და, რაც მთავარია, ფალავანთა ყოველთვის სანახაობრივი, შესანიშნავი*

აბსოლუტური წონის საუკეთესო სამეული. მარცხნიდან: გიორგი ბოლოთაშვილი, უტა კოკაური, გიგა გელაშვილი

პაექრობების გათვალისწინებით შემიძლია ვთქვა, რომ ქართული ჭიდაობისთვის ერთგვარი ოქროს ხანა დგება".

დავძენთ, რომ წლეულს ქართულ ჭიდაობას მართლაც უკეთესი დროება დაუდგა. დირბშიც, ოდესღაც ბოლო ხანებში ხშირად ხდება, შეჯიბრება ოთხ წონით (60, 70. 80, აბსოლუტური) კატეგორიაში ჩატარდა. საასპარეზოდ შიდა ქართლის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის და თბილისის სპორტსმენები გავიდნენ ნახერხმოყოლილ სარბიელზე. განსაკუთრებული წარმატებით მასპინძელი რეგიონის ფალავნები გამოვიდნენ, რადგან ყველა გამარჯვებული სწორედ შიდაქართლელები აღმოჩნდა. 60 კგ-ში ფინალში ხაუოენელი **გიორგი მეტრეველი** და ქარელელი **ლაშა გიუნაშვილი** შეხვდნენ. პირველთა სუფთა გდებით გიუნაშვილმა მოიპოვა. ნიმნნდრმლეკია, რომ დირბში ასეთი გამარჯვებაც მრავლად დაფიქსირდა. ჩატარებული შეხვედრების უდიდესი ნაწილი სწორედ დროზე ადრე დასასრულეს უკეთესმა ფალავნებმა. იმავე 60 კგ-ის ფინალისტებმა გადამწყვეტ შეხვედრამდე ყველა დაპირისპირება სუფთად მოიგეს. მეტრეველმა კი ნახევარფინალში ამბეტელი **გიორგი მესაბლიშვილი** სულაც 10 წამში ბრნყინვალე ბრწინი გააკრა ბქეკეზე. მესამე პრიზიორი ამ წონაში სწორედ მესაბლიშვილი იყო. 70 კგ-ში საუკეთესო აღმოჩნდა ხაშურელი **ზურაბ ნოზაძე**, რომელმაც მიმდინარე ზაფხულს აქამდეც არაერთხელ იმარეკა ამ წონაში. ფინალში მან **გიორგი მურაჩაშვილს** (გორი) სძლია. მესამე ადგილი აქ **ზაზა სიმონიშვილს** ეჭირო (ქარელი). 80 კგ-ის ფინალში **გიორგი პაპუნაშვილმა** (გორი) **ზვიად კაპანაძს** (ქარელი) სუფთად მოუგო. მესამე ადგილზე კაპანელი **ამირან იანგარაშვილი** გავიდა. აბსოლუტურ წონაში ტროიფალურად გაგელო გზა გამარჯვებამდე ვარიანელმა **უტა კოკაურმა,** რომელმაც ჯერ **სოსო იარაჯული** (თიანეთი) დამარცხა, შემდეგ **ზვიად გოგოჭური** (ამბეტა) არ გამოუცხადდა, მესამე ეტაპაზე **ზვიად ბაზანდარაშვილს** (გორი) აჯობა, ბოლოს კი **გიგა გელაშვილს** სუფთა გდებით აჯობა. საგულისხმოა, რომ მან ერთი დღით ადრე აბსოლუტურ წონაში კარალეთშიც (გორის რაიონი) იჭიდაოდა და იქაც საუკეთესო იყო. შესაბამისად ეს კვირა კოკაურის გამარჯვებებით აღინიშნა ქეტის იმსახურებს ფინალისტი, 17 წლის გიგა გელაშვილი. მან ისეი ძლიერ ფალავნებს აჯობა, როგორებიც არიან ზვიად კაკანაძე, ამირან იანგარაშვილი და ქარელელი **გიორგი ბოლოთაშვილი.** ეს უკანასკნელი ამ წონაში მესამე პრიზიორი გახდა.

ქართული ჭიდაობის ფედერაციისგან საუკეთესოებს ტრადიციულად გადაეცათ თასები, მედლები და ფულადი ჯილდოები. 60 კგ-ში საუკეთესოს ქარელის ეროვნული უფროსის მოადგილეს **ზაზა გულიაშვილმა** პირადად დანესებული პრიზიც გადასცა.

შეჯიბრებას არაერთი პატივცემული სტუმარი ესწრებოდა — **გურამ პაპიაშვილი, შოთა ხაბარელი, გია თენაძე, ჯემალ მჭედლიშვილი, გელა ეტბაშელი** და სხვები.

ვასილ ბალასაძე
დირბიდან
ფოტო: www.qartlisport.ge

ხელმოწერთა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

ძალოსნობა

დუშეთში ნვიმდა... რეკორდები

სხვებისაგან ვერც მონაფლავ საქართველოს ძალოსანთა ეროვნულ ჩემპიონატს (შეჯიბრების მთავარი მსაჯი - სამეზის ოლიმპიური ჩემპიონი **კახი კახიაშვილი**), რომელსაც დუშეთის კულტურის სახლსა უმასპინძლა. პირველობისთვის ქვეყნის უძლიერესმა ათლეტებმა ისასპარეზეს (ეგროპის მესამე პრიზიორის - მძიმენონსან **ირაკლი თოფრანიძისა** და **ნიკა ნანაძის** გარდა - ისინი ტრავმის გამო არ გამოსულან ფიცარნაგზე). საქართველოს ნაკრების წევრებმა - ეგროპის ჩემპიონმა **რაულ ცირეკიძემ** და **ალბერტ კუზნეცოვმა** ზედა წონებში მოსინჯეს ძალები, რადგან ისინი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადებიან და ამჟერად წონის დაკლებას მოერიდნენ. ტურნირის მიზანი იყო, კიდევ ერთხელ შეემოწმებინათ როგორც ეროვნული, ისე 20 და 23-ნლამდელთა ნაკრების წევრთა მზადყოფნა ასპუხსაგები შეჯიბრებების წინ. 21-ეს სეტტემბერს ტალინში ახალგაზრდა ძალოსანთა ეგროპის პირველობა გაიმართება. 20-ნლიანები ჩვენნან მედლებისთვის იბრძოლეგნენ ამ ასაკში შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონი **ლაშა ტალახაძე,** გასული წლის ეგროპის პირველობის ვერცხლის პრიზიორი **შოთა მიშველიძე,** ჭაბუკებში კონტინენტების ჩემპიონობის გამარჯვებული **ვალიამინ ალექსანძე,** ამავე ასაკში ეგროპის პრიზიორი **ირაკლი გაბრიჭიძე** და **ზურეაო თავაძე,** ხოლო 23-ნლიანებში - ჭაბუკების შორის ეგროპის ჩემპიონი **გიორგი ლომთაძე.** რაც შეეხება ეროვნულ გუნდს (მთავარი მნერნნელი ოლიმპიური ჩემპიონი **გიორგი ასანიძე),** მსოფლიოს ჩემპიონატში ჩვენი ათლეტები 16-26 ოქტომბერს ვლოცავენ (პოლონეთი) გამოვლენ, მანამდე კი ორ საწერნილო შეკრებას გიელიან და საბოლოო შემადგენლობაც მერე დასახელდება.

ახლა კი იმ რეკორდების შესახებ, რომელიც ზემოთ ვახსენეთ: მძიმენონსანმა ლაშა ტალახაძემ ატაცაში (198 კგ) 20-ნლამდელთა ეგროპის მიღნეკას გადაამეტა, აკვრაში (233) საქართველოს რეკორდი უფროსებში კილოგრამით გააუმჯობესა (უნინდელი ირაკლი თურმანიძეს ეკუთვნოდა, რომელიც შარშან ლონდონის ოლიმპიადაზე დაამყარა), თანაც ტალახაძის სამივე შედეგი (ატაცი-აკვრა-ორჭიდი) 20-ნლიანებში საქართველოს ახალი მიღნეკებია. 19 ნლის შოთა მიშველიძემ (69 კგ) საქართველოს ერობაშად სამი რეკორდი (144+170=314) დაამყარა. დაეთი გოგიაძ (105 კგ) ატაცში საქართველოს უნინდელი მიღნეკეა გაუმჯობესა (190 კგ), ორჭიდში კი 415 კილოგრამს მოუყარა თავი, როცა ამ წონაში ლონდონის ოლიმპიადაზე ჩემპიონს - უკრაინელ ტარაბარს ოყრის მედალი 412-მა კილოგრამმა მოუტანა. საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოს ნაკრების ყველა წევრმა საკუთარი მაჩვენებლები საგრძნობლად გაზარდა.

„ასეთ მაღალ დონეზე ჩატარებული ეროვნული ჩემპიონატი არ მახსენდება, რაც დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და მისი ხელმძღვანელის - ვაჟა ჩოხელის დამსახურებაა. სპორტსმენებს კულტურის სახლში უმასპინძლა. პირველობისთვის ქვეყნის უძლიერესმა ათლეტებმა ისასპარეზეს ეგრ დაფარეს ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ეიცე-პრეზიდენტმა, ორგ ზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ალეკსანერ კულოვიჩმა (ბელარუსი) და ელადიკავკაზელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა თეიმურ ტაიმაზოვმა, რომლებიც შეჯიბრებას ესწრებოდნენ. ჩემპიონატ ზე სპეციალურად ჩამოვიდა ჩრდილო ოსეთიდან ყოფილი ცხინვალელი, საქართველოს მრავალგზის ზის ჩემპიონი და პრიზიორი ალსარ ტასიევი, რომელმაც თავისი შეგიორი - 24 ნლის სოსლან გაგლოევი ჩამოიყვანა. იგი უკონკურსოდ მონაწილეობდა 94 კილოგრამშ წონით კატეგორიაში და მესამე შედეგი (348=157+192) აჩვენა. როგორც ტასიევმა გვითხრა, გაგლოევს სამომავლოდ საერთაშორისო სარბიელზე საქართველოს სახელით გამოსვლა სურს.

ჩემპიონატზე, ოყრის, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელების გარდა, სინკლერის ტაბულით (ყველა წონის სპეციალური კოეფიციენტები მრავლდება სპორტსმენის წონასა და მის მიერ ნაჩვენები ორჭიდის ჯამზე) გამოვავლინეთ ძვნი საუკეთესო სპორტსმენი. ესენი არიან: *1.* დაეთი გოგია, *2.* ლაშა ტალახაძე, *3.* ალბერტ კუზნეცოვი, *4.* შოთა მიშველიძე, *5.* რაულ ცირეკიძე, *6.* გიორგი ლომთაძე, რომლებიც ძალოსნობის ფედერაციამ ტელეკეთ ზორვებით, ფოტოაპარატებითა და ტელეფონებით დაასაჩუქრა. დუშეთის გამგეებმა ვაჟა ჩოხელმა სპეციალური პრიზი გადასცა დეეთ გოგიას. ყოფილმა ძალოსანმა ამჟამად სავაჭრო ცენტრ „ოდეობანის" გენერალურმა დირექტორმა თამაზ ბაქანიძემ ლაშა ტალახაძე *1.000* ლარით დააჯილდოვა, ხოლო ცნობილმა ფალავნებმა - ოლიმპიურმა ჩემპიონმა მანნურარ კვირკელიამ და ოლიმპიადის მეორე პრიზიორმა, მსოფლიოს ჩემპიონმა რამაზ ნოზაძემ ჩემპიონატის გამარჯვებულებს ფასიანი საჩუქრები გადასცეს. შეჯიბრებას ესწრებოდნენ სპორტის მინისტრის მოადგილე თამაზ თეეზაძე და დუშეთის მაუორატარი დეპუტატი ირაკლი ტრიპოლსკი. ჩვენი ათლეტებისადმი აშგვარი ყურადღება, დარნმუნებული ვარ, უკეალოდ არ ჩაივლის - ქართველი ძალოსნები ეგროპის ახალგაზრდულ პირველობასა და მსოფლიოს ჩემპიონატზე მედლებით გაგვახარებენ", - გვითხრა საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **რამაზ გურგენიძემ.**

ვაჟა დანელია

ქეარცხლდეკი

56 კგ. 1. ზეიად ფუტკარაძე (აჭარა) - 202 (ატაცი-90 + აკვრა-112), 2. ზაზა ფუტკარაძე (აჭარა) - 190 (85+105), 3. გიდერი ბერდელიძე (საჩხერე) - 180 (80+100).

62 კგ. 1. რამილ ძამილიშვილი (აჭარა) - 251 (111+140), 2. გოგა ჩხეიძე (ზუგდიდი) - 213 (95+118), 3. ვახტანგ ეგაკუა (ზუგდიდი) - 208 (98+110)

69 კგ. 1. შოთა მიშველიძე (ქუთაისი)-314 (144+170), 2. ალინიკეკ თოდაძე (საჩხერე) - 275 (123+152), 2. ვაჟა ძაცავარაძე (აჭარა) - 260 (120+140).

77 კგ. 1. გიორგი ლომთაძე (ქუთაისი) - 328 (150+178), 2. ირაკლი გაბრიჭიძე (საჩხერე) - 313 (142+171), 3. ჯაბა ჩიბურდანიძე (აჭარა) - 285 (132+153).

85 კგ. 1. ზურეაო თავაძე (ქუთაისი) - 324 (147+177), 2. დავით ხარატაშვილი (ოფხაზეთი) - 320 (143+177), 3. ლაშა კოპალიანი (ქუთაისი) - 315 (138+177).

94 კგ. 1. რაულ ცირეკიძე (ქუთაისი) - 363 (163+200), 2. ალი ცანავა (ზუგდიდი) - 354 (164+190), 3. დავით ხეცურიანი (ქუთაისი) - 313 (140+173).

105 კგ. 1. დაეთი გოგია (ზუგდიდი) - 415 (190+225), 2. ვალიამინ ალექსიძე (აჭარა) - 352 (157+195), 3. ზურა ინანძე (თბილისი) - 340 (155+185).

ძმიმე. 1. ლაშა ტალახაძე (საჩხერე) - 431 (198+233), 2. ალბერტ კუზნეცოვი (აჭარა) - 400 (180+220), 3. გიორგი თურმანიძე (თბილისი) - 362 (165+197).

გუნდური ადგილები: 1. ქუთაისი (198 ქულა), 2. აჭარა (186), 3. ზუგდიდი (183).

წყალბერთი

« ბე-10 ბვერდიდან

(16), პორტუგალია (15), ბელარუსი (9), შვეიცარია (3). ამ ჯგუფის წევრები პორტუგალიაში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

H ჯგუფში (საფრანგეთი) ითამაშებენ: საფრანგეთი (28), უკრაინა (19), პოლონეთი (12), დანია (9), ჩეხეთი (3).

I ჯგუფი (დიდი ბრიტანეთი): რუსეთი (28), სლოვენია (25), დიდი ბრიტანეთი (17), ისრაელი (13), მოლდოვა (5).

- კარგია, რომ ნილისყრამ საკვალიფიკაციო ეტაპიდან პლეი ოფის პირველ სამეულში მოსახვედრად უპირველესი კონკურენტი სლოვენია აგვაცილა. მართალია, ჩვენს ჯგუფში ხელნამოსაკრავი გუნდები არ არიან, მაგრამ არა მგონია, რომელიმე გადაფუთანავი ბარიერი იყოს, მათ შორის მასპინძელი პორტუგალია, თუმცა მასთან არასდროს გვითამაშია. სხვა გუნდებს შეეხვედრივართ და მათი ძალა ვიცით. მიზნის მისაღწევად არაფერს დავიშურებთ, - გვითხრა საქართველოს წყალბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმერ ისელიძემ.**

ვაჟა დანელია

● ამხანაგური მატჩი

ელიათში ჩვენმა ათიანმა ათიანში მოარტყა

3:3! ისრაელს გავუთანაბრეთ

26 აგვისტო
ელიათი, ისრაელი
ისრაელი-საქართველო 73:74
13:21, 22:16, 21:13, 17:24.

საქართველო	წთ	მ	კ	უ	შ	დ	ჩ	კ
6. ბერია	1	0	0	0	0	0	0	0
8. ფინლაკ	34	1	5	1	6	0	0	11
9. ზურგალიანი	31	12	0	2	2	0	0	19
10. ალმანი	31	4	4	2	1	0	1	6
12. ფაცაცია	26	2	2	3	0	0	3	0
13. სანლარიძე	33	7	0	2	1	2	1	20
15. მეფარეველი	0	0	0	0	0	0	0	0
20. სანაძე	14	2	1	2	0	0	0	8
22. ალიტიშვილი	9	2	0	2	0	0	1	5
24. ბურდულაძე	7	1	0	1	0	0	1	2
25. ლეფალა	9	2	1	1	0	0	0	0
30. ფხაკაძე	6	0	0	2	1	0	0	3

ისრაელი: ლემონადე (3ქ), ნაიმი (5ქ), ელიაშუ (16ქ), კასაი (18ქ), ანინი (5ქ), ოპაინონ (4ქ), ბალკერნი (12ქ), კუზიკარო (2ქ), გრინი (2ქ), კადირი (4ქ).

3:3! ისრაელს ანგარიში გავუთანაბრეთ - გუშინდელ ამხანაგურ შეხვედრამდე ქართველებსა და ებრაელებს შორის საკალათბურთო ანგარიში 2:3 იყო (ოფიციალური და ამხანაგური შეხვედრების ჯამში). 26 აგვისტოს კი სტუმრად, ელიათში ისრაელი 74:73 დავამარცხეთ და საერთო ანგარიში გავთანაბრეთ. გასწორება შეგვიძლია, თუმცა საამისოდ აუცილებელია დღეს, 27 აგვისტოს ისრაელის ქალაქ ჰაიფაში კიდევ ერთხელ დავამარცხოთ მასპინძლები...

იოთამ ჰალპერინის, ომრი კასპის, ლიორ ელიაშუს დარი მოთამაშეებით გაძლიერებულ გუნდს სტუმრად რომ ავდიოდა, საქმე საგრძნობოდ ნამდვილად გაექცა. ხოლო თუ იმასაც დავეძებთ, რომ საქართველოს ნაკრებს აკლდნენ **ზაზა ფაჩულია, მანუჩარ მარკოიშვილი** და **თორნიკე შენგელია,** ისრაელში გამამარჯვებლის ფასი ერთი-ორად მოიმატებს.

ზაზა და თოკო რომ არ გვყავს, ეს იელისის შემდეგ მთელმა ევროპამ გაიგო. რაც შეეხება მანუჩარ მარკოიშვილს, მას ფეხი გადაუბრუნდა და მწვრთნელებმა ისრაელთან ამხანაგურ მაგჩში მოედანზე გაყვანა ვერ გარისკეს. მართალია,და, საკონტროლო შეხვედრები ნომ იმიტომ ტარდება, რომ გუნდი ევროპის ჩემპიონატისთვის მოემზადოს და მანუს დასვენებაც სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. მთავარია, იგი მწყობრში შეიდგეს 4 სექტემბრის მაგჩს.

ამხანაგური, საკონტროლო... ასეთი თამაშების შედეგს დიდი მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა ამის თქმა საქართველოს ნაკრებზე არ შეიძლება. როცა სამი ნამყვანი კალათბურთელის არყოფნაში ბოლო წამებზე NBA-ს დრაფტზე აყვანილი მოთამაშეებით შევსებულ კოლექტივს ამარცხებ, ნებსით თუ უნებლიეთ, თვითრწმენა ბევრმატგება, მეიგრძნობ, რომ შეგიძლია ძლიერი გუნდების დამარცხება და ევროპის ჩემპიონატზე პოლონეთთან, ხორვატიასთან, სლოვენთანის, ჩეხეთთან და ესპანეთთან სასაუკრად დაჯერებული გახვალ.

გასულ სეზონში **გიორგი შერმადინი** („მაკაბი") და **ვიტმორ სანიკიძე** („მონტეპასკი") ერთმანეთს რომ დაუპირისპირდნენ, გამარჯვებულის ბედი არაერთობილმა გადაწყვიტა: **რიკი ჰიკმანმა** ბოლო წამებზე ბურთი აიღო, აკაკუნა, თამაშისთვის განკუთვნილი დრო რომ იწურებოდა, მეტოქის ფარქვეშ შვედი და „მაკაბის" 2 ქულის სხვაობით (70:68) გაამარჯვებინა. თითქმის იგივე გაიმეორა ჩვენმა მეათე ნომერმა ჰიკმანმა ისრაელი-საქართველოს მუშინდელი შეხვედრისას: ბოლო წუთზე ჯერ სანიკიძემ ჩააგდო სამქულიანი და ჯარიელებს 2-ქულიანი ფორა დაუბეგა (72:70), შემდეგ კასპმ ასევე სამიანით მასპინძლები მინიმალური სხვაობით დაანინაურა (73:72), ხოლო გადამწყვეტი ტკორენა საკუთარ თავზე ჰიკმანმა აიღო, მეტოქის ფარქვეშ შეიჭრა და - 74:73 ქართველთა სასარგებლოდ. ეს წლეულს უკვე მეორე გამარჯვებაა ისრაელთან, თანაც ბოლო წამებზე. პირველად 79:77 იტალიის საერთაშორისო ტურნირზე მოვუგეთ. ამჯერად კი ისრაელში მოგებით ელიათის თასს დავეუფლეთ.

საყურადღებოა, რომ ჰიკმანს ბოლო ტკორენამდე მხლოდ 4 ქულა ჰქონდა ჩაგდებული, თუმცა გადამწყვეტი შეტეეთ დაგვანახვა, რომ ევროპას,ეტზე მისი იმედი უნდა გვქონდეს. „მაკაბის" ყოფილება ცენტრმა გიორგი შერმადინმა კიდევ ერთი დაბლ-დაბლო მიითვალა. მან 7 ორქულიანიდან და 8 საჯარიმოდან მხლოდ თითო ტკორენა ვერ გამოიყენა. ქართველთა ბომბარდირობა კი ვიტმორ სანიკიძემ იკისრა (20 ქულა), რომელსაც ბოლო ნამეტზე სამქულიანი რომ არ ჩაეგდო, არავინ იცის, შეხვედრა რა შედეგით დასრულდებოდა. ვიტმორმა 6-დან 3 ორქულიანი, 8-დან 3 სამიანი და 5-დან 5 საჯარიმო ჩააგდო. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრებში, განსაკუთრებით მეოთხე 12-დან 11-მა კალათბურთელმა ითამაშა. მწვრთნელმა ხლოდ **ნიკა მეტრეველი** არ შეიყვანა მოედანზე.



როგორც ნინა დღისით ვივარაუდეთ, განაკუთვნებ არ იყო მეორე ამერიკელი **ლუკ ზელერი.**

ნამატჩევს

დავით უსტიაშვილი:

- დაძაბული მატჩი იყო. მასპინძლებს არ უნდოდათ ნაგება და ბოლომდე გაადგთრებდა გვეძრძოდნენ, თუმცა ჩვენმა ბიჭებმა ბოლო ნამეტამდე სიმტკიცე გამოაელინეს და ძალიან საყმარო გამარჯვეკა მოვიპოვეთ...

- გვეონდა ჩაეარდნა მატჩის შუა ნაწილში, მაგრამ რაც ძალიან გასახარია, რომ გუნდმა გადამწყვეტ მომენტში გამართულად ითამაშა. შეცდომები გამოვასწორეთ, ბოლომდე ვიბრძოლეთ და გარჯვაც დაგვიფასდა...

- ძალიან მნიშვნელოვანი იყო სათადარიგო მოთამაშეების გარჯა. დუდა სანაძე, ნიკა ცქიტიშვილი, ოთო ფკახაძე... ჩამოთვლის აღარ გავიგრძელებ და მინდა ვთქვა, რომ გამარჯვებაში ყველამ თავისი წვლილი შეიტანა... კარგად ითამაშა რიკი ჰიკმანმა, რომელმაც გამარჯვების ბურთი ჩააგდო. მისგან უფრო მეტს ველით და მჯერა, ევროპის ჩემპიონატზე ჰიკმანისგან მეტი საოგებელი გვექნება...

- შერმადინმა 19 ქულა და 12 ქულა მოაგროვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ფარქვეშ მეტოქეები დაჯაბნა. მოიტდავად ამისა, ვერ ვიტყვით, რომ მხლოდ ფარქვეშ უპირატესობით მოვიგეთ. ჩვენმა გუნდმა შესანიშნავად ითამაშა ოროორკ საჯარიმოზეც (94% ვე პერიმეტრზე. ხოლო როცა ჩავარდნა გვქონდა, ყველა რგოლში სუსტად გამოიყურებოდით...

- ნაკრები თამამს უოშფობეს ებს. ნინა მატჩებიგან განსხვავებით დღეს უფრო მობილიზებულად, სტაბილურად და თავდაჯერებულად ვითამაშეთ. გვაკლდა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი მანუჩარ მარკოიშვილი, რომელსაც ვუფრთხილდებით, ამას წინათ მიღებული ტრავმა რომ არ გაუფიზეზდეს. მას ამ ეტაპზე არ ანუხებს ფეხი, თუმცა არ ვრისკავთ. შესაძლოა, მანუჩარმა ზეგ, ისრაელთან მორიგ საკონტროლო მატჩში ითამაშოს.

ვაჟა სიმონიშვილი

● კალათბერთი. ინტერვიუ მალხაზ კოხრეიძესთან

ბრძოლისუნარიანი ქუთაისი

სუპერლიგის ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური გუნდი „ქუთაისი-2010" ახალ საკალათბურთო სეზონს მნიშვნელოვანი ცვლილებებით ხვდება. მოგეხსენებათ, ცოტა ხნის წინათ დავით უსტიაშვილის ნაცვლად ქუთაისური გუნდის მთავარ მწვრთნელად მალხაზ კოხრეიძე დაინიშნა, რომელიც „ქუთაისის" უსტიაშვილის დანიშვნამდეც ხელმძღვანელობდა. პირველი ბრინჯაოს მედლები, დუდუ დადიანის სახელობის თასი, ქუთაიურებმა სწორედ მისი მწვრთნელობისას მოიპოვეს. სიახლეებია გუნდის შემადგენლობაშიც. მალხაზ კოხრეიძეს „ქუთაისში" მიმდინარე ცვლილებებსა და გუნდის მიზნებზე ვესაუბრეთ.

- როგორ ემზადებით სეზონისთვის და რა ცვლილებებია გუნდში?

- გუშინდელ სპი.ნ ნამყვანი კალათბურთელი ბუბა კვიმსაძე, თემურ ბაბუნაშვილი და რიჩარდ მათიოაშვილი ნავიდა. პირველი ორი „ჯრშიაში" გადავიდა, მათიამეილი კი „ოლიმპს" შეუერთდა. „ქუთაისს" მთავარ მწვრთნელად რომ დაგინიშე, კალათბურთელებთან ხელშეკრულებების 99% უკვე გაფორმებული იყო. გუნდი ფაქტობრივად დაკომპლექტებული დამცდა და მასპინ.კორექტივების შესაბანად დროც არ მქონდა. ჩემპიონატისთვის ქუთაისში ვემზადებით, როგორც ხელმძღვანელობამ გვითხრა, სხვა საშუალება ამ ეტაპზე არ არის. გუნდი მთელი დატვირთვით ვარჯიშობს. ვმუშაობთ საერთო და სპეციალურ ფიზიკურ მომზადებაზე, რეაბილიტაციის მიზნით ეი ჩასმული გვაქვს ნყლის პროცედურები. პროგრამას მივყვებით და ვფიქრობ, სეზონს სრულ მზადყოფნაში შევხვდებით.

- გუნდში რამდენიმე ახალი კალათბურთელეცაა. მათ შესახებ რას გვეტყვით?

- როგორც გითხრით, შემადგენლობა დაკომპლექტებული დამხვდა. ჩემს დანიშვნამდე გუნდს დაემანნენ აკაკი დვალიშვილი და გიორგი ცირეკიძე (ორივე „ოლიმპიდან"), „ქუთაისში" დაბრუნდა გიორგი ცეკვავა, რომელმაც წინა სეზონი „რუსთავში" ჩაატარა. მათთან ხელშეკრულებები კლუბის ყოფილმა ხელმძღვანელობამ გააფორმა, ჩვენი მოსვლის შემდეგ კი მხლოდ დიმიტრი დვალიშვილი დავიმატეთ.

- „ქუთაისი" საქართველოს ნაკრების წევრ ბესიკ ლეკვავათ უნდა გაძლერებულიყო, თუმცა, კალათბურთელმა შეცვლილი პირობების გამო ქუთაისურ გუნდში თამაშზე უარი განაცხადა. ამასთან დაკავშირებით რას იტყვით?

- „ქუთაისის" წინა ხელმძღვანელობას ჰქონდა თუ არა მოლაპარაკება ბესიკ ლეკვავასთან, ამის თაობაზე ვერაფერს გეტყვით. ამ კალათბურთელის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. პირიქით, „ქუთაისს" ძალიან დიდ სარგებელს მოუტანდა, მაგრამ, მატერიალური მხარე ჩემს კომპეტენციაში არ შედის და ამ საკითხს მე ვერ გადაეწყვეტდი.

- რა მიზნებისთვის იბრძოლებს „ქუთაისი" ახალ სეზონში?

- ჯერ ჩემპიონატი არ დაწყებულა და ამ თემაზე საუბარი წინასწარმეტყველების ტოლფასი იქნება. ყველაფერს კონკრეტული თამაშები გვიჩვენებს. სათადარიგოთა სკამიც გასათვალისწინებელია. გვაქვს გარკვეული სირთულეები. ფაქტობრივად 6-კაციანი გუნდი გვყავს, მთთიაშვილის ნასვლით ცენტრ-ფორვარდის პოზიციაც შეგვხვსუტდა. შეიძლება სეზონის განმავლობაში რომელიმე წამყვანმა კალათბურთელმა ტრავმა მიიღოს... მოკლედ, ყველა ნიუანსი გასათვალისწინებელია. ამიტომ, წინასწარ მიზნებზე საუბარი რთულია. როგორც ვიცი, პირველი წრის შემდეგ გუნდები უცხოელებით გაძლიერებას აპირებენ, ჩვენც თუ ჩაეერთვებით ამ პროცესებში და რამდენიმე გამოცდილ კალათბურთელს დავიმატებთ, არა მგონია ვინმეს რამე დავუთმოთ. ამის გამოცდილება და ბრძოლისუნარიანობა ბიჭებს საკმარისად აქვთ. ახლაც, საკამოდ მეკრული გუნდია. ვარჯიშებზე ყველა ბოლომდე იხარჯება, კალათბურთელების მონდომებით კმაყოფილი ვარ და გუნდის მიმართ კარგის მეტი არაფერი მეთქმის. დანარჩენი კი სამომავლოდ გამოჩნდება.

- წინა სამ სეზონში „ქუთაისის" ძირითადი კოზირი პერიმეტრზე კარგი თამაში და ზუსტი სამქულიანები იყო, მომავალ სეზონში რა ტაქტიკით ითამაშებს გუნდი?

- ტაქტიკურ სქემებსა და მონახაზებს საიდუმლოდ დაეტოვებ. ეს ჩემპიონატის მიმდინარეობისას გამოჩნდება და მისი მართებულება თქვენ და გულუმატიკურებმა შეაფასეთ. ახლა მხლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ „ქუთაისი" იქნება ბრძოლისუნარიანი და ძლიერი გუნდი, რომელსაც საკუთარი გულუმატკიური ბუდან ემოციებისა და სიხარულის ქქეშ ეყოლება. თითოეულ მატჩში მთელი სულითა და გულით ვიბრძოლებთ, როგორც ეს გასულ წლებში ხდებოდა.

- ბოლოს ქუთაისის სპორტის სახლის დარბაზზეც მინდა გკითხოთ, სადაც ბეტონის იატაკია და ეს გუნდებისთვის პრობლემებს ქმნის. დარბაზში პარკეტის დაგება ხომ არ იგეგმება?

- გეგმირებიან და თითქმის გადაწყვეტილებაა, რომ ეს პრობლემა მოგვარდება. პარკეტი ალბათ, ჩემმოსვლის შუალედში დაიგება და ქუთაისის სპორტის სასახლე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დარბაზი იქნება.

დავით პოხრეიძე
ქუთაისიდან

2013 წელი. ქუთაისი-ოლიმპი. ბურთით გიგი ბარბაქაძე

● სტუდენტური კალათბერთი

ელიტაში შეეაბიჯებენ

საპარეველოს უმაღლესი სასნავლებლების სტუდენტური ნაკრები ოქტომბრიდან ჩაერთვება საერთაშორისო სტუდენტურ საკალათბურთო ლიგაში, ასეთი ინფორმაცია მოგვანწოდა „კალათბურთელთა კავშირმა". ამ მოვლენის დეტალებზე პრესკონფერენციაზე ეკითხულობთ:

„საერთაშორისო სტუდენტური საკალათბურთო ლიგა ტარდება რეგიონალური ჩემპიონატის სახით, ჯგუფური და პლეი ოფის სისტემით.

პროექტის ქართულ მხარეს ნარმოადგენენ „კალათბურთელთა კავშირი" და „საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია".

27 აგვისტოს თბილისს ორდღიანი ვიზიტით ეწვევა საერთაშორისო სტუდენტური საკალათბურთო ლიგის დელეგაცია. ვიზიტის მიზანია საქართველოს უმაღლესი სასნავლებლების სტუდენტური ნაკრების შეკაბრნებაში მონაწილეობისთვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება.

საერთაშორისო სტუდენტურ საკალათბურთო ლიგაში საქართველოს გარდა მონაწილეობას მიიღებენ: რუსეთი, ესპანეთი, ხორვატია, სლოვენია, სერბეთი, ჩერნოგორია, ინგლისი, ჩინეთი, კორეა, უკრაინა, ბელორუსი, ყაზახეთი, ესტონეთი და ლატვია."

ვაჟა სიმონიშვილი

● ინტერვიუ გიორგი ლლონტუან

კლუბი ნელ-ნელა ძლიერდება

სპონსორებიც გამოჩნდებიან

რაგბის კლუბი „აკადემია“ ქართულ რაგბის სამყაროში თავისი ხელნაწერი გამორჩეული, თვითმყოფადი გუნდია. თავის დროზე თბილისის სამხატვრო აკადემიის ბაზაზე შექმნილ გუნდს, დღესაც პროფესიით მხატვრები და მოჭანდაკეები ხელმძღვანელობენ, რომლებიც ნლების განმავლობაში მაღალი დონის სპეციალისტებად ჩამოყალიბდნენ. „აკადემია“ მთავარი მწვრთნელი პაატა ნარიმანიძეა, რომელიც საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი იყო და „ბორჯღალოსნები“ 2007 ნლის მსოფლიოს თასზე გაიყვანა. მისი ასისტენტი დიმიტრი ობოლაძეა, რომელიც საქართველოს ნაკრების კაპიტანი გახლდათ მრავალი ნლის განმავლობაში. ჩვენ კი, გუნდის აწმყოსა და მომავლის შესახებ კლუბის პრეზიდენტს გიორგი ლლონტს ვესაუბრეთ, რომელიც იმავდროულად „აკადემიას“ საფეხბურთო ასაკის მორაგბეების მწვრთნელიცაა.

„აკადემია“ ბოლო ათი წელინადია საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ბინადარია. ამ დროის განმავლობაში გუნდმა ეროვნული ჩემპიონატის ფინალშიც იასპარეზი და ყველასთვის ანგარშგასანვე ძალად ჩამოყალიბდა. თუმცა, ბოლო ორი სეზონია თქვენი გუნდი დიდი ზიონიდან გაგარდნის პირასაა. რით იყო გამოწვეული ასეთი მკვეთრი ჩავარდნა?

- ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, ცხადია, მნირი ფინანსებია. გუნდი ჩვენმა აღზრდილმა ბევრმა მორაგბემ დატოვა. თუ არ ჩავთვლით უცხოეთში ნასულებს, ეროვნული ჩემპიონატში მოასპარეზე კლუბებში ორი ნლის განმავლობაში თხუთმეტამდე აკადემიელი გადაბარგდა. ეს საკმაოდ სერიოზული დარტყმა იქნებოდა ნებისმიერი გუნდისთვის.

ერთადერთი, რამაც გვიშველა, ის არის, რომ მორაგბეთა ნაკადში ნყვეტა არ გვაქვს. დანაკლისს ჩვენივე აღზრდილებით ვავსებდით. საბედნიეროდ, ჭაბუკთა A და B ლიგებში კარგი ბიჭები გვყავს. შეეხებას უმაღლესი ლიგის გუნდი მუდმივად იღებს. ასე რომ არ ყოფილიყო, დავიღუპებოდით.

- სეზონის დანყებამდე ერთი თვით ადრე მდგომარეობა თითქოს უცვლელი იყო. თითქმის ყველა გუნდს უჭირდა, მაგრამ სახელმწიფო დახმარებამ, ალბათ, მაშველი რეალივით იმოქმედა...

- ამ დახმარებამ არა მარტო ჩვენი კლუბი, სხვა გუნდებიც „ჭაობიდან ამოიყვანა“. მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. აქამდე თუ ნლიური ბიუჯეტი 100 ათასი ლარი იყო, ახლა ის 400 ათას ლარს შეადგენს. ნინა სეზონში მოთამაშეებსა და მწვრთნელებს ხელფასს რვა თვის განმავლობაში ვუხდიდით. ახლა მთელი ნლის განმავლობაში გადავუხდით და თანაც გაორმაგებულს. აკეთებენ ფიზმომზადების მწვრთნელი, რომელიც სეზონისნინა სამზადისში დაგვეხმარება. გუნდი ხუთდღიან შეკრებას გიიელი „შევარდნის სანაკრები ბაზაზე“. ამასთან ერთად, სამი ნელნენადია სპორტული ეკიპირება არ შეგვიცვლია. ახლა უკვე ახალი ფორმების შეკვთა მივეცით. გუნდი სუფთად და ლამაზად ჩაიცმული დახვდება ახალ სეზონს. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც მოთამაშეების განწყობაზე დიდ ზემოქმედებას ახდენს. ისინი სხვა შემპარვებით, სხვა ფინით უდგებიან საქმეს.

- რა ცვლილებები მოხდა გუნდში სეზონებს შორის შესვენებისას?

- გუნდი ორმა მორაგბემ დატოვა, ნიკა ჩხეკვაძე და გიორგი ამდუშელიშვილი „ყორებში“ გადავიდნენ. „თიბილისიდან“ „აკადემიაში“ დაბრუნდნენ გიორგი ქოპალაშვილი და დავით ნასხიდ. ქუთაისის „რანდიდან“ დავიმაგეთ პირველსაზელი ამირან ნაქსაძე. შვეიცარა მოვიღეთ ჩვენი ჭაბუკთა A ლიგიდან. დის.კვალიფიკაცია დაუმთავრდა დავით ბუბითიძეს, საკმაოდ პერსპექტიული მორაგბეა თელაველი ვანო ბერიკაშვილი. ფოთის „რანდიდან“ გადმოვიდა ანზორ სიჭინავა, რომელიც იმედისმომცემი გარემარბია. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, ფოთის სარაგბო სკოლის კარგი მუშაობა. ამირან შავგულიძის აღზრდილები, არა მარტო კარგი მოთამაშეები, არამედ შესანიშნავად აღზრდილი ადამიანები, ნესიერი ბიჭები არიან.

სხვა ყველა, ვინც გასულ სეზონში „აკადემიაში“ თამაშობდა ისევ გუნდშია. ტრავმირებულებიც გამოჯანმრთელდნენ და, იმედი გვაქვს, სეზონს დანაკლისს გარეშე შეეხვედებით.

- გუნდი სეზონისთვის სად და რა-გორ ემზადება?

- ვარჯიში დიდი ხანი არის, რაც დაგიწყეთ. ძირითადად „შევარდნის სანაკრებო ბაზაზე“ ვვარჯიშობთ. იქ ყველანაირი პირობა ნაყოფიერი წვრთნისთვის. გასულ უქმეებზე „ლელოსთან“ გაემართეთ საკონტროლო მატჩი, რომელიც ფრედ დასრულდა. შემადგენლობა არც ერთს არ გვყავდა ოპტიმალური. თუმცა, მაინც კმაყოფილი ვიყრნით. დაკინახეთ, რომ მეტი შეგვიძლია და ისიც გამოჩნდა, უმეტესად რაზე გვაქვს სამუშაო.

ამჟამად მიმდინარეობს ახალი და ძველი მორაგბეების შეთამაშების პროცესი. გვყავს ასევე, სათადარიგო გუნდიც, რომელსაც დიდ ყურადღებას ვუთმობთ. რაც სრულიად ბუნებრივია. A ლიგაში ასპარეზობის მერე მორაგბე თუ პირდაპირ უმაღლესი ლიგის გუნდში ვერ ხვდება, სათადარიგო გუნდში განაგრძობს თამაშს, გამოცდილების მიღებას. იქ ამტკიცებს, რომ ძირითად გუნდში თამაშის ღირსია.

- „აკადემიას“ სპონსორი არ ჰყავს?

- სპონსორი არ გვყავს, მაგრამ დიდი მადლიერნი ვართ „ბაზის ბანკის“, რომელიც კვარტალში ერთხელ 4 ათას ლარს გვაძლევს, რითაც საავარჯიშო მოედნის არენდის ნანილს ვფარავთ. იმედი გვაქვს, მომავალში ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდება. ახლახან ქეიშის რაგბიის საქართველოს ჩემპიონატი მოვიგეთ. კლუბი ნელ-ნელა ძლიერდება და, ალბათ, სპონსორობის მსურველებიც გამოჩნდებიან.

- „აკადემიას“ უმაღლესი ლიგის გუნდი „შევარდნის სანაკრებო ბაზაზე“ ვარჯიშობს. სად ინრომობა სხვა ასაკობრივი ჯგუფების გუნდები?

- ჩვენი ძირითადი სანერნენელი ბაზა ყოფილ სპორტკომპლექს „ქარიშხალასთან“ ახლოს მდებარე პატარა მოედანი იყო, რომელიც ახლა შესყიდულია და, ცხადია, იქ ალარ ვვარჯიშობთ. ჭაბუკთა A და B ლიგის გუნდი, ხან იპოდრომზე ვარჯიშობენ, ხანაც ვაკის პარკის ბილიკებზე. საფეხბურთო ასაკის მორაგბეებს კი, უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან ახლოს არსებულ მოედანზე ვწრთნიდი.

- რა მიზანს ისახავს წლევანდელ ჩემპიონატში თქვენი გუნდი?

- ჩვენთვის პროგრამა მაქსიმუმი ეკვსეულში, ანუ პლეი ოფში მოხვედრაა. მინიმუმი კი ის იქნება, თუ მერე ვიდგეთ ქვეშით არ ჩავცდებთ, რათა უმაღლესი ლიგიდან გაგარდნის საფრთხე არ დადგემუქროს. თუმცა, ეფიქრობ, აქამდე საქმე არ მივა. არსებული პოტენციალით, მწვრთნელთა შეგახმა კეალიფიკაციის გათვალისწინებით, ჩვენ რეალურად შეგვნევს უნარი, მონინავეთა შორის ვიყოთ.

- როგორ ფიქრობთ, რომელი გუნდები იქნებიან თქვენი კონკურენტები და ჩემპიონატის ფავორიტები?

- იმით თუ ვიმსჯელებთ, დღეს რა მდგომარეობაცაა, ყველა ჩვენი კონკურენტია. გუნდები საკმაოდ მოღონიერდნენ, ძალები გათანაბრდა. ფავორიტები, ალბათ, ისევ „ლელო“, „ორმია“, „ლოკომოტივი“ და „აია“ იქნებიან. სერიოზულ შემადგენლობას მოუყარა თავი „ყორეებმა“ და „ორმაზმა“. შესანიშნავი გუნდი იყო და აბჯერადაც ასეთივე იქნება „ჯიქები“. ერთი სიტყვით ვიინმეს გამოყოფა ძალიან ძნელია. გამოკვეთილი არც ლიდერი ჩანს და არც აუტსაიდერი. ასე რომ, ნლეულს ძალიან საინტერესო ჩემპიონატი გვექნება.

ბესიკ ჯანგავაძე

აკადემია-ლელო

● საქართველოს ჩემპიონატი

ირაკლი აბუსერიძე არმაზში ითამაშებს

საქართველოს ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა **ირაკლი აბუსერიძემ** საფრანგეთის ფედერალ 2 დივიზიონში მასპარეზე „ოსერი“ დატოვა და თბილისის „არმაზთან“ ერთნლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„არმაზმა“ უკანა ხაზში ვარსკვლავურ შემადგენლობას მოუყარა თავი. „აბუს“ გარდა გუნდში ირიცხებიან ყოფილი „ბორჯღალოსანი“ **გიორგი კიკნაძე** და საქართველოს ნაკრების ამჟამინდელი კაპიტანი **ირაკლი მაჩხანელი.**

შეგახსენებთ, რომ აბუსერიძეს საქარეთის კარიერა რამდენიმე თვის წინ დასრულება. მის ანგარიშზე 85 კეპი და 7 ლეკლა.

გიორგი ბარბაძაძე

● ლეგიონერები

ტიმიშოარა ისევ დაუმარცხებელია

რუმინეთის ჩემპიონატის პლეი ოფში გასამართო ორი მატჩიდ ადგა. ქართველი მორაგბეებიის, **გიორგი ხოსტაშვილის, ბიძინა სამხარაძისა** და **ოთარ ტურაშვილის** „ტიმიშოარა“, რომელიც ქვეყნის მოქმედი ჩემპიონია, გათამაშებას ნაუგებლად ლიდერობს.

ჩვენებურთა გუნდმა მეოთხე ტურში სტუმრად ითამაშა კონსტანცაის „ფარულთან“ და დიდი ანგარიშით 45:6 დამარცხა. სამხარაძემ და ტურაშვილმა ძირითად შემადგენლობაში ითამაშეს, ხოსიტაშელი გასაცხადნი არ იყო.

„ტიმიშოარას“ ახლა 19 ქულა აქვს და უახლოეს მდეგრებს „სტიაუასა“ და „ბაია მარეს“ ცხრა ქულით უსწრებს. მომდევნო ტურში გამარჯვეების შემთხვევაში ტიმიშოარელები ტიტულს გათამაშების დასრულებამდე ერთი ტურით ადრე შეინარჩუნებენენ.

ამასობაში, სეზონისთვის მზადებას განაგრძობს საქართველოს ნაკრების მესამეხაზელის **დიმიტრი ბასილაიას** შოტლანდიური „ედინბურგი“, რომელიც „კელტთა ლიგაში“ ასპარეზობს. ედინბურგელებმა სანერნენელი შეხვედრა გამართეს ინგლისურ „ნორსმემპტონთან“ და 6:24 ნაგაეს. ბასილაია თამაშში მეორე ტაიმში ჩაერთო.

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის მეორე ტურში დაშავებული საქართველოს ნაკრების შერკინების კეკეჩი **ჯაბა ბრეგვაძე** ექიმების დასკვნით თამაშს მინიმუმ 45 დღე ვერ შეძლებს, ბურჯ **ვასილ კაკოვინს** კი, სამკურნალოდ რვა კვირა დასჭირდება.

პლეი ოფი	
ფარული-ტიმიშოარა	6:45
სტიაუა-ბაია მარე	16:11

საპრიზოო მდგომარეობა

1. ტიმიშოარა - 19 ქულა, 2. სტიაუა - 10, 3. ბაია მარე - 10, 4. ფარული - 0.

ბესიკ ჯანგავაძე

● მსოფლიოს თასი

კანადამ ინგლისის საგზური ირგუნა

საქართველოს ნაკრების მეტოქეებმა, ნოემბრის ტესტებზე კანადისა და აშშ-ის ეროვნულმა გუნდებმა, მსოფლიოს თასის გათამაშების საგზურისთვის ბრძოლაში ორი შეხვედრა გამართეს.

„ნეკერჩხლის ფოთლებმა“ პირველ მატჩში სტუმრად დამაჯერებლად გამარჯვების შემდეგ 27:9, შინ „არნიების“ მხლოდ ორი ქულის სხვაობით მოუგეს - 13:11. კანადელების მსოფლიოს თასზე D ჯგუფში საფრანგეთის, ირლანდიისა და იტალიის ნაკრებებთან მოხვდნენ. კიდევ ერთი მეტოქის ვინაობა კი, ეეროის ერთა თასის მომავალი ნლის გათამაშების დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი. გამორიცხული არ არის, ამ ჯგუფში საქართველოს ნაკრები მოხვდეს. ეს იმ შემთხვევაში, თუ „ბორჯღალოსნების“ ორი ნლის ფამში მეორე ადგილს დაიკავებენ.

ბანამ კი, როგორც უკვე ვთქვით კანადა და აშშ თბილისში გვეწვევიან. ორივე გუნდი საკმაოდ სერიოზულ ძალას სწარმოადგენს და მათ აუცილებლად ოპტიმალური შემადგენლობით უნდა დაეხედეთ. თუმცა, ეს ნაკლებად სავარაუდოა, რადგან ახლახან მმიმედ დაშავდნენ პირველსაზეიანი **ვასილ კაკოვინი** და **ჯაბა ბრეგვაძე.** საზარდელი ანუფლებ და ჯერაც გაურკვეველია, საოპერაციო იქნება თუ არა მგეზავი **ლაშა ხმალაძე.** ტრავმირებულია „ბორჯღალოსანთა“ ერთ-ერთი ლიდერი **მამუკა გორგოძეც,** თუმცა, მან შესაძლოა ნოემბერში თამაში შეძლოს.

კანადაისა და აშშ-ის ნაკრებები ჩვენთვის კარგად ნაცნობი გუნდებია. „ბორჯღალოსნებს“ მათთან ბარშანს, ივნისის ტესტებზე განცდილი მარცხის გამო, რეგანში აქვთ ანაგები. კანადის ნაკრები ბოლო ნლებია საგრძნობლად პროგრეს სარებს. გუნდი კარგად დაბალანსებულია. მორკინალები განსაკუთრებული სიმძიმით არ გამოირჩევიან, თუმცა საკმაოდ ლონიერნი და მობილურები არიან. შესანიშნავად ირჯება „ნეკერჩხლის ფოთლების“ უკანა ხაზიც, რომელიც დიდი სისხლრაფით გამოირჩევა.

აშშ-ის ნაკრებმა, რომლის თამაშის სტილიც კანადელებისგან დიდად არ განსხვავდება, მეტოქესთან ორი მატჩის ფამში შერკინებაში შედარებით სუსტი თამაშის გამო ნაგაო. „არნიები“ (ცდილობენ, 15 კაცით შეიდგაცეა რაგბი ითამაშონ, რაც ყოველთვის არ ამარჯლებს.

ბესიკ ჯანგავაძე

● ველოსპორტი. ფუტბალი

ნიკოლას რიჩი

თავიდანვე ალმართს აუყვნენ

ესპანეთში ორი დღეა, რაც დაინყო რანგიან მესამე ველომარათონი - „ფუელტა". პირველი ეტაპი გუნდური რბოლა იყო და მასში გამარჯვება „ასტანამ" მოიპოვა, მეორე დღეს კი ორგანიზაციორებმა პირველი გამოცდა მოუწყვეს „ფუელტას" მონაწილეებს - დაგეგმილი იყო ფინიში პირველი კატეგორიის სირთულის მთაზე. ეს გამოცდა რამდენიმე ფავორიტმა ვერ ჩააბარა.

თავდაპირველად მაყურებელმა ტრადიციული ბაქცევა ახილა, თუმცა სამ დანინაურებულს საბოლოო წარმმატების შანსი არ ჰქონდა, რადგან არც ერთი მათგანი არ გახლავთ სამმოო სპეციალისტი. პელოტონმა ამ ტროოს წინ გასვლის საშუალება მისცა და ერთი მომენტი, დანინაურებულთა უპირატესობა 14 წუთისაკ კი აღწევდა. საბოლოოდ, ძირითადი ჯგუფეფი ლიდერთა ტროოს **რასმუსენის** მეთაურობით ბოლო მთის დასაწყისში დაენია და მთავარი მოოლეგნბიც ეტაპზე სწორედ აქედან დაინყო.

ბაიქმოერდნენ ესპანური „მოოისტარის" წვერები. ამ გუნდის ლიდერის **ალეხანდრო ვალვერდეს** დგმმარეგებმა - **ხოსე ერადამ** და **სალვესტრ შმიდმა** ისეთი ტემპი აკრიფეს, რომ პელოტონი ნანილებად დაიშალა. საბოლოოდ, ჩამოყალიბდა ჯგუფეი, რომელიც დაახლოებით 30 მრბოლელისგან შედგებოდა.

„მოოისტარი" ვალვერდესეთის შეტეკვის ნიადაგს ამზადებდა, თან კონკურენტების ჩამოცილებით იყო დაკავებული. პირველმა ამ ტემპს ვერ გაუძლო ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ესპანელმა **სამუელ სანჩესმა,** რომელიც ფინიშამდე შეიდი კილომეტრით აადრე ჩამორჩა. მოგვიანებით, ოგივე დაემართა სანჩესის თანაგუნდელ **იაორ ანტონს**. მაგრამ ყველაზე დიდი მოულოდნელობა აღმორნდა კოლუმბიელი **სერხიო ენაოს** კრახი. მრიხხნე „ თიმ სკიმ" ამ „ფუელტაზე" სწორედ მასზე გააკეთა აქცენტი, მაგრამ სამრეკოამერიკელმა ბოლო ოთხ კილომეტრზე ორ წუთზე მეტი ნააგო გამარჯვეებულებთან, რაც სერიოზული დარტყმაა ენაოს ამბიციებზე.

ფინიშამდე სამი კილომეტრით ადრე, შეტეკვაზე გადაეიდა ჩეხი **ლეოპოლდ კიონიგი**, მას ესპანელი **დანი მორენო** გამოეკიდა, ამ უკანასკნელს კი აპყვნენ ირლანდელი **ნიკოლას რიჩი** და იტალიელი **დომენიკო პოცოვივო.**

ბოლო კილომეტრზე პირველმა პოცოვივომ შეუტია, მას რიჩი მიჰყვა, მორენო კი რეაგირება დააგვიანა და მართალია, იტალიელს დაენია, მაგრამ ირლანდიელს ვერაფერი მოუხერხა. ეტაპის გამარჯვეებული რიჩი გახდა. ძირითად ჯგუფში სპრინტი ვალვერდემ მოიგო, ოქვე იყო „ვუელტას" მთავარი ფავორიტი, „ასტანას" წვერი **ვიჩენცო ნიბალი,** რომელმაც თანაგუნდელ **ბრაიკოვიჩისგან** გადაიბარა ლიდერის ნითელი მაისური.

II ეტაპი

1. **ნიკოლას რიჩი** (ირლ, Saxo-Tinkoff) - 4.37,09; 2. **დანიელ მორენო** (ესპ, „კატუშა") - +0,02; 3. **დომენიკო პოცოვივო** (იტა, AG2R) - +0,06; 4. **ლეონარდო კიონიგი** (ჩეხ, NetApp-Endura) - +0,11; 5. **ალეხანდრო ვალვერდე** (ესპ, Movistar) - +0,12; 6. **დიეგო ულისი** (იტა, Lampre-Merida) - ოგივე დრო...

საერთო რანგი

1. **ვიჩენცო ნიბალი** (იტა, „ასტანა") - 5.07,22; 2. **ნიკოლას რიჩი** (ირლ, Saxo-Tinkoff) - +0,08; 3. **ალბარ სუბელდია** (ესპ, RadioShack) - +0,10; 4. **კრისტოფერ პორნერი** (აშშ, RadioShack) - ოგივე დრო; 5. **რობერტ კისერლოვსკი** (ზორ, RadioShack) - ოგივე დრო; 6. **რიგობერტო ურანი** (კოლ, Sky) - +0,22...

● ველოსპორტი. ფუტბალი

... ალმართს აუყვნენ

ჩეხეთის გრანპრის სტარტი

მარკესმა ზედიზედ მეოთხე ეტაპი მოიგო, ხოლო მთლიანად სეზონში მეხუთე გამარჯვებას მიაღნია. ამით მარკმა ახალი ისტორია შექმნა მოტოგრანპრიში, რადგან აქამდე არც ერთ დებიტანტს არ მოუგია სეზონში ხუთი რბოლა. თან, ახალგაზრდა ესპანელი შეაშფერ სტაბილურობას აჩვენებს - აქამდე ჩატარებული 11 ეტაპიდან ის ათჯერ ავიდა პოდიუმზე.

შემდეგი ეტაპი პირველ სექტემბერს „სილვერსტოუნში" გაიმართება და მარკესის ლიდერობას საერთო ჩათვლაში არაფერი ემუქრება - მან ქუდებიც რომ ვერ მოიპოვოს ბრიტანეთის გრანპრიზე, პედროსასა და ლორენსოს მაინც აო აქვთ ნინ გასვლის შანსი.

ჩეხეთის გრანპრი

1. **მარკ მარკესი** (ესპ, Honda) - 22 წრე; 2. **დანი პედროსა** (ესპ, Honda) - +0,313; 3. **ხორხე ლორენსო** (ესპ, Yamaha) - +2,277; 4. **ვალენტინო როსი** (იტა, Yamaha) - +10,101; 5. **ალვარო ბაუტისტა** (ესპ, Honda) - +10,173; 6. **მტეფან ბრადლი** (ვერ, Honda) - +19,807; 7. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, Ducati) - +35.015; 8. **ნიკი პეიდენი** (აშშ, Ducati) - +35.354...

საერთო რანგა

1. **მარკ მარკესი** (ესპ, Honda) - 213 ქულა; 2. **დანი პედროსა** (ესპ, Honda) - 187; 3. **ხორხე ლორენსო** (ესპ, Yamaha) - 169; 4. **ვალენტინო როსი** (იტა, Yamaha) - 143; 5. **კეინ კრაშერლოუ** (ბრტ, Yamaha) - 127; 6. **მტეფან ბრადლი** (ვერ, Honda) - 103; 7. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, Ducati) -96; 8. **ალვარო ბაუტისტა** (ესპ, Honda) - 92...

● მოტოგრანპრი. მსოფლიოს ჩემპიონატი

დებიუტანტის ზედიზედ მეოთხე

ჩეხეთის გრანპრით გაგრძელდა მოტოგრანპრიში მსოფლიოს ჩემპიონატი და ამასთან, გაგრძელდა მოტოსპორტში ყველაზე პრესტიჟიელ კლასში დებიუტანტ **მარკ მარკესის** დომინირება.

კარიერაში მეორე პოოლის მფლობელი გახდა ბრიტანელი **კეინ კრატწლოუ,** მეორე და მესამე დრო კი **ალვარო ბაუტისტამ** და მარკესმა აჩვენეს. შემდეგ მოდიოდნენ ჩემპიონატის მთავარი ფავორიტები - **დანი პედროსა** და **ხორხე ლორენსო.**

სტარტზე ყველას აჯობა ლორენსომ, რომელმაც მეხუთე პოზიციიდან ბრაველზე გადაინაცვლა, მის უკან კი მარკესისა და პედროსას „ჰონდები" მოძრაობდნენ. პირველ წრეებზე ისე ჩანდა, რომ ლორენსო ოოლად მოიპოვებდა კომფორტულ ბანდიკასს და გამარჯვებამდე მიიყვანდა სამეს, მაგრამ ასე არ მოხდა.

ხორხეს უპირატესობა „ჰონდას" პილოტებზე ნახევარ ნამს არ გაშორებია და რაც უფრო ახლოვდებოდა ფინიში, მით უფრო აქტიური ხდებოდა შეტევები მარკესის მხრიდან. რამდენიმე წარუმატებელი იერიშის შემდეგ, დებიუტანტმა მაინც გაუსწორო მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს და თავად გახდა ლიდერი. ფინიშამდე ორი რნონ აადრე კი მეორე ადგილზე პედროსა გადავიდა, რითაც „ჰონდას" სეზონში მეხუთე დუბლი მოუტანა. ისევე როგორც ერთი კვირის წინ ინდიანაპოლისში, ამჯერადაც მეოთხეზე გავიდა **ვალენტინო როსი.** ამ პოზიციის მოსაპოვებლად მას დიდი ბრძოლა დასჭიდა ალეკარო ბაუტისტასთან.

● ოლიმპიზმი. სოჭი 2014

სოჭი ჩაიკეტება

რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** გამოსცა ბრძანება 2014 წელს, სოჭში ზამთრის XXII ოლიმპიური თამაშების პერიოდში უსაფრთხოების გაძლიერებული ზომების მიღების შესახებ.

კერძოდ, კანონში მოყვანილია 20 პუნქტი. სოჭის ოლიმპიადის დროს შეიქმნება სპეციალური საკონტროლო ზონები. ფეზიკურ პირებსა და საგრანსპორტო საშუალებებს მხოლოდ პოლიციის თანამშრომელთა ჩხრეკის შემდეგ ექნებათ ამ ზონაში შესვლის უფლება.

გარდა ამისა, 2014 წლის 7 იანვრიდან 21 მარტამდე (იგულისხმება პერიოდი, როცა სოჭში პარალიმპიური თამაშებიც ჩატარდება), ქალაქ-კურორტს სოჭში აკრძალული იქნება ავტომობილებით შესვლა და მოძრაობა. გამონაკლისია: 1. სარკინიგზო ტრანსპორტი; 2. საგრანსპორტო საშუალებები, რომელიც რეგისტრირებულია სოჭის მუნიციპალიტეტში; 3. ექსტრემალური ოპერატიული სამსახურების საგრანსპორტო საშუალებები; 4. საგრანსპორტო საშუალებები, რომლებსაც ამ ბრძანებით გათვალისწინებული აკრედიტაცია ექნებათ.

ასევე შეზღუდული იქნება მოძრაობა სოჭის მიმართულებით საქართველოს მხრიდან.

ამავდროულად, ეს ბრძანება კრძალავს თავყრილობების, მიტინგების, დემონსტრაციებისა და მსვლელობების ჩატარებას და პიკეტირების მოწყობას, რომელიც არ ეხება ოლიმპიურ და პარალიმპიურ თამაშებს. აქაც, აკრძალვის პერიოდია 7 იანვრიდან 21 მარტამდე.

პუტინის ბრძანება ასევე კრძალავს ოლიმპიურ და პარალიმპიური თამაშების დღეებში სოჭის ტერიტორიაზე იარაღის, საბრძოლო მასალის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მომწამლავი პრეპარატების რეალიზაციას.

● ფორმულა 1

უებერმა რიკარდო დააღასტურა

„რედ ბულის"ავსტრალიელმა პილოტმა **მარკ უებერმა** განაცხადა, რომ ავსტრიელმა სპეციალისტმა უკვე გაარკვია 2014 წლის სეზონისთვის მისი შემცვლელის ვინაობა. უებერის ინფორმაციით, „რედ ბულმა" გადაწყვიტა, რომ გუნდის მეორე პილოტი იქნება „ტორო როსოს" ამჟამინდელი წევრი, ასევე ავსტრალიელი **დანიელ რიკარდო.**

„გადაწყვეტილება მიღებულია. ჩვენ ყველამ ვიცით, ვინ არის ის. და მიხარია ამჟვარი გადაწყვეტილება. ეს კარგია მისთვისაც და ავსტრალიისთვისაც", - მოაყავს უებერის სიტყვები Motorsport-ს.

შეგახსენებთ, რომ „რედ ბულში" გაჩენილ ვაკანიიზე ასევე აცხადებს პრეტენზიას ფინელი **კიმი რაიკონენი.** გუნდის შეფმა **კრისტიან ჰორნერმა** კი განაცხადა, რომ უებერის ადგილზე სხვა კანდიდატებიც განიხილებიან.

უებერი და რიკარდო

მეხიკოს ავტოდრომი

მექსიკა ბრუნდება?

ახალ სეზონში ფორმულა 1-ის კალენდარში, შესაძლოა, მექსიკის ეტაპი ვიხილოთ. ერთ-ერთმა გავლენიანმა მექსიკელმა ჩინოვნიკმა ჟურნალისტებს განაცხადა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მექსიკის გრანპრის შეიტანენ 2014 წლის ჩემპიონატის კალენდრის ნინასწარ ვარიანტში. სავარაუდოდ, ეს რბოლა აშშ-ის გრანპრის გვერდით დაიკავებს ადგილს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მექსიკური ეტაპი მეხიკოს ავტოდრომზე გაიმართება, სადაც ჩატარებულა ფორმულა 1-ის რბოლები 1963-70 და 1986-92 წლებში.

უფრო ადრე, მექსიკაში ეტაპის ჩატარების სურვილი გამოთქვა მსოფლიოს უმდიდრესმა ადამიანმა, მექსიკელმა ბიზნესმენმა **კარლოს სლიმმა,** რომლის დამპარეგნილია ფლეს ფორმულა 1-ი გამოდან მექსიკელები **სერხიო პერესი** და **ესტებან გუტიერესი.**

გვერდს მოამზადა
გია თავალგაციანელმა

● სასტელი

დისკვალიფიკაცია მავნებლობისთვის

საიმონ ჩო

ეშრტ-ტრესში ვანკუვერის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი **საიმონ ჩო** ორი ნლით არის დისკვალიფიცირებული. ოლონდ სასჯელი აკრძალული პრეპარატის მიღებას არ უკავშირდება. საქმე ისაა, რომ ამერიკელმა მსოფლიოს 2011 ნლის ჩემპიონატის დროს, სტარტის წინ შეგნებულად დაუზიანა ციგურები კანადელ კონკურენტს **ოლივიე ჟინს.** ორი ნლის წინ, პლანეტის პირველობა პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში გაიმართა.

ჩოს დისკვალიფიკაციას ვადა 2014 ნლის 4 ოქტომბერს ამოწურება, ასე რომ, ამერიკელი მონაწილეობას ვერ მიიღებს სოჭის ოლიმპიადაში.

სპორტსმენმა შეგზავნის ინვენტარის დაზიანება 2012 ნლის ოქტომბერში აღიარა. მაშინ ჩომ განაცხადა, რომ ასეთი საქციელი თავისი მნვრანელის - **ჟე-სუ ჩუნის** მოთხოვნით ჩაიდინა. მართალია, მნვრანელმა მომხდარისგან თავი შორს დაიჭირა, მაგრამ სპორტული ეთიკის დარღვევისთვის ორლნიანი დისკვალიფიკაცია მანაც მიიღო.

საიმონ ჩომ ვანკუვერში ბრინჯაოთ 4x5000 მეტრზე ესტაფეტაში მიიღო. ამავე დისციპლინაში მას ეკუთვნის ვერცხლი და ბრინჯაო. მსოფლიოს ჩემპიონატებზე. გარდა ამისა, ამერიკელი 2011 ნელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა 500 მეტრ დისტანციაზე.

● ჩოგბურთი. ტურნირები

ჰალეპის საზაფხულო პოკერი

ჩოგბურთელებმა ამერიკის ღია პირველების წინ ბოლო რეპეტიცია ორ ტურნირზე გაიარეს: ქალები ნიუ ჰეივენში არკვევნენ ურთიერთობას, მამაკაცები - უინსტონ-სალემში.

საზაფხულო სეზონის ერთ-ერთი გმირის სტატუსი დამამტკიცა რუმინელმა **სიმონა ჰალეპმა**. სინამდვილეში კი ყველაფერი ჯერ კიდევ მისაში დაიწყო, როცა ის რომის უმაღლესი კატეგორიის ტურნირის ნახევარფინალში გავიდა. როლან გაროსის შემდეგ კი მან კარიერაში თავისი პირველი და მეორე ტიტული მოიგო - ჯერ ნიურნბერგში გრუნტზე და შემდეგ ჰერტოგენბოშში ბალახზე. უიმბლდონზე მას ნილისყრის მხრივ არ გაუმართლა და უკვე მეორე წრეში მომავალ მეოთხედფინალისტს **ნა ლის** შეეხვა. მცირე დასვენების შემდეგ, სიმონამ ტიტული მოიგო ბუდაპეშტში, გამოგოცა ვანიგგონი და ტორონტო და გასულ კვირას, ნიუ ჰეივენი დაიპყრო. აღსანიშნავია, რომ ამ ტურნირზე მან ორი ყოფილი ჩემპიონი - **კაროლინ ვოზნიაცკი** და **პეტრა კვიტოვა** დაამარცხა.



სიმონა ჰალეპი

მართალია, კვიტოვამ ჩააგდო ნიუ ჰეივენის ფინალი, მაგრამ ამ სტადიაზე გასვლა ჩეხისთვის ცუდი შედეგი არ იყო, რადგან აპრილში, კატოვიცეს ტურნირის ფინალიდან თამამემბუელი, პეტრამ ზედიზედ ორი მატჩი მხოლოდ ერთხელ - უიმბლდონზე მოიგო.

ნიუ ჰეივენი კვიტოვა თავიდან სამ სეტში უსნორდებოდა თავის მეტოქეებს (**ანიკა ბეკი, ელისონ რისკე** და **ანასტასია პაველიჩენკოვა**), ნახევარფინალში კი გაანადგურა თანამემამეული **კლარა ზაკოპალოვა** - 6:0, 6:1. თუმცა, როგორც გითხარით, ფინალი მან აქკარად ჩააგდო და მხოლოდ ოთხი ეკიმი აუოო ჰალეპს (2:6, 2:6), რითაც ვერ დაიცვა შარშან მოპოვებული ტიტული.

ჰალეპს კი ზაფხულში მარილაც ბრწყინვალე სეზონი გამოუვიდა - ოთხი ტიტული, თანაც სამ სხვადასხვა საფარზე.

იურგენ მელცერი

მელცერმა ნავსი გაბეხა

ნაალებად წარმოსადგენი იყო, რომ მამაკაცთა ტურნირს უინსტონ-სალემში ავსტრიელი **იურგენ მელცერი** მოიგებდა, რადგან აქამდე ამ ჩოგბურთელს ზედიზედ ოთხი ტურნირის პირველი წრე ჰქონდა ნაგებული (ერთხელ ის ნაკლებად ცნობილ **დომინიკ ტიმთანაც** კი დამარცხდა).

ავსტრიელმა ეს სერია უინსტონ სალემის ტურნირის პირველ წრეში შეწყვიტა და მას ამაში მეტოქე - **ტიმემ და ბაკერი** დაეხმარა, რომელმაც ტრავმის გამო 2:4-ზე შეწყვიტა ბრძოლა მესამე სეტში. ამის შემდეგ, იურგენი დამაფერებლად გაუსწორდა **ბენუა პერს, დმიტრი ტურსუნოვს,** ხოლო ნახევარფინალში სამ სეტში მოუგო **სემ უუერს**. რაც შეეხება ფინალს, აქ მას ისევ გაუმართლა, რადგან მოწინააღმდეგემ ტრავმა მიიღო. ამჯერად, მატჩის ბოლომდე მოყვანა ვერ შეძლო **გაელ მონფილსმა** - მეორე სეტის დასაწყისში მიატოვა შეხვედრა. ეს ტიტული მეხუთეა მელცერისთვის კარიერაში და პირველი - ღია პარდზე.

რაც შეეხება მონფილს, რომ არა ტრავმა, ეს ტურნირი მისთვის სარგებლობის მომტანი იქნებოდა. ფრანგმა დაამარცხა **ტომი რობრედო, ფერნანდო ვერდასკო** და **ალექსანდრ დოლგოპოლოვი** და ნელს მეორე ტურნირის ფინალში გავიდა. მაგრამ ფრანგმა უკვე ფინალის წინ განაცხადა, რომ მარცხენა ბარძაყის არეში ტკივილს გრძნობდა და ის გადამწყვეტი მატჩის დროს გაძლიერდა.

● კალათბურთი

ჯეიმისონი კლიპერსში ნავიდა

სტივენ კარს გოლდენ სტეიტში ძმა მიუყვანეს

გასული სეზონისგან განსხვავებით, "კლიპერსს" უკვე აღარ გააჩნია ღრმა და ხარისხიანი რეზერვი, ამიტომაც ამ გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ის შენაძენი, რომელსაც ამ დღეებში გააკეთებს. კერძოდ, თითქმის გადაწყვეტილია, რომ კალიფორნიული კლუბი კონტრაქტს გააფორმებს გამოცდილ ცენტრართან **ანტუან ჯეიმისონთან**, რომელიც ბარშანდელ "ლეიკერსში" **კობი ბრაიანტის** შემდეგ, ალბათ, ერთადერთი ნათელი ნერგი იყო. მაშინ ის საშუალოდ მატჩში 9.4 ქულასა და 4.8 მოხსნასს აგროვებდა, რაც ცუდი სტატისტიკა არ არის იმის გათვალისწინებით, რომ **დუიატ ჰოვარდის** დუბლიორი იყო და ამიტომაც, ბევრი სათამაშო დრო არ ჰქონდა.

მოკლედ, "კლიპერსმა" საკმაოდ სარფიანი გარიგება გაჩარხა – თითქმის უფასოდ მიიღო გამოცდილი შემსრულებელი, რომელსაც გუნდის თამაშის გამრავალფეროვნება შეუძლია. მოგებული დარჩება ჯეიმისონიც: ის 20-ათასქულიანი ზღვარის გადალახვის საშუალებას მიიღებს და კარიერაში პირველი საჩემპიონო ბეჭდის მოგების შანსიც ექნება.

■ ■ ■

"გოლდენ სტეიტის" ლიდერი **სტივენ კარი** მომავალ სეზონში სერიოზულ მორალურ მხარდაჭერას მიიღებს, რადგან "მეომრების" რიგებში ჩაირიცხება მისი უმცროსი ძმა – **სეტ კარი**. ძმა უკვე გაიფორმა არაგარანტირებული კონტრაქტი "ზორიორზთან".

დიუკის უნივერსიტეტის ყოფილი მცველი, NCAA-ში თავის ბოლო სეზონში საშუალოდ 17.5 ქულას იხვეჭდა. თავის ახალ გუნდს, სეტი სექტემბერში შეუერთდება.

ანტუან ჯეიმისონი

● ამბები

კალათბურთი

რონდო დეკემბერში დაბრუნდება

"ფოლფორნ სულტანსის" ფორვარდმა **ჯარედ სალინჯერმა** ფურნალისტებს განუცხადა, რომ კლუბის ლიდერი **რაფერ რონდო** დეკემბერში დაბრუნდება მოედანზე.

შეგახსენებთ, რომ ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო გამთამაშებელმა გასული სეზონის დიდი ნაწილი მუხლის ტრავმის გამო გამოტოვა, რადგან დაზიანების მკურნალობას ოპერაცია დასჭირდა.

"რაკონი დაუბრუნდა ვარჯიშებს და ისედი გვაქვს, დეკემბერში ის ჩვენს გვერდით იქნება", - განაცხადა სალინჯერმა.

გასული სეზონში რონდომ 38 მატჩის ჩაბარება მოასწარო რეგულარულ ჩემპიონატში და საშუალოდ 13.7 ქულით, 5.6 მოხსნითა და 11.1 შედეგიანი გადაცემით დაეხმარა თავის გუნდს.

ოდომი დაიკარგა

სპრინოზულ პრობლემების წინაშე აღმოჩნდა NBA-ის ვეტერანი ფორვარდი, 33 ნლის **ლამარ ოდომი**. გუშინდელ ნოემბერში ენერდით იმის შესახებ, რომ ამჟამად თავისუფალი აგენტის სტატუსში მყოფი ოდომი კვლავ სეზონზეაა არის გატაცებული კოკაინით.

როგორც ამერიკელი ჟურნალისტები ნერდნენ, მოთამაშე აღარ აპირებს მკურნალობის მორიგი კურსის გაგლას, ანლა კი სიტუაცია მთლად კრიტიკული გახდა.

TMZ-ის მონაცემებით, ოდომი უკვე 72 საათია, არ დაკავშირებია ოჯახის ნევრებს, მათ შორის, მეუღლე **ულიო კარდაშიანს**. მომხდარის მთავარი ვერსია ასეთია – ოდომი იმალება და სრულ მარტოობაში მიეძალა კოკაინს.

გვერდი მოამზადა
გია თავლასგაციფილმა

● ცხელი ხაზი

ფუტბალი

ინგლისი

მანჩესტერ იუნაიტედი	0:0

კონფერენსი

ალდერშოტი-ფოიბოროი	2:1
ალფორდტონი-ბერეფორდი	2:1
ბრეინტრი-ბარნეტი	0:3
ჩესტერი-ფორსტერ ბრინი	1:2
ეგეიფიდი-ბასლეფფილდი	2:2
ჯალფფასქილ-საუთპორტი	1:0
ლინკოლნი-რიდსპეიი	2:0
ლუტონი-კეგბორეიი	0:0
ნანეატონი-კიდერმინსტერი	2:1
ტამუორთი-დარტფორდი	0:2
უელინგი-სალისბერი	0:0
ჯაიდი-ბრეიზნი	0:1

იტალია

ფიორენტინა-კატანია	2:1

სერია B

ჩეზენა-ვარეზე	1:0

ესპანეთი

ბრანდაზ-რეალი	0:1

გერმანია

II ბუნდესლიგა

სტ. პაული-დინაბო (დრ)	2:1

პოლანდია

აიაქსი II-ზვინი	1:1
ტვენტე II-დენ ბოში	0:0

პორტუგალია

ბრაგა-ბელენენსეში	2:1

II დივიზიონი

ბენფიკა B-პორტიმონენსე	3:0
პორტუ B-პენაფიელი	0:0

დანია

ოლბორგი-ვინდბიუელდი	1:1

ნორვეგია

II დივიზიონი

სანდეფიორდი-ბრინი	2:0

შვედეთი

ბრომაპიოკარნა-ვიალ�	2:0
ჰაკენი-ნორჩეპინგი	1:0
აბვიდაბერგი-კალმარი	0:0
სირიანსკა-ეუროპარდენი	1:3

II დივიზიონი

ეორგენბერ-ლანდსკრონა	0:0
ჰამარბიუ-ფალკენბერგი	0:3

ფინეთი

ინტერი-ინარო	1:0

II დივიზიონი

კოტკეთ-ჯაკა	1:1

შვეიცარია

ჩემპიონატი

ვილი-ბილი	1:2

საბერძნეთი

ერგოტელეზი-ლევადიე	2:0

თურქეთი

ტრაბზონი-რიზე	2:1
ერზრუმი-ბურსაძესპორ	2:4

II დივიზიონი

მანიფა-ზანლიუოფა	0:0

ირლანდია თასი

1/8 ფინალი

კოკ რამბლერსი-ფინ ჰარპსი	0:4
ეგერისტეიტი-ალუნ ლიდო	3:0
ბალა-ეირპასი	1:2
ნიუფაუნი-კარმარტენი	0:4
პორტ ტალბოტი-ძონეესი	0:0
პრესტატინი-ტნს	1:0
ბანგორი-ლილი	2:3

ირლანდია

ფარამი-კეფფსეინი	2:3
სტიარნანი-ბარანსი	1:0

ჩეხეთი

ბანიკი-ბრნო	2:1

რუსეთი

ამკარი-სპარტაკი	2:1
ლოკომოტივი-ტოსნოვი	5:0

პოლონეთი

კორონა-პიასტი	2:0

რუმინეთი

კლუჟი-კორონა	1:0

ბულგარეთი

ლიტექსი-ლიუბიმეცი	2:1

ლატვია

ილუსტატსი-მეტალურგსი	1:3

ლიტვა

ტაურასი-დაინავა	0:4

ესტონეთი

სილამაე-კალიუ	1:1

ჩოგბურთი

ATP. აშშ-ის ღია

რუფინი-მატრუფი	7:6, 6:3, 2:6, 2:6, 6:1
ტურსუნოვი-ბეჟეენე	7:5, 4:6, 6:3, 6:0
ფ. ლოპეესი-სერა	6:7, 6:2, 6:3, 6:3
ტომიჩი-რამოსი	6:3, 3:6, 4:6, 7:6, 6:3
ნიშიკორი-ვევანსი	4:6, 4:6, 2:6
გასკე-რასელი	6:3, 6:4, 6:2
რობერი-ოლივეტი	6:3, 6:3, 6:4
კლანი-დე სხეეპრი	6:7, 6:2, 7:6, 7:6
გულსინი-მ. მაურერი	6:3, 3:6, 6:1, 6:7, 4:6
კუკუშკინი-მარტინი	6:4, 7:6, 7:5
დვოიდნკო-ულიიანმი	6:3, 4:6, 1:6, 7:5, 6:0
ტიპსარევიჩი-ეუეევსი	6:3, 6:7, 6:3, 6:0
ნადალი-პარისონი	6:4, 6:2, 6:2

WTA. ნიუ ჰეივენ

მეირი-რიპარიკოვა	7:6, 6:3
დვეისი-სუარეს ნავარო	0:6, 0:6
კანვეპი-კინგი	4:6, 7:6, 6:1
ა. რადვანსკა-სოლერი	6:1, 6:2
ტორო ფლორი-ერაკოვიჩი	6:0, 6:4
რობსონი-დომინეკეს ლინო	7:5, 6:0
ჩეტკოვსკა-**არეიდსონი**	6:1, 4:6, 1:6
გოვორეცოვა-**ნა ლი**	2:6, 2:6
ვანდეეგეგ-კრუნეიჩი	6:4, 7:6
დუშევინა-**ლისიცკი**	2:6, 6:7
შვედოვა-პუჩკოვა	6:1, 6:0
ჰემპტონი-არუაბარენა	6:4, 6:2
ფოგელი-**შმიდლოვა**	1:6, 7:5, 6:7
ფიშმანი-**კირსტეა**	5:7, 7:5, 1:6
გარსია-როუკერსი	6:3, 6:2
ფლიპკენსი-**ვ. უილიამსი**	1:6, 2:6
ბეგუ-**უ. რადვანსკა**	1:6, 3:6
მინელა-**სტიეენსი**	6:4, 3:6, 6:7
ბერტენსი-**ფენგი**	1:6, 3:6
კაბესა-**ბარტი**	1:6, 4:6
რაზნო-პავლიუჩენკოვა	5:7, 0:6
ორმაეჩეა-დატტ	6:3, 7:6
ნარა-კადანტუ	6:2, 6:2

● TV პროგრამა

27 აპრილი, სამშაბათი

I არხი

22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. პაოკ-შალკე. სპასსუხო მატჩი (LIVE).

GMG-ფუსბურთი

10:00 ავრშნინის ჩემპიონატი. III ტურის მიმოხილვა.
11:00 ბოლანდიის ჩემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.
12:00 ეკრშნინის ჩემპიონატი. III ტური. ლევერკუზენი-ბორუსია (მ).
14:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. II ტური. ბრაგა-ბენეფენსეში.
16:00 ბოლანდიის ჩემპიონატი. IV ტური. პერაკლეს-ფენდბოვენი.
18:00 ბრაზილია - იმეფის ფესინი.
19:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. II ტური ის მიმოხილვა.
20:00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
20:30 ეკრშნინის ჩემპიონატი. IV ტური. ფრაიბურგი-ბაიერნი (LIVE).
22:45 ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. სპასსუხო მატჩები. ON-LINE. ყველა მაგრის საუკეთესო მომენტები (LIVE).
00:45 ეკრშნინის ლიგა. პლეი ოფი. არსენალი-ფენერბაზჩე. სპასსუხო მატჩი.

GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ლანუსი-ველეზს სარსფიელდი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მემფისი-ბროკლინი.
14:30 კალათბურთი. ეეროლიგა. ოთხთა ფინალი. 1/2 ფინალი. ცსკა-ალექმბიკოსი.
16:30 ძიდელი. მსოფლიო ჩემპიონატი. რიო-დე-ეანეირო. ბრაზილია. მიმოხილვა.
17:00 ძიდელი. მსოფლიო ჩემპიონატი. რიო-დე-ეანეირო. ბრაზილია (LIVE).

GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი-2013. ლონდონი. ბრიტანეთი.
12:15 სპორტ NEWS
12:30 ჩოგბურთი. უიმბლდონი-2013. ლონდონი. ბრიტანეთი.
14:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი-2013. ლონდონი. ბრიტანეთი.
15:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი-2013. ლონდონი. ბრიტანეთი.
16:40 სპორტ NEWS
16:55 ჩოგბურთი. უიმბლდონი-2013. ლონდონი. ბრიტანეთი.
22:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
22:45 ფეხბურთი. ეეროლიგა. ლიგი ოფი. არსენალი-ფენერბაზჩე. I მატჩი (LIVE).
00:40 საჩოგბურთო მიმოხილვა.

ნადალი ნიუ იორკში ვარჯიშის დროს

ნადალი პირველი გახდება, თუ...

წლევანდელ სეზონში **რაფაელ ნადალის** არნახულმა პროგრესმა, ესპანელს რეიტინგში პირველი ადგილის დაკავების რეალური შანსი მისცა.

ATP-ის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა ვარიანტები, რომლის მიხედვითაც მსოფლიოს ამჟამინდელ მეორე ჩოგანს, ამერიკის ღია პირველობის შემდეგ შეუძლია კლასიფიკაციაში პირველი ადგილის დაკავება.

1. ნადალს რეიტინგში პირველ ადგილს ფინალში გასვლა მოუტანს, თუ კლასიფიკაციის ამჟამინდელი ლიდერი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** მეოთხეფინალამდე ვერ მიაღწევს.

2. თუ ნადალი მოიგებს ამერიკის ღია პირველობას, მაშინ მას რეიტინგში პირველობისთვის ჯოკოვიჩის ნახეგარფინალაში წაგებაც ეყოფა.

ასე რომ, თუ ესპანელს პირველობა სურს, მან მინიმუმ ფინალამდე უნდა მიაღწიოს, დანარჩენი კი ჯოკოვიჩის გამოსვლაზეა დამოკიდებული.

ბომჩის ყველა გზა გადაუკეტეს

ჯონ ტომიჩი

ამერიკის ღია პირველობის ორგანიზატორებმა აკრედიტაციაზე უარი უთხრეს ავსტრალიელი ჩოგბურთელის **ბერნარდ ტომიჩის** მამას - **ჯონ ტომიჩს**.

შეგახსენებთ, რომ უფროსს ტომიჩს აკრძალული აქვს „დიდი სლემის" ტურნირებზე დასწრება მას შემდეგ, რაც მადრიდის ტურნირის მსაჯლობისას სცემა თავისი ვაჟის სპარინგ-პარტნიორი, მონაკოელი **ტომ დრუე**.

ასევე აღვნიშნავთ, რომ **ჯონ ტომიჩს** გაუუქმეს ყველა აკრედიტაცია ATP-ის ეგიდით გამართულ ტურნირებზე.

ფოტო-NEWS

გასართობი საცობში

24 წლის არგენტინელმა ჩოგბურთელმა **ხუან მარტინ დელ პოტრომ** თავის გულშემატკივრებს მოუყვა იმის შესახებ, თუ როგორ არიგებდა ავტოგრაფებს საავტომობილო საცობის დროს.

„ჯერეს უზარმაზარ საცობში მოვხვდი. და, როგორც ხედავთ, დროის გატარების შესანიშნავი ხერხი აღმოვაჩინე", - დანერა თავის „ტვიტერზე" ჩოგბურთელმა და თან შესაბამისი ფოტოც განათავსა.

შეგახსენებთ, რომ ამერიკის ღია პირველობის პირველ წრეში არგენტინელის მეტოქე იქნება ესპანელი **გილერმო გარსია ლოპესი**.

სტაჩისტიკა დიდი ბრძოლების წინ


როჯერს აშშ-ის ღიას მეექვსედ მოგება შეუძლია

ამერიკის ღია პირველობის წინ გთავაზობთ ამ ტურნირთან დაკავშირებულ რამდენიმე საინტერესო სტატისტიკურ მონაცემს...

- ამერიკის ღია პირველობა ერთადერთი ტურნირია „ღია ერაში", რომელიც სამ სხვადასხვა საფარზე იმართებოდა. 1968-74 ნლებში ბალახზე თამაშობდნენ, 1975-78 ნლებში - გრუნტზე, 1979 ნლიდან კი იქ ჰარდის საფარია დაგებული.

- სერენა უილიამსს ოთხჯერ აქვს მოგებული ამერიკის ღია პირველობა, თუმცა მას არასოდეს გაუმარჯვია ნიუ იორკში ზედიზედ ორჯერ. შეგახსენებთ, რომ ამერიკელი ტურნირის მოქმედი ჩემპიონია.

- უმცროსმა უილიამსმა „დიდ სლემზე" თავისი პირველი ტიტული 14 ნლის ნინ, სწორედ „ფლეშინგ-მედოუს" კორტებზე მოიპოვა.

- WTA-ის პირველ ჩოგანს აშშ-ის ღია პირველობაზე 2007 ნლის შემდეგ არ მოუგია. მაშინ პირველობა მოიპოვა ბელგიელმა **ჟუსტინ ანენმა**.

- ნლევანდელ უიმბლდონზე **ენდი მარეის** ტრუმფამდე, **ენდი როდიკი** ბოლო ჩოგბურთელად რჩებოდა, ვისაც საშინაო „შეიჯორი" ჰქონდა მოგებული (ეს 2003 ნელს მოხდა).

- ნელს, ნიუ იორკში გამარჯვებით, **ნოვაკ ჯოკოვიჩი** „დიდ სლემის" სერიაში ტიტულების რაოდენობით დაეწია ვშვდ **მაგს ვილანდერსა** და ამერიკელ **ჯონ მაკენროს**, რომელთა აქტივში 7-7 ტრიუმფია.

- „ღია ერაში" ამერიკის ჩემპიონატზე 45 შემთხვევიდან მხოლოდ 14-ჯერ მოიგო ტურნირი პირველ ნომრად განთესილმა ჩოგბურთელმა. ჯოკოვიჩს პირველი ჩოგანის რანგში ორი ფინალი აქვს ნაგებული ნიუ იორკში.

- ამ სეზონში ნოვაკ ჯოკოვიჩმა სამი ტიტული მოიგო, აქედან ორი ჰარდზე (ავსტრალიის ღია პირველობა და დუბაი). თუმცა 2013 ნელს, სერბის ბოლო გამარჯვება აპრილის თვით თარიღდება, როცა მან მონაკოს მასტერსზე იმარჯვა.

- რაფაელ ნადალს ამ სეზონში ჯერ არც ერთი ნაგება არ აქვს ჰარდზე (15-0). მთლიანად მიმდინარე სეზონში ესპანელის მოგება/ნაგების ბალანსია: 59-3 (94.7 პროცენტი), რაც საუკეთესო მაჩვენებელია ტურში. რაფაელმა ნელს ნაგო არგენტინელ **ორასიო საბელიოსთან** (ვინნა-დელ-მარი), ჯოკოვიჩთან (მონტე-კარლო) და ბელგიელ **სტივ დარცისთან** (უიმბლდონი).

- იმ ჩოგბურთელებს შორის, რომლებთანაც რაფაელ ნადალს არ აქვს უპირატესობა ურთიერთშეხვედრებში, ATP-ის რეიტინგში ყველაზე მაღალი პოზიცია ხორვატ **ივან დოდიგს** უკავია (37-ე ნომერი). მასთან ნადალს ერთი მოგება და ერთი ნაგება დაუგროვდა.

- ხოლო იმ ჩოგბურთელებს შორის, რომლებთანაც ნადალი ურთიერთშეხვედრებში აგებს, ყველაზე მაღალი რეიტინგი რუს **ნიკოლაი დავიდენკოს** აქვს (41-ე ნომერი). ამ ჩოგბურთელებმა 11 მატჩი ითამაშეს ერთმანეთში და რუსი წინ არის - 6:5. სხვათა შორის ნადალმა მესამე წრეში დოდიგთან ან დავიდენკოსთან შეხვედრის შანსი აქვს.

- როჯერ ფედერერს აქვს შანსი, გახდეს პირველი ჩოგბურთელი „ღია ერაში", რომელიც ექვსჯერ მოიგებს ამერიკის ღია პირველობას. ამჟამად ის პირველ ადგილს იყოფს ამერიკელებთან - **ჯიმი კონორსთან** და **პიტ სამპრასთან**.

- ამერიკის ღიაზე უფრო ხშირად ფედერერს მოუგია უიმბლდონი (7), ჰალე (6) და ნლის შემაჯამებელი ტურნირი (6).

- ფედერერი ნიუ იორკში მემვიდე ნომრად არის განთესილი - ეს არის შვეიცარიელისთვის ყველაზე დაბალი განთესვა „დიდ სლემზე" 2002 ნლის აშშ-ის ღიას შემდეგ, სადაც ის მე-13 ნომერი იყო.

ბარტოლიმ დაბრუნება არ გამორიცხა

მარიონ ბარტოლი

უიმბლდონის ჩემპიონმა, ფრანგმა **მარინ ბარტოლიმ** განაცხადა, რომ დარნმუნებით არ შეუძლია იმის თქმა, რომ არასოდეს გააგრძელებს პროფესიულ კარიერას. შეგახსენებთ, რომ ამ ჩოგბურთელმა დიდი სპორტიდან ნასვლის შესახებ დაანლოვინი ორი კვირის ნინ გამოაცხადა, როცა სანყისი შეხვედრა ნააგო ცინცინატის ტურნირზე რუმინელ **სიმონა ჰალეპთან**.

„არასოდეს იცი, რა მოხდება მომავალში. რთულია იმის თქმა, რომ არასოდეს დავბრუნდები კორტზე. საქმეში ჩაუტედავი ადამიანი ვერ მიხვდება, რას ნიმნავს ექვსი ნლის ასაკიდან მოყოლებული მოიგერო დაახლოებით ორი მილიონი ბურთი და შემდეგ გახდე პროფესიონალი მოთამაშე. მხოლოდ მე ვიცი, რას ნიმნავს ეს", - ამბობს ფრანგი ჩოგბურთელი.

ბარტოლიმ ინტერვიუში განაცხადა, რომ სთხოვა ქალთა საჩოგბურთო ასოციაციას (WTA) არ ამოიღოს მისი გვარი რეიტინგიდან, რომელშიც მარიონი მემვიდე ადგილს იკავებს 4246 ქულით. ფრანგი ამბობს, რომ ეს მხოლოდ გარეთობის მიზნით გააკეთა.

„ჩემთვის უბრალოდ საინტერესოა, კორტზე გაუსვლელად რომელ ადგილზე დავასრულებ სეზონს. საინტერესოა, რა პოზიცია მექნება", - აღიარა ბარტოლიმ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბაიშვილმა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩიჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბაიშვილი (599 56 17 38)**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე (577 74 89 21), გია ტუხაშვილი (555 50 05 13)**; მხატვრული რედაქტორი: **ეკა სიმონიშვილი** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 ნლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ვრემო მახათაძე (1952-53), ირაკლი ეფულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩიჩილაძე (1985-დან).**

პასუხისმგებელი მდივნის ტელეფონები: *2 19 60 13.* **ელფოსტა:** *lelottd@gmail.com (რედაქცია);* *lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:20. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია თვალაბაიშვილი**

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონი: **599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან ერთად შეუთანხმებლად გაზეთში კომენტირი მასალებისა და ფოტოფაილის სხვა გამოქვეყნებული საფუძველზე გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ანა GE19CR0120007000043608

ISSN 2233-3627

9 772233 362000

გამომცემელი
შპს. გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს. გამომცემლობა ლელო